# მ ო კ ლ ე

# ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა

გ ი ნ ა

## ს ი ბ რ ძ ნ ი ს  მ ო ყ ვ ა რ ე ბ ა

რომელი შეიცვამს თავისში ფსიხოლოღიას,
ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას
(თეოდისე) და ზნეობას (მორალ)

მაღალს სწავლაში შესასვლელ ყმაწვილ კაცთათვის,



კონსტანდინეპოლი

ანთუან გვიპალიანის სტამბა

1880



# მოკლე ფილოსოფია

გინა

# სიბრძნის მოყვარება

რომელი შეიცვამს თავისში ფსიხოლოღიას, ლოღი-კას, ბუნებით ღვთის მეტყველებას (თეოდისე) და ზნეო-ბას (მორალ)

მაღალს სწავლაში შესასვლელ ყმაწვილ კაცთათვის.

30561



კოსტანდინეპოლს

ანთუან გვიზანდიანის სტამბაში.

1880

საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

# წინა სიტყვა

ვისაც უნდა რომ სწავლული და გამოჩენილი პირი გახდეს, და თავისი საზოგადოებისთვისაც გამოსადეგი და დახელოვნებული მწერალი, ეჭირება მას შეისწავლოს რავდენადაც შეიძლება სრულად, როგორც რეტო-რიკა ეგრეთვე ფილოსოფიია, რომელი იწოდებ-ის ხელოვნებად გონიერებისა და სიტყვიერებისა; რად-გან ვითარცა რეტორიკა ასწავლის მშვენიერს და გამკვ-ეთს ლაპარაკსა და წერასა, ამავ ნაირად ფილოსოფიაც ასწავლის კაცს სიბრძნით, ჭკვით, და საფუძვლიანად ლაპარაკს, წერას და გარჩევასა ჭეშმარიტების სიცრუ-ისაგან.

ამისთვის შემდგომ ხელად სახმარი მოკლე რე-ტორიკის გამოცემისა, ვისურვეთ გამოცემა ამ მოკ-ლე ფილოსოფიისა გინა სიბრძნის მოყვარებისაც რომე-ლი შედგენილია ახალს და ადვილ მეთოდ ზედ, რათა გამოადგესთ ეს ხელ საძღვანად მაღალს სწავლაში შე-სასვლელ ყმაწვილ კაცთა. და მართლიად თუ დახელოვ-დნენ ერთხელვე ისინი ამ ფილოსოფიაში, შემდგომ ვე-ღარ შეაცდენენ იმათ ვერც მრუდი სჯით ახსნა საგნებ-ისა და ვერცა რა მრუდი სჯით შედგენილი წიგნები მო-ჩვენებული ფილოსოფიისანი და ღმერთმანც ჰქმნას ესრედ იქმნეს.

ამის გარდა ხსენებული ფილოსოფიის და ხელად სახმარი რეტორიკის კარგად შესწავლით ფრიად მომზადებულნი შეიქმნებიან იგინი, მაღალს სწავლაში ადვილად და მალე წინ წასვლისათვის.



# ფილოსოფია

გინა

## სიბრძნის მოყვარება (Philosophie)

## შესავალი

ფილოსოფიის საგანი — მისი სხვა მეცნიერებათა თანა ქონვილში დამოკიდებულობა — დ̃ განყოფა მისი.

### საგანი ფილოსოფიისა.

ფილოსოფია არის სიყვარული გინა სწავლა სიბრძნისა. სიბრძნე არის მეცნიერება გინა ცოდნა უმაღლესთა მიზეზთა, ანუ მეცნიერება დასაწყისთა (პრენსიპ)

მაშ საგანი ფილოსოფიისა არის მიზეზი (რეზონ) რამეთა.

აქ მეცნიერების თქმით გვესმის ჩვენ შემოკრებულობა ერთმან ერთთან შეკავშირებულთა დ̃ განწყობილთა ჭეშმარიტებათა გინა ცნობათა.

დამოკიდებულობა ფილოსოფიისა სხვა მეცნიერებათათანა. — სხვა ყველა მეცნიერება შეიძლება ოთხად განიყვნენ: დ̃ არიან ესენი: ზომის მომყვანებულობა (მათემატიკა) ბუნების მეტყველება, (ფისიკა) მოთხრობა (ისტორია) დ̃ ღვთის მეტყველება.

ა. მათემატიკებრივნი (ზომის მომყვანელობითნი) მეცნიერებანი განიხილვენ ნივთიერ სხეულთა გარეთი მხედველობითა, როგორც დ̃ რაოდენადაც რიცხვისა დ̃ ზომ-

ის ქვეშ შევლენ. მაშ იმათი საგანი არის რაოდენობა და რიცხვი.

ფილოსოფია ასწავლის ზომის მომყვანს (მათემატიკოზს) კარგად ჭკუვის ხმარებას და განსჯასა სილოგიზმოს (სილოგიზმ) საშვალით და გააჩვევს იმის ხმარებაში. ბ. ფიზიკებრივნი (ბუნების მეტყველებითნი) მეცნიერებანი განიხილვენ ნივთიერთა სხეულთა, იმათ სხვა და სხვა ნაირ ცვლილებათა, იმათ მიმართობათა და ერთმან ერთთან დამოკიდებულობათა ეგრედ, როგორც და რაოდენადაც შევლენ საგრძნობლების ქვეშ. სიბრძნის მოყვარება განამტკიცებს ფიზიკის გინა ბუნების მეტყველებითი მეცნიერების საფუძველსა, მით რამეთუ აჩვენებს სინამდვილეს გარეული გრძნობისასა და მყოფობასა სხეულთასა. კვალად ასწავლის ფიზიკოსსა კარგათ განსჯასა (რეზონნე) იმ შედრკინების დაგვარ, რა შედრკინებასაც რომ გამოცდილობისაგან და გამოძევ-გამოსინჯულობისაგან გამოიღებს. ესრეთვე უჩვენებს იმას თავ და პირველ მიზეზსა, და ბოლონდელ აღსასრულსა ამ ნივთიერის ქვეყნისასა, ვითამც ღმერთსა და წინაგანჩინებულობის სჯულსა მისსა, რომლითაც მართამს მას იგი. ამის გარდა ზნეობრიობითაც ასწავლის მას კეთილად მოიხმაროს ეს საგრძნობელო რამეები.

გ. ისტორიებრივი მეცნიერება შეიცავს ყოველსა მოხდენილ საქმესა, რაც კაცობრივის მოწმობითა გარდმოგვეცემა ჩვენ. — სიბრძნის მოყვარება დასდებს (განამტკიცებს) მოთხრობის საფუძველსა და თანვე აჩვენებს და დაამტკიცებს კაცთ მოწმობის ნამდვილობასა; კვალად ასწავლის ისტორიკოსსა ტყვილისაგან მართლის გამორჩევას, შეფარდებითა ნაირ ნაირის მოწმობათისა; დაეხმარების იგი რათა გამოსძიოს კვალადი საქმების მიზეზნი, ღვთიური წინა განგებულობის და

კაცობრივი თავის უფლების გამოძიებითა. უწინამძღვრებს მას რომ გამოასინჯვინოს ჲ დაანახოს გარეგან ზნეობრიობა მოხდენილი საქმისა ჲ ის მათი შედეგომილებანი, რომელნიც შეიძლება მათგან გამოიღოს.

დ. ღვთის მეტყველებითი მეცნიერება განიხილავს გამოცხადებულ ჭეშმარიტებათა, ჲ იმათგან შედრეგინებას გამოიღებს. აქაც ფილოსოფია მისცემს დამარწმუნებლობის მიზეზებს. ლოღიკით დაამტკიცებს კაცობრივის მოწმობაების ღირებას რომელთაც გარდმოუციათ ჩვენთვის გამოცხადების საქმენი ჲ გამოცხადებული მოძღვარება; ზესთა ბუნებრივადცა (მეტაფიზიკურად) აჩვენებს სასწაულების შესაძლოისობას, რომლებზედაც დაფუძნილი არის გამოცხადების საქმეები; ჲ ლოღიკით კვალად ასწავლის ღვთის მეტყველს გამოღებასა ჲ წარმოდგენასა იმ შედგომილებათა გინა დასკვნათა, რომელნიც შეიცვიან გამოცხადებულს წინადადებაებში ჲ ჭეშმარიტებაებში.

განყოფა ფილოსოფიისა. — შეიძლება ფილოსოფია სამ ნაწილად გავყოთ: ვითამც, ლოღიკად, მეტაფიზიკად გინა ზესთა ბუნებრივად ჲ ზნეობითად.

ა. ლოღიკა არის ხელოვნება გარგად განსჯისა, ანუ თუ მეცნიერება დასაწყისთა ჲ სინამდვილისა გინა ჭეშმარიტების ცნობის კანონებისა, ერთი სიტყვით ლოღიკა ერთი ხელოვნება არის, რომლითაც გაარჩევს კაცი სიმართლეს სიცრუისაგან.

ბ. მეტაფიზიკა არის სწავლა მარტივ გონებრივთა შესატყობელთა არსთა. მეტაფიზიკა ანუ საყოველთაო იქმნება ჲ ანუ კერძოობითი.

ა. საყოველთაო მეტაფიზიკა გინა არსთ მეტყველება (ანთოლოგი) არის სწავლა საზოგადო არსთა ჲ წინაპირველ დასაწყისთა.

ბ. კერძოობითი მეტაფიზიკა განიხილავს სხვა ჲ სხვა ნაირ არსთა ცალკ ცალკედ.

ყოველნი არსნი რომელნიც ჭკუვის გინა გონების ქვეშ შევლენ, არიან ეს სამნი: ვითამც სხეულნი, სულები, ჲ ღმერთი. აქედგან წარმოსდგება კერძოობითი მეტაფი-ზიკის სამად განწილვა, რომელთაგან პირველი არს (კოსმოლოღია) რომელი არის სწავლა ნივთიერის ქვეყნისა. მეორე სულის-მეტყველება, (ფსიხოლოღია) რომელიც არის სწავლა კაცებრივის სულისა, მესამედ ბუნებითი ღვთის მეტყველება (თეოლოღი ნათურელლ) რომელიც არის სწავლა ღვთისა, გინა სწავლა ღმერთ-ზედ, მხოლოდ იმ რამებზედ რომლებშისაც კაცს შეუ-ძლია მარტივი ჭკუვით გაცნობა.

გ. ზნის მეტყველება არის სწავლა ზნეობისა ანუ ხე-ლოვნება კეთილი სიცოცხლისა.

ამ ნაირს განყოფილებას მისდევდნენ საზოგადოდ წინაპარნი. ხოლო ახლანდელი ბაკალორეას განცხა-დების (პროგრამ) ახლის განყოფილობით ფილოსოფიას ოთხად ანაწილებს ვითამც: ფსიხოლოღიად გინა სულ-ის მეტყველებად. ლოღიკად, ზნეობად, ჲ ბუნებით ღვთ-ის მეტყველებად. ამ განყოფილობას შევუდექით ჩვენცა ამ მოკლე ფილოსოფიაში, რომელიც შედგენილი არის მოძღვარების-ებრ ამ ოთხთა ყოვლად წარჩინებულთა ჲ სახელოვანთა ფილოსოფოზთა, პლატონისა, არისტო-ტელისა, წმიდა ავგუსტინესი ჲ წმიდა თომასი, რომლ-ების შეუცვლელი მოძღვარების შეტანას ვეცადეთ ფრიად ჲ გამოვიყვანეთ კიდევც ამ ფილოსოფიაში.

# ნაწილი პირველი

## ფსიხოლოღია გინა სულის მეტყველება. (Psychologie)

### თავი ა.

ფსიხოლოღიის საქმებისა და გულმისწრობისა გინა ცოდინებისათვის (ქონსიანს)

ფსიხოლოღიის საქმენი არიან იგინი ყოველნი, რომელნიც სულშიდ მოხდებიან ე. ი. სულის ნაირ ნაირი მოქმედებანი და მისი სხვა და სხვა სახის მდგომარეობანი: ა. სულის მოქმედებანი არიან, ფიქრი (ზრახვა) და ნება. ბ. მისი მდგომარეობანი არიან: სიხარული, სიმწუხრე, სიამოვნე და ნაღველი.

ხოლო ცოდინობის თქმით ვტყობულობთ აქ იმ შინაგან მგრძნობელობასა ჩვენსა, რომელიცა გვაქვს იმ გავლილს და თუ აწ მყო რაჲმეზედა რომელნიც ხდებიან ჩვენს სულშიდ.

ჩვენი სულის ნაირ ნაირი მოქმედებაებისა და მდგომარეობაებისაგან შეგვიძლია გავიცნათ მისნი შემძლებელობანი, რადგან საგნის ძალი გამოცხადდება მისი საქმებისაგან.

### თავი ბ.

სულის შემძლებელობისათვის გინა მგრძნობელობისა, შემტყობელობითი შემძლებელობათა (ფაკულთე ენტელექთუელ) და საქმითობისათვის (აკტივიტე)

სული არის რომელიც კაცში სცნობს, ჰნებამს და ჰგრ-

ძნობს; და იგი არს ყოველი კაცობრივი მოქმედების და ცნობიერების დასაწყისი.

შემძლებელობა არის ის ძალი მოქმედებისა, რომელსაც ჩვენის ნებისად მოვიხმარებთ და რომელსაც როგორც გვინდა ანუ რომელსამე საკუთარს საგანს (ობჟე) დავაახლოვებთ (აპპლიქე) და ანუ მისგან უკან დავაბრუნებთ მას. — ორნაირი შემძლებელობა გვაქვს ჩვენ რომელთაგან ზოგნი ეკუთვნიან სულსა ერთად შეერთებულად ხორცთანა, და ზოგნიც სულის საკუთრებანი არიან. — პირველნი თავიანთი ფესვი სულში აქვსთ მაგრამ თვინიერ ხორცისა ვერ ისაქმებენ. ესენი მგრძნობელობას ეკუთვნიან და არიან ანუ წარმომდგენლობითნი (აპპრეჰენსივ) ანუ ნატრითნი (აპპეტიტივ) ეგრედ რა სახითაც რომ ამათით მივიღებთ მარტივად საგრძნობლებზედ ჩამოსულთ აღბეჭდილებათა (იმპრესსიონ) და ანუ თუ ამ სახით ნაგრძნობი საგნებისაგან ანუ განვშორდებით და ანუ მივიზიდებით. — წარმომდგენლობითი მგრძნობელობითნი შემძლებელობანი, საზოგადო სახელით მგრძნობელობად იწოდებიან. ხოლო ნატრითის (მდომელობითის) მგრძნობელობითი შემძლებელობაცა შეიძლება ბუნების მაქეზებლად (ენსტენკ) ითქვას.

მხოლოდ სულის საკუთარი შემძლებელობანიცა გულხმიერებას შემტყობელობას (ენთელიჟანს) ეკუთვნიან; და ზემოურებივით ესენიც ანუ წარმომდგენელობითნი არიან და ანუ მდომელობითნი, ეგრეთ რა სახითაც ამათით წარმოვიდგენთ მარტივად ვითარცა მართალს, ანუ შესტყობელს საგნებსა და ანუ ვეცდებით მათის შეერთებასა ჩვენთან ვითარცა კეთილთა და ანუ განვაძევებთ მათ ვითარცა ბოროტთა. — ეს გულ-ხმიერობითი წარმომდგენლობითი შეძლებანი საზოგადო სახელით გულის-ხმიერებად (შემტყობელობად) იწოდებიან, ხოლო იმას,

რომელსაც წინა პარნი უწოდებდნენ გონების ნდომასა (აპპეტი ენტელეკტუელ) ჩვენ ვუწოდებთ მას აწ ნებასა. ამ ორის შეძლებითა სული მომქმედი მოსაქმური (აკთივ) არის.

მოსაქმურობა ის ძალი არის, რომელიც რომელთამე არსთა აქვსთ, თავიანთ თავად რაჲმე გარდაწყვეტილობის ქმნისა (დეთერმინე) იმ შინაგანის ძალითა, რომელიც იმათთვის საკუთარი არის. —

ეს წინამდეგი არის ვნებულობისა (პასსივითე) რომელიც არის სხვისაგან მიღებული მოქმედება და ანუ მოძრაობა რაჲმე.

მგრძნობელობა რომ განვიხილოთ წარმომდგენლობისავით (პერსეპსიონ) და გინდ მდომელობისავით (აპპეთით) მარტივად ვნებითია; და სული მაშინ მიიღებს აღბეჭდილებასა თვინიერ საგნებისაგან მოღებულს საგრძნობლების ორღანოებზედა (სასაქმოებზედა)

შემტყობელობა არის თან ვნებითი და თანვე მოქმედებითი საქმობითი: ვნებითი ამ აზრით რომ წარმოსადგენად (პერსევუარ) საჭირია რამე საგანი, ან თავით თვისით აწმყო და ანუ თავისი ნაყოფებითა, ხოლო საქმობითი (მოქმედებითი) ამ აზრითა, რომ თვითანვე წარმოიდგენს საგანსა, და ნებიერად თავის თავს წამოუყენებს.

მნებელობაც (ნება) აგრეთვე თან ვნებითია და თანვე საქმობითი (მოქმედებითი) ვნებითია ამ რიგად, რომ უკეთუ მიმხდურობამ (ანთანდემან) არ წარმოგვიდგინოს საგანი, ჩვენ არ შეგვიძლია ნების მიცემა, როგორც ანდაზაა: არ არის ის ნებიერი რაც წინად არა არის ცნობილი; რადგან არა ფერს არ ვინებებთ თუ რომ წინდაწინ არ გავსინჯავთ და ესრედ მნებელობა მიმხდურობისაგან მიიღებს თავის საგანსა. მაგრამ მოსაქმობითი თვით კი მოქმედებითად (აქთივემან) მიიღებს და შეიწყნარებს იმ-

ნსა, რადგან თავის თავად და თვისის საკუთარის ძალითა გაარჩევს სამნებელო საგანსა, რომელსაც წარუდგენს მას მიმხდურობა, და გარდასწყვეტს (სე დეთერმინ) მას ზედა თანხმაობასა თვისსა.

ეს სულის სხვა და სხვა შეძლებანი ერთმან ერთისაგან განირჩევიან კვალად თავიანთი საგნებითა. —

მგრძნობელობითი შეძლებაჲსის საგანი არის არსი ნივთიერი, აწმდგომი და განუწვალებრივი (განუკვეთელი) (ენდივიდუელ) მეტყობითი შეძლებაჲსის საგანი არის შესატყობი გინა გასაგები არსი, რომელი თუ რომ მართალი არის, საგანია მიმხდურობისა, და თუ კეთილია, მაშინ ნებელობის საგანი არის.

## თ ა ვ ი ბ.

### მგრძნობელობისათვის და საგრძნობელთა (სან) გაგებასა (სანსასიონ) და გრძნობისათვის (სანტიმან)

მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ო ბ ა. — მგრძნობელობა არის ის შეძლება რომელიც მიგვაღებინებს აღბეჭდილებათა ზედმოქმედებულთ (პროდუით) ნივთიერის საგნებისაგან ჩვენს საგრძნობლებ ზედა. — მართალია, როცა საგანი აწმყო არის, არ შეგვიძლია რომ არა ვიგრძნოთ არ დავინახოთ, არ გავიგონოთ და სხვაც; კვალად უკეთუ ჩვენი სასაქმოები (ორღანოები) ასრე ანუ ისრე შეხებულნი გახდნენ (აფფექთე) მაშინ ჩვენის ნებისად ვერ შევიძლებთ რომ არ ვიგრძნოთ სატკივარი ანუ სიამოვნე ამისთვის მგრძნობელობაც არ არის თავისუფალი.

გარნა რადგან მრავალ ნაირ შემთხვევაში შეგვიძლიან რომ ჩვენი საგრძნობლები თავის საგნებს მიუმარჯვოთ და ანუ უკან დავაყენოთ მათგან, მაშ აბა უნდა ვსთქვათ

რომ მგრძნობელობაც არის ერთი შეძლება.

მგრძნობელობა ერთი (მიქსტ) შეზავებული შეძლება არის, წინ წარმოსული ერთადვე სულისაგან და ხორცისაგან და თუმცა კი ამისი ფესვი და სამკვიდრო სულშიდ არის, გარნა უხორცოდ არ შეუძლია მას საქმობა (ექსერსე) და ჰგავს მესაკრავესა, (მეჯიმენესა) რომელმან თუმც საკრავის დაკვრა იცის, მაგრამ თავის ხელოვნობას ვერ ასაქმებს, თუ რომ საკრავი (ენსტრუმან) ხელთ არა აქვს.

ხორცი სულთან ერთად ამხანაგობითა (შეერთებითა) მოზიარია მგრძნობელობისა; და ამით შეიქმნება გამგე და შიმლე დანახვისა, გაგონებისა, მოძრაობისა, სიმწუხრისა, სიხარულისა, და ესრედ დაშთება სანამ სულთან შეერთებულია და მისგან სულდგმული. (ანიმე)

ს ა გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ნ ი — მგრძნობელობას ხუთი საკუთარი თანამდებობა (ფონქსიონ) აქვს, რომელნიც ხუთი განრჩეული ორგანებით გინა სასაქმოებით (ორგან) სრულდებიან; ამათ ჰქვიანთ ხუთი საგრძნობელნი.

ეს განრჩეულობა თვითეულის სასაქმოებისა თავიანთი თვითეულისადმი განსაკუთრებულის საგნისაგან აიდება, რომელნიც არიან:

მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ო ბ ა ნ ი. მხილველობა, გამგონელობა, სუნის ამღებლობა, გემოს ამღებლობა, შემძვრელობა.

თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა ნ ი. დანახვა, გაგონება, სუნვა, ჭამა, შეხება.

ს ა ს ა ქ მ ო ე ბ ი. თვალი, ყური, ნესტოები, სასა, მრთელი ხორცი. (ტანი)

ს ა გ ა ნ ნ ი. ფერი, ხმა, სუნი, გემო, სახე.

სახის ანუ რომელიმე სხეულის შეხებულობის თქმითა გარსშის იგივე შინაგანითა ნაწილთა შეგვამება გინა გაწყობილობა და ამ შეგვამებით არის რომ სხეული რამე

მაგარის ანუ რბილი; ხმელის ანუ ნედლი, ცივის ანუ ცხე-ლი; დ~ სწორედ ეს ვითარებანი არიან რომლებსაც შე-საძრავის საგრძნობელი ტყობულობს.

ყოველნი მგრძნობელობანი დ~ თანამდებობანი შეი-ძლება გაუსაკუთრდნენ შესაძრავსა გინა შეხებასა, ესრედ-თუმც თვალი არა ხრამს დ~ არცა შეეხება საგანს, რო-მელსაც ხედამს შორითგან, გარნა ამ საგნისაგან გამო-კრთალი ნათლის სხივთა მიყენებითა ხედამს. აგრეთვე ყურიცა რისამე სხეულის დარახუნებითა ჰაერის ძანძალ-ისაგან გაიგონებს ხმასა.

გ ა გ ე ბ ა ს ა ზ ე დ ა (სენსაციონ) გაგება არს შეხება ზედმოქმედებული სულდგმულისა ხორცსა ზედა, ჩვენ ხორცზე სხვა გარეული სხეულის აღმბეჭდელობ-ითა ანუ ჩვენი ხორცის ერთის ნაწილის მეორე ნაწილ-ზედ შეხებითა, მაგალითად: ოდესაც ხელს ხელზედ და-ვიდებთ ანუ თვალ წინ დავიჭერთ დ~ სხვაც.

ა. სულს გაგება არ ექმნება უხორცოდ, ამისაგან არის რომ უთვალო (ბრმა) ვერ დაინახამს.

ბ. ხორცსაც უსულოდ გაგება არ ექმნება, ამისთვის მკ-ვდარი ხორცი (მძორი) ვერც ხედამს, არც ესმის, არცა რა სწყენს, ერთის სიტყვით ველარა ვერას ჰგრძნობს.

გ რ ძ ნ ო ბ ა. გრძნობის თქმით გვესმის ის შინა-განი მოძრაობანი, რომელნიც გარდმოგვეცემა ჩვენ ზოგიერთი რამის გაგების დროს, მაგალითად: გველის დანახვის წამს; შიშის გრძნობა მომეცემა, მშვენიერი ხმიერის შეწყობილობა მომწონებულობის გრძნობას მო-მცემს მე დ~ სხვაც.

გრძნობისაგან წარმოსდგებიან ვნებანი, რომელთაც აქ მხოლოდ დავასახელებთ. ვნება არის ერთი გრძნო-ბითი მოძრაობა, რომლითა მივიზიდებით ჩვენ კეთილი-საკენ დ~ ანუ განვშორდებით ბოროტისაგან. ეს ხსენებ-

ული კეთილი დ̃ ბოროტი შეიძლება იყოს ნამდვილი საქმითი ანუ მარტო გამოხატულობით კეთილი ანუ ბოროტი.

ორი სახის ნდომა ანუ გრძნობითი მიდრეკილობანი არიან ჩვენში, რომელნიც იწოდებიან ნატვრითად (კონკუპისიბლ) ანუ მწყრალობითად (ირასიბლ) ეგრედ როგორც დ̃ რაოდნათაც რომ კეთილისა ანუ ბოროტისა ადვილისა ანუ ძნელისა შეძენა ანუ განშორება.

ნატვრითი თუ გულის-თქმითი ნდომა ექვს ვნებას შეიცავს: ა. სიყვარულს ნამდვილი ანუ მოჩვენებულის კეთილისასა; ბ. ნატრას რომელიც იმ კეთილისათვის გულს ითქვამს გ. სიხარულს ანუ სიამოვნეს, რომელიც იმას დაიმშვენამს, დ. სიმძულვარეს რომელიც ერიდება ნამდვილი საქმითი ანუ მოჩვენებულის ბოროტისაგან; ე. ზიზღს რომელიც იმისაგან შორდება; ვ. სატკივარს ანუ წუხვილს რომელსაც სწევს.

მწყრალობითი ნდომა ხუთ ვნებას შეიცავს: ა. იმედს რომელიც მიიზიდვის ძნელ კეთილსაკენ, გარნა შესაძლისისა; ბ. უიმედობას, რომელიც შორდება შეუძლებელად დათვლილის კეთილისაგან; გ. შიშსა, მიზეზებულსა ზედ მოსაწევნელის ბოროტისაგან; კადნიერებასა გინა გაბედულობასა წინ წარმოსულსა იმ ბოროტის ნახვითა, რომლის განშორებას იმედნეულობს; ე. მრისხანებას, რომელიც მოხდენილის ბოროტის საშველებლად მიისწრაფვება.

## თავი დ.

შემტყობელობითი შეძლებისათვის, დაჭვრეტისა გინა წარმომდგენველობისა (პერსეპსიონ), გულმისნობისა, მხსოვნელობისა, გამოხატულობისა, განმსჯელობისა ჲ განსჯისა გინა ჭკუვისათვის.

შემტყობელობითი შეძლების თქმით გვესმის ის ძალა რომელიც გვაქვს საცნობელად ჭეშმარიტებისა.

მჭიდროთ რომ ვსთქვათ შემტყობელობითი შეძლება ერთი არის, რადგან მცნობელობის საგანიც ერთი არის, ჲ მართლიად რამთონიც არსნი მრავალნი ჲ ნაირ ნაირნი იყვნენ ჲ რავდენადაც იმათი შემტყობლობითი დამოკიდებულობა გინა მიმართობა მრავალნი იყვნენ, ჩვენ იმათ ერთის საზოგადო შეძლებითა წარმოვიდგენთ ჲ დავსჭვრეტთ; თავიანთი ნამდვილობის გამო გახდებიან ისინი საგნად მიმხდურობისა. მაშ საფუძვლიანად რომ დავსჭვრიტოთ, ჭეშმარიტება არის მხოლოდი საგანი შემტყობელობისა, იმ ნაირად ვითარცა ხორციელი დამნახველობისაც ნათელი არის მხოლოდი საგანი, თუმცა სანახავი რამები ჲ ფერნი კი უთვალავნი არიან.

გარნა შემტყობელობით შეძლებას ანუ მიმხდურობას თავისი ნაირ ნაირი მოქმედებაების შესაფერად სხვა ჲ სხვა სახელები აქვს, როგორც მჭვრეტელობა გინა წარმომდგენლობა (პერსეპსიონ) გულმისნობა გინა მცოდინარობა, მეხსიერება, გამოხატულობა, განმსჯელობა (ჟუჟემან) განსჯა. (რეზონ)

ა. წარმომდგენლობა უმთვრო მიმხდურობის მოქმედობა არის, ვირემც სხვა რაჲმე შეძლება რომლითაც სული თჳთან თავის წინ რასმეს წარმოიყენსამს. —

უკეთუ ეს წარმოდგენა მარტივად გონებრივი არის ეწოდების იმას იდეა. ხოლო თუ გრძნობითი სახით წარმოსდგეს მაშინ ეწოდების იმას ხატი.

ბ. გულისხმობა ცოდნობა ამ ლექსით გვესმის აქ ის შეძლება რომელიც გვაქვს ჩვენი მოქმედებაების მოგონებისა წარმოდგენისა, მათზედ ფიქრობისა, და გამოძიებისა იმ რაჲმეთა რაც ჩვენში გავლილა, ვითამც: გვიზრახია, გვინებებია, გვიგრძნია, გვინახამს და გაგვიწყვია.

გ. მეხსიერება არის შეძლება ფიქრში შენახვისა და ხელ ახლავ გახსენებისა და წარმოდგენისა ფიქრშიდ საგანთა, ვითამც ადრინდელთ ანუ სხვა დროს ნაქონთ იდეათა, განზრახვათა, ხატთა გრძნობათა და აღბეჭდილებათა; ანუ მარტივად რომ ვსთქვათ მეხსიერება არის შეძლება შენახვისა ფიქრში და ხელახლავ მოგონებისა გავლილთა.

დ. გამოხატულობა ფიქრში (იმაჟინასიონ) რაჲმეთა ორ ნაირად აიღება, ერთის შეძლება იგი რომლითაც გრძნობითი სახით წარმოიდგენს კაცი თავისში ანუ ნივთიერისა და ანუ სულიერის საგნებსა, მაგალითად: ღმერთისა, სულისა, ხესა, და სხვაც. და ანუ წარმოიდგენს მარტივად გონებითითა (აბსთრე) საგანთა, მაგალითად: მრგვლიობასა, სათნოებასა და სხვაც. და მეორე შეძლება იგი რომლითაც ერთად შეერთავს სხვა და სხვა იდეათა და ხატთა მრავალთა ნამდვილთა საგანთასა და შეადგენს მით ახალ ახალთა რაჲმეთა თავის ფიქრში რაც არ არიან და ანუ რაც ჩვენ სრულიად არ გვენახოს, მაგალითად: ოქროს მთასა, ფრთიან ცხენსა, და სხვაც.

ე. განმსჯელობა (ჟუჟემან) შეიძლება შევრაცხოთ რაჲმე შეძლებად ანუ მოქმედებად რომლით დავამტკიცებთ და ანუ განვაძევთ შეერთებას ორის იდიისასა.

ვ. განსჯა არის შეძლება რომლით გამოიღებს კაცი შედეგინებათა დასაწყისთაგან და რომლით აღვკალს ნაყოფ-

საგან მისუსხედ დ~ მით ბოლოს გამოიყვანს უცნობს ნაცნობისაგან.

თითქმის ისრე სჩანს რომ მიმხდურობა დ~ საზოგადოდ რაც შეტყობასა ეკუთვნის, არ შეადგენს ნამდვილს შეძლებასა; რადგან გონებას არ შეუძლია თავის ნებისად დაავდოს ცხადი დ~ ნათლოვანი რამე ჭეშმარიტება, დ~ არც ის, რომ შეიწყნაროს ცხადი სიცრუვე დ~ არცა რა დაამტკიცოს ის, რაც საეჭვოდ ჰგონია; გარნა რადგანაც შეგვიძლია ჩვენი შემტყობელობა აშა ანუ იმ საგნებზედ მივაქციოთ დ~ ანუ უკან მოვიბრუნოთ მათგან, მაშ ნამდვილად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მიმხდურობაც არის ძალი რამე რომელიც შეგვიძლია ჩვენის ნებისად ვიხმაროთ, დ~ ამისგამო მაშა სადამე არის იგიც ერთი შეძლება.

## თ ა ვ ი ქ.

იდეათათვის საზოგადოდ — მათი დასაწყისი გონა დაბადება, დ~ ბეჭედი გონა სახე (ქარაქთერ), მათი თავ დ~ პირველნი ცნობანი ჭეშმარიტებანი.

იდეა, საზოგადოდ არის მარტივად გონებრივი სახე (ფორმ) დ~ ბეჭედი (ტიპ) რამეისა.

დ ა ს ა წ ყ ი ს ი  გ ო ნ ა  დ ა ბ ა დ ე ბ ა  ი დ ე ა თ ა. — ეს ძიება ორი ჭაზრით შეიტყობება. ა, თუ რა არის დაბადება გონა აღმოჩენა იდეათა თავიანთშივე განსხვავითა, ვითამც, მყოფობის წინად რამებისა დ~ იმათგან გარედ სად არიან იდეანი დ~ ბეჭედნი გონა სახეები თვით იმ რამებისა? მაგალითად: ამ საწერი სტოლის გარედ სანამ სრულიად სტოლი არ იყო ჯერედ, სად იყო იმისი იდეა დ~ საიდგან მოვიდა ეს იდეა?

პასუხი ადვილია, ყოველი იდეების დასაწყისი გონა

ბადვა (ორიჟინ) ღმერთში არის და იმის განუსაზღვრებელს შემტყობელობაში, ღმერთის უწინარეს ყოველთა საუკუნებათა აქვს ყოველი ფერის იდეა, რაც კი შეიძლება რომ იმყოფებოდეს და იქმნებოდეს.

ბ. მეორე ჰაზრიც ეს არის რომ, რა არის დასაწყისი გინა აღმოჩენა იდიების ჩვენში? ვითამც: სითგან მოგვდიან ჩვენ იდიები რაჲმეებისა? როგორ და საითგან იწყობის ჩვენში მცნობელობა?

ამისასაც მოგახსენამ, რომ იდიები წარმოსდგებიან ჩვენში ერთსა და იმავე დროს მრჩობლთა გინა ორ გვართა დასაწყისთაგან: ერთი არის ქვეჳრდომობითი (სუბჟექტივ) რომელი არის იგივე გონიერი ქვემდებარე ვითამც შემტყობი იგი პირი, გონებრიობითი დასაწყისი ესე იგი მიმხდურობა ანუ განსჯა თვითეული ჩვენგანისა; და მეორე არის საგნებრივი რომელი არის შესატყობი და გასაცანი საგანი იგი იდიისაგან წარმოდგენილი.

და მართლად შეუძლებელია გაცნობა ანუ რამე იდიის ქონვა, უკეთუ არ იყოს ვინმე ქვემდებარე შემძლე წარმოდგენისა და შეტყობისა. დასაწყისი ანუ შემტყობი ქვემდებარეც რომ იყოს შეუძლებელია კვალად გაცნობა, უკეთუ არ იყოს რაჲმე საგანი გინა საცნობელი მაგალ. უკეთუ დანახვის შეძლება არა მქონდეს, ქვეყანაც რომ თვალ წინ მქონდეს და მთელი ნათელიც რომ კაკაჩობდეს, ვერც ნათელს დავინახამ და ვერცა რა ქვეყანასა. — და უკეთუ ძლიერ თვალ მახვილიც ვიყო, თუ რომ წინ საგანი არ მაქვს ანუ თუ სინათლე არ იყოს, ვერაფრის ნახვა შემიძლია; სრულიად ვერა რას დავინახამ.

მთელი საგნები რომელთაც ცნობა შეგვიძლია არიან: ა. ჩვენი თავი, ბ. სხეულნი, გ. სულები, და დ. ღმერთი. ა. ჩვენი თავი, ყოველი კაცი თავის თავს იცნობს შინაგანის მგრძნობელობითა. ბ. სხეულნი. სხეულებს

გავიცნობთ ჩვენ გარეგანის მგრძნობელობითა გინა ჩვენი საგრძნობლების საშუალობითა. გ. სულები. თუმცა სულებისას ვერც მყოფობისა და ვერც არსებას ჩავხვდებით ცხადმიწევნით, გარნა იმ ღვაწლებისას გინა ნაყოფებისას მიერ რომელნიც იმათ საქმეს აცხადებენ, ამიერით შევადგენთ და დავამტკიცებთ იმათ მყოფობასა და იმათი ბუნების რამდენსამე თვისებასა (ატრიბუ) და ესრედ ვსცნობთ ჩვენ იმათ განსჯითა. დ. ღმერთი. თვით ღმერთსაცა ამავე სახით ვსცნობთ; რადგან თუმცა მის მყოფობას, მის არსებას ანუ ნამდვილობას გინა მყოფელობას ვერა ვხედავთ, მაგრამ მისი საქმების მიხედვითა, ვსცნობთ იმის მყოფობასა და მისი არსების უმთავრესთა თვისებათა. მაშა სადამე ღმერთსა ვსცნობთ განსჯის საშუალობითა.

იდიების დასაწყისზე გინა პადვისაზედა ფილოსოფოზებში მოხდენილი ბჭობა და ძიება ორ ნაირი არის: ვითამც ჩვენი მცნობელობის ქვემდებარებითის დასაწყისსა, და საგანებითის დასაწყისსა ზედა.

ა. ქვემდებარებითი დასაწყისი. რომელი არის გაცში ის დასაწყისი ანუ ის ძალი სიდგანაც სწარმოებს ყოველი მცნობელობა? — ზოგნი ამბობენ: დასაწყისად საგრძნობლებს, და ზოგნიც შემტყობელობასა.

საგრძნობელი არ არის დასაწყისი მისი, არცა გარეგანი საგრძნობელი, რომელიც სჭვრეტს და შეიტყობს მხოლოდ ნივთიერსა, საგრძნობსა, აწმყოსა, და კერძოებითსა; ხოლო ჩვენ წარმოვიდგენთ და ვტყობულობთ სულიერსაცა, უგრძნობსა, შორიელსა, გონებითსა, და საზოგადოსა. ბ. არცა რა შინაგანი საგრძნობელია რომელი სულის შინაგანს და აწ მყო მდგომარეობას მხოლოდ შეგვასწავლის ჩვენ, გარნა სრულიად არ განგვიცხადებს სიმართლესა და ჭეშმარიტებასა არც ჩვენი გან-

ზრახვისასა ჲ არც არა განზრახულის საგნისასა. მაშა სადამე თუ შინაგანი ჲ თუ გარეგანი მგრძნობელობა საშვალია მხოლოდ მცნობელობისა ჲ არა დასაწყისი იდიისა.

შთება მაშ შემტყობელობა ანუ განსჯა გაცისა; მართლიად მხოლოდ შემტყობელობითა ჲ განსჯის საშვალობითა გვაქს ჩვენ რამების იდიები რომლებსაცა ვიცნობთ ჲ გავსჯით. მაშ ქვემდებარეჲითი დასაწყისი ჩვენის იდიებისა არის შემტყობელობა.

ბ. საგნობითი დასაწყისი. — რომელი არის პირველად ცნობილი საგანი? ანუ რომელი არის სულ პირველი იდეა საიდგანაც გამომავალობენ სხვა ყოველნი?

ზოგნი ამბობენ, სხეულები ჲ ნივთიერნი არსნიო. მაგრამ როგორ შეგვიძლია ნივთიერის არსისაგან ანუ ნივთიერის არსის იდიისაგან გამოღება იმისი, რაც არ არის იმათში ჲ არც შეიძლება რომ იყოს, მაგალითად. სულიერი არსის იდეა ჲ დაუსრულებელი არსის იდეა? რადგან უდიდესი არ შეიცვის უმცირესში.

ზოგნიც ამბობენ რომ, იგივე სული შინაგანი ჲ სულიერი (მე) (თვით ჩემი თავი) არის უპირველესი საგანი რომელსაც კაცად კაცადი თავ ჲ პირველშივე სცნობსო. გარგი, თანახმა ვარ რომ (მე საგან) (ვიათამც ჩემი თავისაგან) წინად არა ფერი იქმნება ცნობილი, მაგრამ ვერ ვიტყვით რომ მხოლოდ მე იყოს საგანი, რომელსაც ყველასაგან უწინ ვიცნობდეთ ჲ ანუ თუ მე იდიისაგან შევადგენდეთ მეორე ყოველს იდიებსა. რადგან მე ზომიერი ვარ, მაშ უზომო ზომიერში როგორ დაეტევა? მაშ აბა მე მაქვს ახლა უზომოს იდეა, ხოლო მეს იდეა მე იმას ვერას დროს ვერ მომცემდა; მაშა სადამე მე უპირველესი ჲ მხოლოდი საგანი არ არის, რომლის იდიისაგანაც წარმომდგარნი ყოფილიყვნენ ყოველნი იდეანო.

30561

ხოლო სხვანიც ამბობენ რომ უპირველესი წარმოდგენილი გინა შეტყობილი საგანი არის განუზომელი, სამღთიო არსება თვით ღმერთიო. მაგრამ განუზომელის იდიისაგან როგორ შემიძლია გამოღება ზომიერის იდიისა? რადგან განუზომელში ზომიერისა არა ფერია და არც არა ვითარი საზღვარი; მაშ ვერც განუზომელს წარმოვიდგენ და დავსჭვრეტ და ვერცა რა იმაში უმყოფის რამის გამოღება (დედუირ) შემიძლია. — მაშა სადამე უმფრო საზოგადო საგნის გამოძებნა საჭიროა, რომელიც ყოველს შესაძლებს არსს თავისში შეიცავდეს; ეს საგანი არის არსება გინა არსი.

მაშ ყოველ სწორე ფილოსოფოზებთან ვიტყვით რომ პირველი შესწავლილი საგანი არის არსება ანუ მყოფობა, რადგან გაცნობილ რამეებში ყველაზედ უწინ რასაც ვსცნობ, ეს არის რომ, თვით ის რამე არსებობს და არის, მართლიადაც არსება შეეფერება ყოველთა მათ რაც არიან და ანუ რანიც შესაძლებელნი არიან.

მაგრამ სიძნელე იწყობა აქ ხელახლავ. რომელი არის ის არსი, რომელსაც ყოველში და ყველაზედ უწინ წარმოვიდგენ და დავინახამ? — ზოგნი ამბობენ რომ ეს არსი არის ღმერთიო. — გარნა ეს შეუძლებელი არის; რადგან იმ დროს ყოველი ფერს რასაც წარმოვიდგენთ და წარვსთქვამთ (აფფირმონ) ყოველს რამეში უნდა ყოფილ-იყო იგივე სამღთო არსება და თვით ღმერთი. ესრედ როდესაც წარმოვიდგენ და ვიტყვი ეს ტაბლა არის, ეს კაცი არის, აბა ამის თქმით იგივე ღვთის არსება უნდა მიმეწერა ამათთვის და ღმერთი უნდა დამეჭვრიტა იმ ტაბლაში და იმ კაცში, რომლით მაშინ ყოვლიფერი ღმერთი უნდა ყოფილ იყო და გარდა ღვთისა სხვა არსება არ უნდა ყოფილ-იყო. — მაშა სადამე უნდა დავიჯერითოთ რომ ჩვენი ნათქვამი არსება იგი, რომლის იდეაც

გვაქვს ყოველში და უწინარეს ყოვლისა, არის მხოლოდ მარტივი თვისება საზოგადოდ განხილული, და თვინიერ მასში შეტყობისა (აბსტრაქსიონ) ყოვლის შეგვამებულის არსისა, ზომიერი იყოს თუ განუზომელი.

ამ თქმული აზრის (ასსერსიონ) უმთავრესი წინამდედეგობა ის იქმნება, რომ ესრედ საზოგადოდ განხილული არსება, არაფერი არის რომლით იდეა კიდევ დაშთება თვინიერ (რეელ) საქმითი საგნისა. — ამის პასუხს მივსცემთ, რომ მართლიად საზოგადოდ განხილული არსება თავის თვისით, არა ფერი არის, მაგრამ ნამდვილი და საქმითი კი არის: ა. ღმერთში სრულიად და ერთიანად გამოცხადებულია; რადგან ღმერთი არის განუზომელი არსი; ბ. დაბადებულ არსებში, რომელნიც ზიარნი არიან არსებისა. მაშა სადამე, როცა მაქვს მე იდეა არსისა საზოგადოდ ეს რომელსაც ვიდგენ და ვსჭვრეტ ერთი მოჩვენებული რამე არ არის, როგორც არ არის სიმრგვლე ანუ სითეთრე საზოგადოდ დაჭვრეტილი რადგან ამ არსებასთან არის მოკიდებული ნამდვილად მყოფი არსი.

ბ ე ჭ ე დ ნ ი  ი დ ე ა თ ა — ბეჭედი არის ის გამომცხადებელი ნიშანი, რომელიც იხმარება საგნის გასაცნობლად და იმის სხვა ყოვლის ფერისაგან გამოსარჩევლად. ბეჭედნი არიან ორ ნაირნი ვითამც, არსებითნი (ესსანსიელ) და სხეობითნი (სპესიო)

არსებითნი არიან ის ბეჭედნი გინა ის სახენი თვინიერ რომლებისა არ შეიძლება რომ იდეა იმყოფებოდეს. და ეს ბეჭედნი არიან ჭეშმარიტება და სიბრწყინვალე (სიცხადე) (კლარტე)

ყოველი იდეა ჭეშმარიტი უნდა იყოს, ვითამც თანამსგავსი გინა შესაფერი (კონფორმ) თავისი საგნისა, და ის საგანი უნდა წარმოადგინოს სწორედ ისრე როგორც რომ არის იგი.

მაშ ის ცრუ იდეა არის, რომელიც არ წარმოადგენს საგანსა ისრე როგორიც რომ არის, და არ არის ის იდეა. მაგალითად: უკეთუ სიმრგვლე წარმოვიდგინო მე ოთხ-კუთხურად ანუ თუ სული ნივთიერისავით, მაშინ არ შექმ-ნება მე იდეა არც სიმრგვლისა, და არც არა სულისა.

კვალად ყოველი იდეა ბრწყინვალე და ცხადი უნდა იყ-ოს, ვითამც, საგანი იმ სახით უნდა წარმოადგინოს, რომ ჭკუვა მიხვდეს თუ რა არის ის საგანი? მაშ ბნე-ლი იდეა არ არის იდეა საგნისა, ვიდრემდისინ ბნელია იგი, როგორათაც ბნელი საგნის გინა დაბნელებული რაჲმის ნახვა, არ არის იმ საგნის დანახვა. — ბრწყინ-ვალე და ცხადი იდეა მაშინ იქმნება გარჩეული, როცა სა-გნის ნაირ ნაირ საკუთრებათა და ნაწილთა ეგრედ წარ-მოადგენს, რომ მით გონებამ თუ ჭკუვამ ადვილად გა-ნარჩიოს იგინი.

რათა რომ იდეა იყოს სრული, უნდა ჰქონდეს სითანა-სწორე ესე იგი თავის უვლად წარმოადგინოს საგნის ყოველი საკუთრება (პროპრიეთე) და ყოველი შესაძლისი დამოკიდებულობაცა (რელასიონ) მისი.

სახელობითნი იქმნიან ის ბეჭედნი, რომელნიც ზოგიერთი საცალკეო იდიების მწყობრთ საკუთრებანი არიან, მაგრამ უამათოდაც შეიძლება რომ იდეა იმყოფე-ბოდეს. ამ სახელობითი ბეჭდების შესაფერისად, შეიძლე-ბა იდიების ნაირ ნაირად განყოფა; ესე ვითარი განყოფა მრავალ სახედ იქმნება, გარნა ჩვენ აგსწერთ აქ იმ სახე-თა (ესპეს) რომელნიც ჩვეულებითნი და საზოგადონი არიან.

იდეანი შეიძლება განვიხილოთ: ა. სქესისა ებრ რო-მლითაც გონება მიაისახავს რამეებსა. ბ. ნაირ ნაირი ბუ-ნებისაებრ იდიის საგანთა.

ა. სქესისა ებრ რომლითაც გონება შეაისახავს რა-

მეებსა, იდეა იქმნება წრფელობითი ანუ განზრახვითი, მოადგილობითი და განყენილობითი, შეგვამებული (ქონ-კრეთ) და ამაღლებული გინა გონებითი. (აბსტრეთ)

წრფელობითი იდეა არის ის, რომელიც გვაქვს იმა-ზედ განუზრახავად როგორც მაგალითად მე იდეა მაქვს სიმრგვლისა, ცხენისა და სულისა, თუმც რომ არ ვფიქ-რო იმათ ზედა რადგან თუმც ამ წამს არ ვფიქრობ იმ-ათ ზედა და სხვა მრავალ საგნებთა ზედა რომელთაც ვს-ცნობ, გარნა აქეთგან არ შესდგება რომ ეს იდიები და-კარგული მქონდეს; ეგრედ რომ მარტო ერთი ლექსი და ერთი ნიშანი მეყოფა მე იმათ მოსაგონებლად. ხოლო განზრახვითი იდეა იქმნება მაშინ როცა იმათზედ ვიფი-ქრებ.

ბ. მოადგილობითი იდეა იქმნება მაშინ როცა საგნ-ის ყოველთა საკუთრებათა წარმოადგენს; ხოლო განყე-ნილობითი როცა წარმოადგენს იმ ყოველს საგნებსა რომლების საკუთრება არის ერთი და იმავე სახისა, მაგა-ლითად: დავსდვათ კაცის იდეა: მოადგილობითა წარმო-ვიდგენ მე კაცებრივი ბუნების ყოველ ჩემგნათ გაცნო-ბილს საკუთრებათა. ხოლო გამყენელობითა ყოველთ განუკვეთელთა, რომელთაც აქვსთ კაცობრივი ბუნება.

გ. შეგვამებული (ქონკრეთ) იდეა არის მაშინ, როცა სული სჭვრეტს რამე საგნის სახესა ანუ საკუთრებათა იმავე საგანში, ხოლო გონებითი (აბსტრეთ) იდეა გახ-დება მაშინ, როცა სახე ანუ საკუთრებანი განიხილვიან განცალკევებით საგნისაგან, მაგალითად: იდეა იგი რომ-ლითაც სახელდობ ამა და იმ კაცსა ანუ ამა და იმ მრავალ რამესა ვსჭვრეტ, არის შეგვამებული. ხოლო იდეა იგი რომლითაც ვსჭვრეტ კაცსა საზოგადოდ გინა კაცობ-რიობასა, ესე იგი კაცებრივის არსების გამსაზღვრელს საკუთრებათა, თვინიერ ვისამე საცალკეო კაცზედ მო-

ლებით იმათი, ეს იდეა იქმნება მაშინ გონებითი. აგრეთვე უკეთუ თვინიერ რომელიმე მრგვლის (სერკლ) წარმოდგენისა, განვიზრახავ იმას, რაც რომ მრგვალს შეადგენს, ანუ უკეთუ დავსჭვრეტ და განვიზრახავ სიმრგვლეს განცალკევებულად ყველა მრგვლისაგან და სხვა ყველა მრგვალი საგნისაგან, მაშინ მე გონებით ვტყობულობ; მაშ ჩემი იდეაც გონებითი იქმნება. უკეთუ ერთს საცალკეო გარჩეულ მრგვალ რამეზედ არა ვზრახამ, არამედ ვსჭვრეტ იმ ნაწილებსა, რომელნიც შეადგენენ სიმრგვლესა გინა თუ ვსჭვრეტ მარტო სიმრგვლის არსებასა, ანუ მრგვლიობასა ცალკედ ყოველა სიმრგვლისას ანუ სხვა დანაშთი მრგვალი რამისას, მაშინ რადგან გონებით ვტყობულობ მე, ჩემი იდეა გონებითი იქმნება.

ნაირ ნაირის ბუნებისაებრ საგანთა, რომელსაც წარმოადგენს, იდეა იქმნება პირველად მარტივი (სემპლ) ანუ შეზავებული ეგრედ რანაირათაც რომ იდიისაგან წარმოდგენილი საგანიცა არის მარტივი ანუ შეზავებული, შეზავებული იდიები არიან შემკრებელობითნი (კოლექტივ) ანუ განმყოფნი (დისტრიბუტივ) რანაირათაც რომ (სელონქ) სული დასჭვრეტს ნაწილთა რომელიმე მრთელის რამისასა თავიანთს შეკრებულობაში და ანუ თუ ვითარცა განცალკევებულთა ერთი ერთისაგან.

მეორედ. დამოკიდებულებითი ანუ თავის უფალი, რასახითაც წარმოდგენილი საგანი ანუ სხვასაც მოგვაგონებს და ანუ არა, მაგალითად: კაცის იდეა რომ მაქვს თავის უფალი არის; რადგანაც შემიძლია გავიგო კაცი თვინიერ სხვა რამეზედ განზრახვისა. ხოლო იდეა მამისა, პატრონისა, მიზეზისა და სხვაც, მიმართობითი გინა დამოკიდებულებითნი იდიები არიან. რადგან მამის თქმითა შვილი გაახსენდება კაცს, პატრონის თქმით მსახური და მიზეზის თქმით ნაყოფი. (ეფე)

მესამედ: მხოლოობითი; კერძობითი ანუ საერთო (უნივერსალე) რანაირადაც რომ იდეანი წარმოადგენენ ანუ განუკვეთელს, ანუ კერძობითს რაიმეს დ̃ ანუ საერთოს გინა საყოველთაოს. განუკვეთელი ის არის რომ არ შეიძლება მისი დანაკვეთება მრავალ მრთელის მსგავს ნაწილად, მაგალითად: ესა დ̃ ეს კაცი განუკვეთელია; დ̃ უკეთუ გაანაწილებ იმას, გექმნება კი მრავალი ნაწილი იმ კაცისა, გარნა არა მრავალი კაცი. — კერძობითი არის, რომელიც განუკვეთელთ მწყობრის მხოლოდ ერთს განურჩეველს ნაწილს შეიცავს, მაგალითად: ერთი კაცი, ანუ კაცები, რომელიმე კაცი ანუ ზოგი ერთნი კაცთაგანნი. — ხოლო საერთო გინა საყოველთაო შეიცავს ყოველს განუკვეთელსა ერთის სახისასა ანუ ერთის ნათესავისას, მაგალითად: კაცი, კაცნი დ̃ სხვაც.

პორფირისაებრ საერთო თუ საყოველთაონი ხუთნი არიან: ა. სახე ანუ რომელიც შეეფერება ერთიან მრავალ განუკვეთელთა, მაგალითად: კაცი. რადგან ეს კაცებრივი არსება ეკუთვნის მრავალთა განუკვეთელთა. ბ. ნათესავი ანუ რომელიც შეეფერება მრავალთა სახეთა, მაგალითად: ცხოველი; ეს არსება ცხოველისა შეეფერება კაცის სახესაც დ̃ პირუტყვთ სახესაცა. გ. განრჩეულობა ანუ ის რითაც ერთი არს სხვა არსისაგან განირჩევა; მაგალითად: შემტყობელობა ანუ სიტყვიერობა არის განრჩეულება კაცსა დ̃ პირუტყვებს შუა. დ. საკუთრება (პროპრ) ანუ ის, რაც ერთი არსის მთავარი ცნობისაგან წარმოსდგება, როგორც მაგალითად: კაცში საუბრის შეძლება შემტყობლობისაგან წარმოსდგება. ე. შემთხვევა ანუ ის რომელიც შესაძლებია მოხვდეს ერთს რამეში, დ̃ ურომლისოდ შეიძლება იყოს კვალად ის რამე, (ბოსუე) ესრედ სიცივე დ̃ სიცხე შემთხვევითნი არიან კაცისათვის.

ნეტავი შეიძლება ითქვას რომ შემთხვევითი იდეანი

იქმნება მოხდნენო? არა, იგივე შემთხვევითი საგნების იდეებიც საჭირონი და საუკუნონი არიან, როგორც ისი-ვე შესაძლები მყოფობა (ესსანს) და შესაძლებლობა იმ-ავე საგანთა, მაგალითად: მზე შემთხვევითია და შეიძლება არ იყოს; მაგრამ მზის იდეა საჭირო და საუკუნოებითია საუკუნოდ და საჭიროებითად ნამდვილია რომ მზე შესა-ძლისია. მაშ მზის იდეა საუკუნოებითგანვე არის ღვთის შემტყობელობაში. — ხოლო თუ იდეის თქმით მარ-ტივი რამე მოქმედება ანუ სულის საქმე რამე გვესმის, კაცის ყოველი იდეები შემთხვევითნი არიან, საგანი კი გინდ შემთხვევითი იყოს გინდ საჭირო. რადგან შეიძ-ლებოდა თვითან კაციც არ ყოფილი იყო და ვსთქვათ რომ არის კაცი თვითეული იდეისათვის ცალკ ცალკედ ადებით შეგვიძლია ვსთქვათ რომ, შეიძლებოდაც არა ჰქონებოდა.

უპირველესი უწყებანი (ცნობანი) და ჭეშმარიტებანი.

უწყება (ცნობა) ჭეშმარიტებისაგან ამით განირჩევა რომ უწყება ქვემდებარებითი არის, და შეიძლება შეირაცხოს იმ საქმედ რომლითაც ვსცნობთ ჭეშმარიტებასა, ხოლო ჭეშმარიტებაა საგნებრივი და შეიტყობება შესწა-ვლილი (ცნობილი) საქმე. — მაშასადამე უპირველესი უწყებანი, არიან ჩვენი უპირველესნი ცნობანი. — და უპირველესნი ჭეშმარიტებანიც არიან ის პირველი საგან-ნი (რაჲმენი) რომელთაც ვსცნობთ.

ერთი სიტყვით უპირველესნი უწყებანი და ჭეშმარიტე-ბანი ითქმიან ისინი, რომელთაც ყოველი კაცი ცოტა რამ ჭკუვის ხმარებით გაიცნობს, მაგალითად: თავის თავის და ქვეყნის მყოფობასა, და ანუ უპირველეს დასა-წყისთა რომელნიც თავით თვისით ცხადნი არიან და არ სჭირვიათ დამტკიცება მაგალითად: არ იქმნება ნაყოფი უმიზეზოდ; ერთი და ისივე რაჲმე არ შეიძლება რომ ერთ და იმავე დროს თან იყოს და თან არ იყოს, ნუ უხამ

სხვასა იმ საქმესა, რაც არ გინდა რომ სხვათა გიყონ შენ ისა, და სხვაც.

## თ ა ვ ი ვ.

მოქმედებითობისათვის და ნაირ ნაირის მისი ბეჭდებისა — მოქმედებითობა ნებიერი და თავის უფალი — დამტკიცება თავის უფლებისა.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ო ბ ა და მ ი ს ი ნ ა ი რ ნ ა ი რ ნ ი ბ ე ჭ ე დ ნ ი. მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ო ბ ა ნ ე ბ ი ე რ ი და თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი — მოქმედებითობის თქმით გვესმის ის ძალი რომელიმე არსისა, რომლით შეუძლიას მას თავის თავად განსაზღვროს და გარდასწყვიტოს რამე, მით მომქმედი ვარ მე მაშინ როდესაც ვფიქრობ და მნებამს, მაგალითად: ოდეს ვფიქრობ სიმრგვლეზე; და ოდეს ვფიქრობ რომ 2- 2- 4 შეადგენს. ამ განსაზღვრილობას რადგან ჩემს გარედი სხვა არსით არა ვშვრები, მაშ მე ვარ გამსაზღვრელი, მე ვარ მცნობი და მფიქრებელი გინა ოდეს არ ვისაზღვრები მე ჩემს გარეთი ერთი რომელიმე განრჩეული არსისაგან; მაშ მეგვ ვსაზღვრი, ვსცნობ და ვფიქრობ ჩემის საკუთარის ძალითა, და იმ ძალითა რომელსაც მიმხედურობა ჰქვიან... ესრეთვე ოდეს მნებავს რამე, მაშინაც კიდევ მე ვარ რომელიც გარდავსწყვეტ და ვინებებ რამეს, იმ ძალითა რომელიც ჩემი საკუთრებაა, და ამ ძალას ჰქვიან მნებელობა.

მნებელობის მოქმედობითობას მრჩობლი ბეჭედი აქვს, ვითამც შეიძლება იყოს იგი ან მარტივად ნებიერი და ანუ თავის უფალი. მაგალითად: მინდა ბედნიერი გავჴდე, ეს მოძრაობა და ბედნიერებისაკენ ქონებული მიდრეკილობა, თუმც საჭიროებითი არის, რადგანაც არ

შეგვიძლია რომ არ გვნებევდეს ბედნიერებსა, გარნა მაინც კიდევ ეს საჭიროება ბედნიერად გახდენისა მარტივად ნებიერი არის, კვალად ოდეს მნებავს სიარული ანუ დაჯდომა, ეს სიამოვნე დ̃ ანუ ის შეწუხება, მაშინ ესე ვითარი გარდაწყვეტილებაც ნებისა, დ̃ ამის გარდა თანვე თავისუფალი:

დამოწმება გინა დამტკიცება თავისუფლებისა — თავისუფლება არის შეძლება ერთი რამის აღრჩევის მრავალი. სხვა დ̃ სხვა საგნებისაგან, ესრეთვე შეძლება მნებელობისა დ̃ არა მნებელობისა. ახლა უკეთუ გამოვიცნავ საზოგადო კეთილს რომელიც ყოველგან დ̃ ყოველთვის მიუცილებლად გვნებავს მაშინ სხვა ყოველსა დანაშთი რამე შეგვიძლია აღვირჩიოთ ნებიერად, ანუ დავითხოვოთ. ვინებო ყოველი იგი რაც რამ კეთილისავით თვალ წინ დამიდგება მართლიადაც შემიძლია დ̃ დავსტოვო რაც რამ ბოროტად მიჩნს, ახლა არც ერთი არსი არ არის რომლისაც არ შემეძლოს კეთილისავით შერაცხვა, დ̃ კვალად არც ერთი არსი არ არის რომლისაც ბოროტად მიჩნევა არ შემეძლოს, რომლების დამტკიცებაც შემიძლია ესრედ; ყოველი რაც გ-იმყოფება ზომიერია ანუ განუზომელი. ა. ზომიერი შეიძლება ვინებო, რადგან შემიძლია წარმოვიდგინო იგი სისრულის მქონე არსისავით, დ̃ ამ ნაირის განხილვითა კეთილია იგი ჩემთვის — შემიძლია არ ვინებო, რადგან შემიძლია განვიხილო ისა თავის საზღვარის გინა უსრულობის კერძოდ, ანუ ვითარცა ჩემი მაბრკოლებელი გინა მომწყვეტელი ამ დ̃ იმ კეთილისაგან, რომელთანაც იმას არ შეუძლია შეერთება, დ̃ ამ ნაირი განხილვითა ბოროტი არის იგი ჩემთვის, დ̃ ამისთვის მაშა სადამე შემიძლია დავსტოვო იგი. ბ. შემიძლია განუზომელი ვინებო, რადგან ყოველი სისრულე აქვს დ̃ შეიცავს იგი-

ყოვლის სიკეთესა, დ҃ მეც ამავ ნაირათვე შემიძლია განხი-
ლვა მისი — შემიძლია კვლავ დატოვება განუზომელი-
სა, რომელიც აბსტრაქტი რამ არ არის, არამედ ჭეშმა-
რიტად ნამდვილი დ҃ მყოფი არსია რომელიც არის ღმ-
ერთი; აწ ღმერთი ახლავე თავის თავს რომ მიშურებს
მე, დ҃ მეორე კერძოთაც რომ მიშლის მე რომელიმე და-
სასრულებელი გინა ზომიერი სიკეთების დამშვენებასა,
შემიძლია განვიხილო იგი ვითარცა დამშლელი ჩემთვის
თუ თავისი დამშვენებისა დ҃ თუ ზომიერი ამა დ҃ იმ სი-
კეთებისა, დ҃ ამ განხილვითა შემიძლია დავსახო იგი ჩემ-
თვის ბოროტსავით, მაშა სადამე შემიძლია დავსტოვო-
მე ისა, დ҃ უპრიანესად დავთვალო ზომიერი გინა ყამი-
ერი სიკეთები რომელთაგანაც მაშორებს მე იგი.

უკეთუ ზეცად მყოფი წმინდანებისავით განუზომელ-
კეთილს გინა ღმერთს ვიმშვენებდე, თავის უფალი ვიქმ-
ნები კიდევ არა ღვთისა მიმართ, რადგან განუზომელი
კეთილის დამშვენებელს აღარ შეუძლია რჩევაში შესვლა
განუზომელისა დ҃ ზომიერის შუა, დ҃ დაჭიროებითად
აჯობინებს დ҃ ირჩევს განუზომელსა, მაგრამ შემეძლო
კვალად რჩევის ქმნა ზომიერთ გინა ყამიერთა კეთილთა
შორის, დ҃ ეს თავის უფლობაა რომ დაშთენია მხო-
ლოდ ნეტარელთა.

თავისუფლება დამტკიცდება კვლავ შინაგანი მგრძნო-
ბელობისაგან, რომელიც მემოწმება მე რომ გარდა სა-
ყოვლიერო კეთილისა ანუ ბედნიერობის მნებელობისა,
სხვა ყველა ჩემი ნების განსაზღვრილებანი ეგრეთნი არ-
იან რომ შემეძლო სხვა რიგადაც მენება. ეს ჭეშმარი-
ტება მტკიცდება კვლავ საქვეყნო თანახმობისაგან კაცთ
ნათესავისა: თუ რომ კაცი თავისუფალი არ არის, მაშ
რად არიან განწესებულნი კანონნი (ზაკონები) რიგები,
დამსჯელობანი, ქებანი, მხილებანი, სასყიდელნი დ҃ მა-

ტიუნი? რადგან სასტიკო და უსარგებლო რამ იქმნება კანონების დება, ბრძანება და რამის აღკრძალვა იმ არსისათვის, რომელმანც თავისი ბუნებითი სჯულისაებრ მიუცილებრივ უნდა იმოქმედოს. დაჭირებითად უსარგებლო და სასტიკო იქმნება ქება გინა ძაგება, დაჯილდოვება ანუ დასჯა იმ კაცისა, რომელიც თავის მოქმედებულის გარდა სხვა ნაირად ვერ შეიძლებს რამის ქმნას, დაჰპირდი ანუ გინდ დაექადე, რა სარგებელი? ყველა დაპირებანი და დაქადებანი უსარგებლო იქმნებიან და არა ფერი გავლენა ექმნებათ იმ კაცზედა, რომელიც თავის უფალი არ არის — ხოლო ასლა ყოველი კაცი წყნარულობს კანონების საჭიროებასა, ქებათა და მხილებათ სარგებლოობასა, დაჯილდოების და დასჯის სიმართლესა, მაშა სადამე კაცი თავის უფალი არის ერთისა ანუ მეორის თანახმად მოიქცეს.

ა ხ ს ნ ა  წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა  გინა  ს ი ძ ნ ე ლ ე თ ა. თავისუფლების პირდაპირად ნაქმნარნი წინააღმდეგობანი არიან წარმოსულნი ზოგნი თავისუფლების, ზოგნი მნებელობის ბუნებისაგან და სხვანიც ღვთიური წინად განხილვისა და თანა მოქმედებისაგან.

წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა  ა. მიუცილებლად გინა დაჭირებითად გაცნობილ რამებში უკეთესს გამოვირჩევთ.

მიგება. სრულიად არა, ოღონდა ის უკეთესი რამ არ იყოს განუზომელი უსაშუალოდ გინა აწვე შექმნილი, იმის გარდა კი ყოველთ საგანი. იგივე განუზომელიც ვიდრემდისინ არა მაქვს შეძენილი, არ შეირაცხება ჩემთვის ის უაღრესი გინა უმწვერვალესი კეთილი ვითარცა მხოლოდი და დაჭირებითად სანდომელი.

მ ნ ე ბ ე ლ ო ბ ი ს  ბ უ ნ ე ბ ა.  წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა  ბ. მნებელობა განურჩეველია ყოველა რამისათვის რაც არ არის უაღრესი კეთილი, მაშ საჭიროა

რომ მისი გარდაწყვეტილება წინ წარმოვიდეს ერთი რომელიმე გარეგანის ძალისა ანუ მიზეზისაგან. ხოლო აწ რაც რომ სხვისაგან აღძრულია, იგი არ არის თავის უფალი.

მიგება. მნებელობის განურჩევლობა მარტივად და სრულიად ვნებითი არ არის; არამედ მოქმედებითიც არის, ამ რიგად რომ, როცა მინდა, მე ჩემი საკუთარი ნებით გარდავწყვეტ ჩემში, და ჩემთავად ვირჩევ ან დავსტოვებ ჩემს წინაშე წარმომდგარს კეთილსა.

ღ ვ თ ი უ ლ ი წ ი ნ ა გ ა ნ ხ ი ლ ვ ა გინა წ ი ნ ა დ ც ო დ ნ ა. წ ი ნ ა მ დ დ ე გ ო ბ ა, გ. ღვთისაგან წინად განხილული საქმე რამე, არ შეიძლება არ აღსრულდეს, თუ არა და ღმერთი მოტყვილებული იქმნება, ხოლო ახლა ის საქმე რომელიც არ შეიძლება არ აღსრულდეს, საჭირო საქმეა და არა თავისუფალი.

მიგება. საქმე არა თუ იმისთვის აღსრულდება რომ ღმერთი წინათვე სცნობს მას, არამედ ღმერთი წინათვე ხედამს მას იმისთვის, რადგან იცის რომ უნდა აღსრულდეს იგი.

ღ ვ თ ი უ ლ ი თ ა ნ ა - მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. წ ი ნ ა მ დ დ ე გ ო ბ ა, დ. თუ ღმერთი ჩვენში ყოვლითვრის მქმნელი არის, და თანა-მოქმედი ყოველს ჩვენს საქმეებში, მაშ აბა არა თუ მარტო არა ვართ თავის უფალი, არამედ არა ფერსაც არა ვშვრებით.

მიგება. ღმერთი ყოველივეს მოქმედებს ჩვენში, გარნა მოქმედებს ვითარცა უპირველესი მიზეზი; უტოვებს, მაშ, მეორობით მიზეზს თავის ბუნებითს მოსაქმურობასა. ეს მოსაქმურობა საჭიროებითია იმ არსთათვის, რომელნიც მათდამი მიცემული ბუნებითის ძალით მოქმედობენ, მაგალითად: უსულო არსნი და პირუტყვნი. ხოლო მოსაქმურობა თავის უფალი არის იმ არსთათვის

რომელნიც თავიანთ თავად თავისშიდ გარდასწყვეტენ თავიანთ საქმეს, მაგალითად: სიტყვიერების მქონე კაცნი — ღმერთი თავისი თანამოქმედებით ინახამს ჩვენში ჩვენს თავისუფლობასაც, ისე როგორათაც ჩვენს ნებასა, და მყოფობასა.

## თ ა ვ ი ზ.

პიროვნობისა გინა გვამობრიობისათვის, სულის უსხეულობისათვის, სულისა და ხორცის განრჩეულობისა და იმათი ურთიერთთან მიმართობისა და დამოკიდებულობათათვის.

გ ვ ა მ ო ბ რ ი ო ბ ა — პირის გინა გვამის თქმით გვესმის ის არსი, რომელიც არის დასაწყისი და უფალი თავისი საქმეებისა, რომელიც მოქმედობს, და თავის თავად თავისშიდ გარდასწყვეტს რამეს. კაცი გვამი არის, რადგანაც თავის თავად მოქმედობს და თავისში აქვს თავისა შემტყობელობითი თუ მნებელობითი და თუ მგრძნობელობითი საქმების დასაწყისი.

კაცობრივი გვამობრიობა შეიცავს ხორცსა და სულსა, ანუ უკეთესად რომ ვსთქვათ, არც ხორცი არის მარტო და არც სული რომელნიც ადგენენ ჩვენში გვამობრიობას. ცხადი არის ჯერედ რომ მარტო ხორცი არ კმარა გვამის შემადგენელად, რადგან მხოლოდ ხორცს არ შეუძლია საქმობა: მაშა სადამე არც დასაწყისი არის და არცადა უფალი თავის საქმებისა. აგრეთვე ვერც მარტო სული შეადგენს გვამსა, მართალია, რადგან სული მარტოდ შეუძლია იცნოს და ინებოს, მაშა სადამე მარტოთაც თავის თავათ დასაწყისი და უფალია რომელიმე ყოვლადუსაზღვროს და არსებითით საქმეთა; მაგრამ შემტყობელო-

ბისა და მნებელობის გარდა, სხვა შემძლებელობაც აქვს მას, რომლის ხმარება უხორცოდ არ შეუძლია, რომელიც არის მგრძნობელობა. მაშა სადამე უხორცოდ სული არ არის სრული დასაწყისი თავისი საქმებისა. და ესრედ კაცებრივი გვამი შესდგება სულისა და ხორცისაგან ერთად შეერთებულისა.

უ ს ხ ე უ ლ ო ბ ა ს უ ლ ი ს ა — სული არის იგი რომელიც სცნობს ჩემში, ჰნებავს და მგრძნობელ ჰყოფს ჩემს ხორცსა, ასულიერებს იმას და აცოცხლებს, და იგი არს დასაწყისი ჩემის სიცოცხლისა — სულიერის თქ-ით გვესმის დამოუკიდებელობა ერთი არსისა ნივთთან. ახლა ის, რაც ჩემში ჰსცნობს და ჰნებამს დამოუკიდებელია ყველა სხეულთან გინა ნივთთან, მე ვსცნობ და მნებამს შორეული საგნები, სულიერნი და გონებითნი, ამ საქმისათვის ნივთი არ არის საჭირო, მაშა სადამე შემიძლია ცნობა და ნებვა თვინიერ შემწეობისა ნივთიერთა არსთა.

სხვა დამტკიცება. ნივთს არ შეუძლია იფიქროს, ინებოს და იგრძნოს, მაგალითად: (არ შეუძლია) დაინახოს, შეიტყოს, შესწუხდეს, გამხიარულდეს და იმოძრაოს. ხოლო მე ამათ ყოველივესა ვშვრები და ვტყობულობ, მაშა სადამე ჩემში ერთი რამე უნივთო დასაწყისი არის — ამ წინადადების უმთავრესს ვამტკიცებ ესრედ: ხორცის შემადგენელი ნივთი შემდგარია გინა შეზავებულია, და მისი კავშირებისაც მარტივად დაჭვრეტით უეჭველია რომ მაინც კიდევ უძრავია და თავის თავათ არ შეუძლია მოძრაობა თვინიერ რომელიმე მიზეზის მიცემისა, ხოლო არც შემდგარ რამეს და არცა რა უძრავს (ინერტე) არ შეუძლიათ იფიქრონ, ინებონ, ჰგრძნონ, იმოძრაონ, და სხვაც — შემდგარ გინა შეზავებულ რამეს არ შეუძლიან ფიქრობა ზრახვა და არცა რა ნებვა — რათა რომ შემდგარ რამემ შეიძლოს განზრახვა და ნებვა საჭირო არს

რომ ამ შემდეგი სამი იპოტეზისაგან ერთი და ერთი შე-ვიწყნაროთ.

ა: იპოტეზი (ჰიპოტეზ) ერთი ნაწილი ფიქრობს და მეორეს ჰნებამს — გარნა რადგან მნებელობა სხვა არა რაჲ არს თუ არ შემტყობელობისაგან წინ მორთმეულ კეთილზედ მიზიდულობის და მიმართულობის ქონვა; უკეთუ ამ ნაწილს, რომელმაც უნდა ინებოს არ შეუძლია დაჭვრეტა და ჩასვდენა იმ კეთილისა, რომელსაც წარმო-დგენს მას ნაწილი იგი რომელიც სცნობს, ვერცადა ინე-ბებს, ხოლო უკეთუ ჩასწვდება, მაშა სადამე იცნობს და ინებებს კიდეცა.

გარნა იქმნება სთქვას ვინმემ, რომ ის ნაწილი რო-მელიც სცნობს, აღბეჭდავს მოძრაობას და მიზიდულო-ბას იმ ნაწილზედ რომელიც არა სცნობს, და ეგრედ ანებებინებს იმას? თუ ეგრედ არის, მაშ უნდა ვსთქვათ, რომ ის მცნობელი ნაწილი არა თუ მარტო სცნობს, არამედცა მიიზიდვის ნაცნობს საგანზედა, რადგან სძ-რამს მეორე ნაწილს რათა რომ მიიყვანოს საგანითანა: მაშ კვალად იგივე არის რომელიც სცნობს და ჰნებავს.

მეორე იპოტეზი. თვითეულთ ნაწილთაგანი ფიქრობს და ჰნებამს: უკეთუ ესრედ არის; სულს რამდენი ზრახვა (ფიქრი) და ნება უნდა ჰქონდეს, რამდენი ნაწილებიც ექმნება. ხოლო აწ შინაგანი მგრძნობელობა გვიცხად-ებს ჩვენ რომ ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ერთი ზრახვა და ერთი ნება გვაქვს.

იქმნება სთქვა რომ ორი თვალი და ორი ყური მაქვს, ორნივე ხატნი ერთად იბეჭდვიან ჩემ თვალებში, გარნა მე კი მარტო ერთ ხატს ვხედამ, აგრეთვე ყურებში ორი ძიძგინი ერთად მომდიან მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ მარტო ერთი ხმა კი მესმის: მოგახსენამ რომ ეს მაგა-ლითი ჩემს წინადადებას ამტკიცებს, ერთი სახის შეტყ

რომ არ გსურდავ და ერთი ხმის მეტი რომ არ შესმის მიზეზი ეს არის, რომ თვითეულ სასაქმოებშიდ გინა ორღანოებში გამოცემულნი ორ გეცი აღიბეჭდილებანი მიდიან და ერთდებიან ერთს მხოლოდს და საზოგადო წერტილზედ.

მესამე იპოტეზი. განზრახვა განყოფილია ნაირ ნაირი შეზავებულის ნაწილებში: და აგრეთვე არის კვალად ნებაცა. — გამოვიძიოთ პირველად განზრახვა (ფიქრი): უკეთუ წარმოვაჩინოთ გინა დავამტკიცოთ, რომ განზრახვა არ იპოვება, თუ არ მარტივ არსში, მისთვის რომ მხოლოდ განზრახვის შემძლეს შეუძლია რომ ინებოს, მაშინ ამითი დამტკიცდება ესეც რომ მხოლოდ მას შეუძლია ინებოს, რომელიც მარტივ არის. ხოლო აწ ზრახვა არ შეიძლება განყოფილი იყოს შეზავებული რამის სხვა და სხვა ნაწილებში: მიზეზიც ეს არის რომ ჩვენი ნათქვამი განზრახვა მარტივი, უნაწილო და გაუყოფელი არის. — მართლიადაც ზრახვის საგანი ან მარტივია ანუ შემდგარი გინა შეზავებული. — უკეთუ მარტივი არის, მაშ იმისი ზრახვა და იდეაც უნდა მარტივი იყოს, თუ არა, საგანსა როგორც რომ არის ისე ვერ წარმოადგენს. — ხოლო თუ შეზავებული გინა შემდგარია, საჭირო არის კვალად რომ მფიქრებელი (გონიერული) დასაწყისიც მარტივი იყოს. ვსთქვათ, რომ ერთი არსი რომელიც წარმოიდგენს თავის თავსა ერთ შემდგარ საგანს, მაგ: ერთ სახლს, თვითანაც შემდგარი იყოს. ესეც სხვა რიგად არ განიმარტება, თუ არ ხელახლავ ორის ქვემდებარეებით გინა იპოტეზებითა, რომელნიც მსგავსადვე არ არიან შესაწყნარებელნი. ა. ერთი სახლის რომელიმე ნაწილი მაგ. ავილოთ ერთი კარი, წარმოდგენილ იქმნება სულის ერთ რომელსამე ნაწილში, და სხვა ნაწილიც მაგ. სარკმელი სხვა მეორე ნაწილში. აწ გკითხამ თუ როგორ შეეო-

დინება რომ ეს სარკმელი და ის კარი ერთის მრთლივობას ეკუთვნის? მაშა სადამე ვერ შეგიძლია ერთი შემდგარი რამის იდია იქონიო, იმავნაირათვე როგორათაც არის, თუ რომ არ იყოს შენში ერთი დასაწყისი მხოლოდი და მარტივი რომელმანც წარმოიდგინოს ერთად ყველა იმ შემდგარი რამის ნაწილები, რათა რომ შეიტყოს მათი მიმართობა და გნრჩეულობა. ბ: ანუ თუ სხლი ერთიან იყოს გამოსახული გინა ცნობილი სულის თვითეულ ნაწილებში; ამ შემთხვევაშიდაც უნდა იმდენი სხლები ჩავისახო, რამდენი ნაწილნიც რომ იქმნება სულში, ესეც გამოცილების წინაღმდეგი არის. — შემდგარი საგნის იდია მარტივი საგნის იდიასავით არის, მაშასადამე საჭიროებითად მარტივი და ერთადერთია, ამა მიზეზისთვის არის იგი კვალად განუყოფელი, და იპოვება მხოლოდ იმავნაირ ერთადერთს და მარტივს დასაწყისში. მაშა სადამე სული გინა მფიქრებელი დასაწყისი (გონივრული) მარტივი და გნუყოფელი არის.

სულის მარტივობა მტკიცდება კვლავ მისი სხვა საქმებისაგან, ვითამც განმსჯელობისა, გონებით-ბრძნობელობისა გინა სიტყვიერებისაგან, მგრძნობელობისა და მეხსიერებისაგან.

ა. განმსჯელობა: როგორ შემიძლია განსჯა რომ ორნი საგანნი ერთნაირი არიან თუ არა? უკეთუ არიყოს ჩემში დასაწყისი რამე ერთადერთი და მარტივი, რომელიც ორთავ საგნებსა ერთად არ სჭვრეტდეს და ერთმეორესთან არ აფარდემდეს?

ბ· გონებით-ბრძნობაც გინა სიტყვიერება თავის კვეძით სამს კიდურს გინა აღსასრულს ანუ სამთა იდიათა თხოულობს და სამ-წინადადებათა ცნობილთა და შეფარდებულთა იმავე დასაწყისისაგან.

გ· მგრძნობელობა: როგორ შევიძლებთ სხვა და სხვა

მგრძნობელობის გინა საგრძნობლების და ანუ ერთი და იმავე ორგანოს ნაირ ნაირი გრძნობის გარჩევასა, მაგალ. ხმეებისას, ფერებისას, მძიმე (უშნო) და ტკბილი ხმეებისას, წითელისას, ლურჯისას, შავისას, და თეთრისას, უკეთუ ეს ყოველი აღბეჭდილება არ თავდებოდეს ერთის რომელსამე წერტილზედ და ერთად ერთის და მარტივ დასაწყისზედ, რომელმანც იმ ყველას მიღებით და შენახვით ხან ერთან და ხან რიგრიგისად შეიძლოს იმათი შეფარდება და გარჩევა ერთმანერთისაგან?

დ. მეხსიერება: როგორ შევიძლებ განხსენებას ანუ ხელახლავ მოგონებასა, რაც რომ ადრე განმიზრახია, მინებებია, მინახია და გამიგონია, უკეთუ არ იყოს ჩემში დასაწყისი რამ ერთადერთი, რომელიც ფიქრობდეს, ნებამდეს, ჰხედამდეს ესმოდეს და სხვაც, და ინახამდეს თავისში ამ ერთმანაერთიზედ მოკიდებულთ მოქმედებათა და აღბეჭდილებათა?

სულის სიმარტივე დავამტკიცეთ რა, დავამტკიცოთ ახლა იმის მოსაქმურობაცა.

— ა. უძრავ არსს არ შეუძლია არც განზრახვა და არც მნებელობა. — თავისთავად უძრავი არსი, ესე იგი ნივთიერი, განურჩეველია მოძრაობაზედ და უძრაობაზედ გინა უძრავათ დაშთენაზედ; და თავისთავად არ შეუძლია რამე გარდაწყვეტილების ქმნა ანუ შეცვლა. — ხოლო აწ ცნობა, განზრახვა, მოფიქრება (რეფლეშირ) და მნებელობა თავისთავად გარდაწყვეტილობის ქმნა არის. —
— მართლიადაც თუ ჩემთავად ვერ გარდავსწყვეტ როდესაც ვსცნობ და მნებავს, მაშინ, შესწავლული და ნებებული საგანი იქმნება რომელიც თავის აწმყოობითა და მოქმედებით განმსაზღვრის მე, ანუ წარმოშობს ჩემში იდეასა და ნებასა. — მაგრამ მე ბევრჯერ იმისთანა საგნებს ვიცნობ და ვნებელობ რომელნიც აწმყოდ არ მოი-

პოებიან ანუ იმ საგნებს რომელნიც არ არიან, გარნა მხოლოდ შესაძლისნი კი არიან. — ხოლო ის რაც არ არის, არავითარი აღმბეჭვდელობის ქმნა არ შეუძლია.
— პ. მაშა სადამე ჩემში მყოფი მოვიქრებელი და მნებებელი დასაწყისი, არ მიიღებს გარდაწყვეტილებას შესწავლილი და ნებებული საგნისაგან, არამედ თავით თვისით თავისშივე გარდასწყვეტს; მაშ აბა აქედგან მტკიცდება რომ მოსაქმურია იგი — ხოლო ყოველი ნივთიერი რადგან უძრავი (ინერთ) არის. მაშ ის დასაწყისი რომელსაც ვუწოდებ სულს, არ არის ნივთიერი.

განრჩეულობა სულისა და ხორცისა, და იმათი მიმართობა (რაპპორ). მათი განრჩეულობა, წინად ნათქვამი დამტკიცებებისგან სჩანს და მტკიცდება, რომ სული არის მარტივი, მოსაქმური, და შემძლე ცნობისა და მნებელობისა: ხორცი არის შემდგარი გინა შეზავებული, უძრავი, და ვერ შემძლე ცნობისა და მნებელობისა.

მათი მიმართობა. მიმართობის გინა დამოკიდულობაების თქმით გვესმის რომ სულს უხორცოდ არ შეუძლია (მოიხმაროს) ხმარებაში შეიტანოს თვისი (ენფერიორ) მდარე ჩამო შეძლებანი, ვითამცა, გრძნობა, დანახვა, გაგონება, მოძრაობა, გამხნევება და განცხოველება. — ხორცსაც უსულოდ არ შეუძლია გრძნობა, დანახვა, სმენა, შეწუხება, გამხიარულება, შეძრვა, რადგან უსულოა და მკვდარი და თავით თვისით არა რაჲს შემძლე.

ხოლო საუბარი უკვდავებისათვის სულისა იძიე მეოთხე ნაწილის ზნეობის მეტყველებაში. თავი დ.

# ნაწილი მეორე.

## ლოღიკა.

### თავი ა.

ჭეშმარიტებისა, შეცდომილებისა, განცხადებულობისა, (ევიდანს) სინამდილისა, (სერთიტუდ) და დასაჯერებელისათვის (პრობაბლ).

ჭეშმარიტებისათვის, ჭეშმარიტი არის ის რაც არის, ანუ არის არსი იგი რომელიც არს საგანი შემტყობელობისა; ხოლო ჭეშმარიტება არის შეთანხმავება გინა ერთნაირობა იდიისა მისგან წარმოდგენილს რამესთან და ცნობელობისგან ნაცნობ საგანთან. — ჭეშმარიტება განიყოფება მეტაფიზიკურად, ბუნებითად გინა ფიზიქურად, ლოღიკებრივად და ზნეობითად.

ა. მეტაფიზიკებრი ჭეშმარიტება არის იგივე არსება და შესაძლისობა რამისა, ანუ შესაბამობა საგნის თვისებათა. ესრედ მეტაფიზიკური კაცის ჭეშმარიტება ამასა შინა არსებობს რომ, უნივთო სულსა შეეძლოს შეერთება ორღანოსანს ხორცთანა და მით მრთლიობა შესდგეს.

ბ. ბუნებითი ჭეშმარიტება არის მყოფობა რამისა, ანუ საქმით აღსრულება შესაძლისი საგნისა, ანუ თუ შეფერებულობა მყოფი არსისა თავის არსებასთან. — ესრედ კაცის ბუნებითი ჭეშმარიტება არის, ის რომ კაცი არის, ანუ მყოფობა რაჲმე არსისა, რომელში საქმით იყოს შესრულებული შესაძლებელობა გინა კაცებრივი არსება, ვითამც, რომელშიაც იყოს შეერთება უნივთო

სულისა ორგანოსან ხორცთანა.

გ. ლოღიკებრივი ჭეშმარიტება არის იგივე მცნობელობა საგნისა; რომელიც არის განხილული ჭეშმარიტება შემტყობელობაში, თვიიან ლექსიცა ესე ჭეშმარიტება მჭიდროდ რომ ვილაპარაკოთ, ლოღიკის ჭეშმარიტებას შეესაბამება: — მაშ ლოღიკებრივი გინა საყოველთაო ჭეშმარიტება სხვა არა ფერია, თუ არ თანამსგავსება, მცნობელობისა შესწავლილს გინა ცნობილს საგანთან. — ესრედ როცა კაცის თქმით მესმის არსი რამე შედგენილი უნივთო სულისა და ორგანოსანისა ხორცისაგან, ჩემი იდეა ლოღიკურად ჭეშმარიტი არის.

დ. ზნეობითი ჭეშმარიტება არის გულის ხმიერი არსის ყოფა-ქცევის შესაბამობა თავის ბუნებით სჯულთან: მაგალითად, «ნუ უზამ სხვას იმ რამეს, რაც არ გინდა რომ სხვათა გიყონ შენ».

შეცდომილებისათვის. შეცდომილება არის ნებიერი ცრუ მსჯელობა, რომელიც განირჩევა ა. უმეცრებისაგან, რომელიც ვერა ჰსცნობს საგანს: ბ. ეჭვისაგან, რომელიც ყოყმანობს ორს წინადმდეგ განმსჯელობაში, და ვერც ერთს კერძოს ვერ მიჰყოლია: გ. გონისაგან, რომელი თუმც კი ორს წინადმდეგ ჰაზრთაგან ერთზედ მიდრეკილია, მაგრამ თვინიერ გარდაწყვეტილი სჯის მოდებისა მასზედ. — გონებას თავის თავად დამთენილსა როცა არ იცის ანუ ეჭობს, არ შეუძლია გარდაწყვეტით განსჯა რამისა, რადგან მისი საგანი რომ ჭეშმარიტება არის, მხოლოდ ჭეშმარიტში და ჭეშმარიტად შესწავლილს რამეში შეუძლია მას განსვენება. მაშასადამე მნებელობა შუაში უნდა შევიდეს, და აღუკრძალოს რომ მიმხდურობა არ დაჰყვეს და ძალდატანებულიც გაზადოს იგი რათა არ იქმნას ანუ მსუბუქობით დაამტკიცოს და ანუ უარი ჰყოს რამე. ამისთვის შეცთომილების

განისაზღვრების ნებიერ ცრუ მსჯელოისად. (იხიე ლოღიკის ბოლო იბ. თავში შეცდომილებისათვის.)

დ ა ს ა ჯ ე რ ე ბ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, — წინადადება რამე დასაჯერებელია (პრობაბლ), როცა დაფუძნილია იმისთანა დამტკიცებაზედ (საბუთებზედ) რომ თუმცა ჭეშმარიტებას ვერ დაამტკიცებენ, მაგრამ მაინც იმნაირნი არიან რომ არა ვითარს წინაღმდეგობას არ შეუძლია მათი მოშლა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ უ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, — ერთი რამე მაშინ არის თავით თვისით ცხადი, როცა არ შეიძლება სხვა ნაირად იყოს; და ცხადი არის იგი ჩვენთვის მაშინ, როცა ვხედამთ რომ არ შეიძლება ისე არ იყოს. — ორნაირი განცხადებულობა არის: განცხადება უსაშვალო და განცხადება საშვალობითი: ა. განცხადება უსაშვალო ანუ დამჭვრეტელობითი, როცა წინადადებას წარმოვსთქვამთ თუ არა, სული ძალდატანებული გასჳდება მიხვდეს და შეიწყნაროს იგი: მაგ. მთელი უდიდესი არის თავის თვითოეულს ნაწილზედ. — ბ. განცხადება საშვალობითი ანუ შედრკინებითი (დისქუსივ) არის, როცა დამტკიცებისაგან (საბუთებისაგან) წარმოსდგება და გონებითი-ბრძნობით შევიძლებით იმის მიხვდენასა.

ნ ა მ დ ვ ი ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, ნამდვილობა მაშინ იქმნება, როცა სულმან იცის რომ სცნობს ჭეშმარიტებასა, თვინიერ მასზედ მოტყუილების შიშის ქონვისა. — ნამდვილობა თუ სინამდვილე იქმნება ლოღიკური, მეტაფიზიკური, ფიზიკური და ზნეობითი, იმ ნაირად რა ნაირათაც რომ საგნად ექმნება მას ჭეშმარიტება ანუ ლოღიკური ან მეტაფიზიქური, ფიზიკური და ანუ ზნეობითი.

სინამდვილე არ უნდა შეურიოთ განცხადებულებასთანა. ეს უკანასკნელი პირველის შეხედვითა ეგრედი არის, როგორც არის სახე ნათესავთან. ყოველი განცხადებუ-

ლობა ნამდვილობა არის, მაგრამ ყოველი ნამდვილება განცხადება არ არის. ანუ თუ ვსთქვათ სხვა ნაირად, ყოველი ფერი რაც რამ ცხადია ჩემს წინ, ნამდვილია ჩემთვის; მაგრამ ყოველი ფერი რაც ნამდვილია, მით ცხადი არ იქმნება. მე დარწმუნებული ვარ დიდი ალექსანდრეს მყოფობაზედ. გარნა ეს ცხადი არ არის ჩემთვის; მხოლოდ ცხადი ეს არის რომ შეუძლებელია კაცებრივი მოწმობა რომელიც მე ამ რამეს მიმოწმებს, მატყუვარული იყოს.

მაშა სადამე ორ ნაირი სინამდვილე არის: ერთი დამყარებულია განცხადებაზედ, დამტკიცებაზედ ჵ განსჯაზედ: ხოლო მეორე სხვის მოწმობაზე დარწმუნებისაგან წინ წარმოსდგება.

მყოფობა სინამდვილისა. მრთელი ლოდიკებრვი სწავლა ამ ძიებაზედ არის დამტკიცებული, რომ ნეტავი თქმული სინამდეილე არის თუ არა? ჵ ანუ შეუძლია კაცს მისდამი მიწდომა? ანუ თუ ერთი სიტყვით, შემიძლია რამის ცნობა ნამდვლად? ამ დაკითხვას ესეც მოჰყვება: როგორ შემიძლია ცნობა? ანუ რა საშვალნი მაქვს საცნობლად მისი?

სინამდვილე საზოგადოდ: პირველი დაკითხვა არ არის არსებითი ძიება რადგან არ შეგიძლია უხმარად დაკითხვა: ნეტავი შემიძლია ცნობა? აგრეთვე არ შეგიძლია სთქვა: არ ვიცი, ვეჭობ, თვინიერ დამტკიცებისა მითვე რომ იცი უეჭველად მაინც ორი რამე: პირველად რომ ხარ: ჵ მეორედ რომ არაფერი არ იცი: რომელიც ისევ ის თქმა არის, რომ ყოველიფერზედ ეჭვობ. რადგან უკეთუ არ იცი რომ შენ ხარ, ჵ უმეცარობ, როგორ შეგიძლია განზრახვა ჵ თქმა რომ შენ ხარ არაფრის მცოდინე? უკეთუ შენს მყოფობასა ჵ უმცოდინარობასა ზედა ეჭვობ, როგორღა შეგიძლიან და-

ტკიცებას თუ ერთისა და თუ მეორისა, თქმით: არვიცი, ვეჭვნეულობ, რომელი სხვა არაფერის თქმა არ არის, თუ არ მე ვარ უმეცარი, მე ვარ გაჭეჭვიანებული? მაშა სადამე იცი რამე.

მაგრამ ეს რაც რომ იცი, არ არის რამე, და არ არა: უკეთუ არა არის რა, მაშ არა ფერია. სითგანაც შესდგება რომ იმავე წამს როდესაც სცნობ, თან ვერაფერს სცნობ: რადგან იმის ცნობა, რაც არ არის, მის უცნობელობასთან ერთი და იგივე არის.

მაშ შეუძლებელია რომ როდესაც სცნობ, ჰსცნობდე მას რაც არ არის: მაშა სადამე რაც რომ არის იმასა სცნობ. ახლა ეს რაც რომ არის სხვა არა არის რა, თუ არ ჭეშმარიტი: მაშა სადამე ჭეშმარიტსა სცნობ. —
—პირველი ძიება აიხსნა, და დამტკიცდა რომ: აქვს, მაშ აბა, კაცსა ძალი გინა შეძლება ჭეშმარიტის (ნამდვილის) ცნობისა: ესე იგი იმისი რაც არის. ამ ძალას და ამ შეძლებას (ფაკულთე) ჰქვიან გონება (ესპრი), შემტყობელობა, (ენთელიჟანს), მიმხდურობა (ენთანდემან) და განსჯა (რეზონ).

სინამდვილე (სერთიტუდ) მიმხდურობისა: სული ანუ გონება საზოგადო ლექსი არის რომელი ბევრჯერ ერთხან სულის მაგიერად აიღება. შემტყობელობა მიმხდურობისაგან არ განირჩევა, არამედ ისევ ის მიმხდურობაა საქმეში მყოფი, როგორც მაშინ ვიტყვით რამის შეტყობას, როდესაც მიმხდურობა ჩახვდება იმაზედ და შეიტყობს. ხოლო მიმხდურობისა და განსჯის გინა ჭკუვის შუა უფრო დიდი განრჩეულობა არის, თუმცა ეს ორივე ლექსნიც ერთსა და იმავე შეძლებას ნიშვნენ. გონება ჰსცნობს რამესა ხან ერთი შეხედვით და ხან რიგრიგისად და ერთი მეორის შემდეგ. როცა ერთის შეხედულობით სცნობს რამესა, ითქმის მიმხდურობა, შემტყო-

ბელობა; ხოლო როცა თვითო თვითოდ და რიგ რიგისად, ითქმის განსჯა ანუ ჭკუვა, როგორც აქვინელიც ამბობს: «შემტყობელობა სცნობს მარტივის შეხედულობითა, » ხოლო განსჯა გარდასვლითა ერთი რამისაგან სხვა მეორე რამეზედ»! გარნა როცა სული განსჯითა ერთის ჭეშმარიტებისაგან მეორეზედ გარდავა, და იპოვნის შედგომილებასა რომელიც შეცმულია ერთ დასაწყისში, მაშინ დასცხრება სრბისა და გონებით-ბრძნობისაგან, და თვისგან ნაპოვნი და ნაცნობი ჭეშმარიტების მარტივს მხედველობაში გაჩერდება და განისვენებს. და მაშინ ჰხედავს, ტყობულობს და იცის. ამ დროს მარტო მიმხდურობა მოქმედობს, და მისი საქმე არის ჭეშმარიტის ანუ ნამდვილის მხედველობაში განსვენება. მაშა სადამე მიმხდურობა არის, შემტყობელობისა და რამების ცნობის, პირველი დასაწყისი; და აღსასრულად სხვა ყოველნი ცნობის საშვალნიცა მივლენ და შეიკრიბებიან მიმხდურობაში.

მიმხდურობა და აგრეთვე განსჯაც, რამებს სხვა ფრივ ვერ ჩასხვდებიან და ვერა სცნობენ, თუ არ მხოლოდ იდიითა, ესე იგი მარტივი შემტყობელობითის წარმოდგენითა (გარდამოღებითა), რომელსაც თავისში წარმოიდგენს. ეს იდეა თვით საგანი არ არის, არამედ მისი სახე, ბეჭედი, და არსება. მაგალითად როდესაც მიმხდურობითა რამე საწერს ტაბლას ვიცნობ, არა თუ საკუთრად ეს საწერი ტაბლაა რომელსაც ვსცნობ, არამედ მაქვს ჩემს ფიქრში იდეა ერთის საწერი ტაბლისა (სტოლი) და ანუ ყველა საწერი ტაბლებისა საერთოდ; ვიცი და მესმის თუ რა არის საწერი ტაბლა, და რით არის რომ ეს ავეჯულობა საწერი ტაბლა არის და არა სკამი ანუ სკარცხული (სკამლოგინი). ეს იდეა სხვა არ არის რა, გარნა მხოლოდ მარტივად შემტყობლობით წარმოდგენა იმავე საწერ ტაბლების არსებისა საერთოდ, რომელშიც შეიცვიან ყო-

ვულნი შესაძლისი საწერ ტაბლები ანუ ყველა საწერ ტაბლები საერთოდ. უკეთუ ყოველი საწერ ტაბლები ქვეყნითგან მოსპო და წარმოიდგინო რომ საწერ ტაბლა სრულიად არ ყოფილ იყოს და არც არაოდეს უნდა იქმნეს, გარნა მაინც ნამდვილი არის რომ საწერი ტაბლა შესაძლისია, და შეიძლება იყოს; მაშა სადამე ყოველი და თვითოეული საწერ ტაბლების, ამავნაირათვე ყოველი და თვითეული რამის შესაძლისობა, არსება, და იდეა საჭიროარის და საუკუნოებითი, შეუცვალებელი და დამოუკიდებელი თვით იმავე რამების აწ მყო მყოფობისაგან და დამოუკიდებელი კვალად გონებისაგანაც, რომელიც გამოისახავს იმათ. უკეთუ ქვეყნიდგან მოსპო და აღხვნა ყოველი სულები, ოღონდა იყოს ერთი სული მექონი შემტყობელობისა, მექონი იმ რამის იდიისა, და თანვე შემძლე იმ იდიის საქმით შესრულებისა (რეალიზე) და გამოტანისა მისი თავისი მიმხდურობის გარედ, გარდატანით მისი მარტივის შესაძლისობის მდგომარეობისაგან აწ მყოფ მყოფობის მდგოარეობაზედ, მაშინ იმ რამის იდეა, არსება და შესაძლისობა არის და ჰგიებს.

ამავნირათვე გულის ხმა ჰყავ ყოველთა დამოკიდულობათათვის თუ შეფერებისა (ქონვენანს) და თუ შეუძლებლობისა (რეპუნანს) რომელნიც არიან და ანუ შეიძლება რომ იყვნენ ნაირნაირ შესაძლისთ არსთა შორის: ესრედ უკეთუ მოსპო ის ყოველი რაც გასამრავლებელი ანუ შეზავებულია (ქომპოზე), მაინც კიდევ ჭეშმარიტი არის რომ $2 + 2 = 4$. იქმს, და რომ მრთელი უდიდესი არის უმფრო ერთის მის ნაწილთაგანზე.

ეს განმარტებანი საკმაო არიან ჩახვდენისათვის, რასაც რომ ტყობულობენ ფილოსოფოზნი როდესაც ამბობენ რომ: მიმხდურობის და განსჯის საგანი (ობჟე) არის საზოგადო, მარტივი შესაძლისობა, და არსება ანუ

ოდეს რამეებისა თვინიერ მათი აწმყოდ ყოფნისა.

ხოლო თუ, რამების მყოფობის ცნობას, როგორ მიხვდების სული? ეს რამე დამოკიდებული არის იმ საგნების ბუნებაზედ, რომლების მყოფობის დაჭეშმარიტება გვინდა. ამისთვის ვილაპარაკოთ პირველად იმაზედ რომელიც ყველასაგან უფრო გვეახლოვება ჩვენ.

სინამდვილე მგრძნობელობისა: — მგრძნობელობა პირველი საშვალი არის რომლით საგნების მყოფობას მივხვდებით. მგრძნობელობა ის ძალი არის რომელიც განგვიცხადებს ჩვენ მყოფობას და ახლანდელ მდგომარეობასა აწმყო არსთასა; ორნაირია მგრძნობელობა შინაგანი და გარეგანი

ა. შინაგანი მგრძნობელობა: — პირველი საგანი რომელიც სულს წარმოუდგება თვითანვე სული არის. აქედგან წარმოსდგება შინაგანი მგრძნობელობა (1) რომლით სული იცნობს თავის მყოფობასა და აწმყო მდგომარეობასა. მე ვხედავ რომ ვფიქრობ და მნებავს. მხოლოდ საკმაო მიზეზი მგრძნობელობისა რომელიცა მაქვს ამ განზრახვისა და მნებელობისა (დესირ) ისივე ეს ზრახვა და ნება არის: მაშ არის ჩემში საქმითად ესა და ეს განზრახვა და ნება (აფექციონ). აწ რადგან იმას რო-

სხოლიო (1) სული მგრძნობელობის ქვეშევრდომი არ არის, არამედ არცა ემორჩილება და მარტივი მნებელობის მოქმედებანი; გარნა მაინც როცა ვამბობთ რომ სულს აქვს შინაგანი მგრძნობელობა თავის თავისა და თავის სულოვანთ და ყურადღებით მოქმედებათა, შეიძლებოდა რომ შეერთებულობის აწინდელს მდგომარეობაში სულისა და ხორცისა ერთმანერთთან არ შეგვიძლია მოვაზრებთ თვინიერ ხორცის ორგანოების რაიმე შემწეობისა, და ესრედ როცა სული ცნობულობს თავისში ფიქრსა და ნებასა თვისსა, მასშიდ შევა მუდამ მერყევი შეცვლემის შუა შემსვლელობა იგი, რომელსაც ეძახიან საგრძნობელი.

მელიც არ არის, არც განზრახვა შეუძლია და არცაღა მნე-ბელობა: მაშა საღამე ვარ მე. ესრედ სული, განსჯის მიერ მიზეზზედ გარდასვლითა და მხოლოდს შესაძლისს მიზეზს ზედ შინაგანი მგრძნობელობის მიმართობათა, ჩამდვილად იცნობს თავის აწმყო მდგომარეობასა და თავის საკუთარს მყოფობასა.

ბ. გარეგანი მგრძნობელობანი: — თუმცა ჩემში ზედმოქმედებულ ცვლილებაებში იმისთანა რამებს ვხე-დამ რომლების დასაწყისი და მომქმედი მე ვარ, როგ-ორიც არიან განზრახვა და ნება, მაგრამ იმისთანა რამ-ეებსაც ვხედამ ჩემში, რომელნიც უნებურად ზედმო-ქმედებენ ჩემზე და რომლების მომქმედი მე არ ვარ: ესრეთნი არიან გამოჩინებანი (ფენომენ) მხედველობი-სა, მსმენლობისა და სხვა ამისთანებისა. გვალად რომ რაც მინდა იმას ვერ ვხედამ, ვერც ვსმენულობ და ვერცა-და შევეხები, ამ ჭეშმარიტების გონებაში აწმყოდ ქონ-ვისათვის რომ მრთელი უდიდესი არის უფროს ერთს თავის ნაწილთაგანზე, მეკმავება განზრახვა, გარნა მზის დასანახავად, რამე შეპანებულობის გასაგონავად და საჭ-მლების გემოს ასაღებლად არ მეკმავება მარტო მზე-ზედ, შეპანებულობაზედ და ნაღიმზედ ფიქრობა; მაშა საღამე მიზეზი მხილველობისა გამოჩინებათა და სხვა მისთანა მსგავსთა, ერთი მყოფი რამე არის, ვინაით ამ-ახგან წინ წარმომდგარნი ნაყოფნი ჰგიებენ, და ნაყოფი არ იქმნება თვინიერ თავისი მიზეზისა, და ეს მიზეზიც არ არის ჩემი ფიქრი და ჩემი ნება.

ხოლოც ვუწოდებ მე იმ ნაირ ნაირ არსთა რომლების აწმყოობა გამოსცემს ჩემში სხვა და სხვანაირ ცვლილება-თა, რომელთაც ვარქმევ მგრძნობელობათა, და გარეგანს საგძნობელს ანუ მგრძნობელობას ვუწოდ იმ შეძლებასა რომელიც არის ჩემში მიმღებელ აღბეჭდილობისა (იმპრე-

სიონ) წარმომდგარის ხორციელის ანუ ნივთიერის არსთაგან. — პირველი საგანი, რომლის აწმყოობასაც რომ ამ სახით ვგრძნობ, ჩემთან უწყვეტლივ დაკავშირებულია, და უიმისოდ არ შემიძლიან ყოფნა, მაგრამ ჩემგან თუ არა გავარჩევ იმას, მაინც იმისგან კი, რომელიც ფიქრობს ჩემში და ჰნებავს, აი ამ საგანს ვეძახი ჩემს ხორცსა.

ამ ხორცისა და მისი ნაირნაირი ორგანოების საშვალებით რომლითაც შემკულია, ვსცნობ მყოფობასა აწმყოობასა, და მდგომარეობასა სხვათა ამავ ნაირთავე ხორციელ არსთა, რომელნიც ჩემ ხორცს სხვა და სხვა ცვლილებათ ამიზეზებენ, რომელთაც მალე ვგრძნობ გინა შევიტყობ, იმათი მიმდევი ცვალებითა რომელიც ხდება ჩემს სულში.

მაშ აგერ ახლავე ორ რიგი საგნების ცნობა შემიძლია, რომელთაგანნი ზოგნი მ ა რ ტ ი ვ ა დ შესაძლისნი არიან, რომელნიც არიან საზოგადო ჭეშმარიტებანი, საჭირონი, საუკუნონი და შეუცვალებელნი; შემიძლია მათი ცნობა მიმხდურობის და განსჯის საშვალითა; ხოლო სხვანიცა ა წ მ ყ ო დ მყოფნი არიან, ესენი არიან საცვალებოარსნი და ახლანდელნი. ამათაც საგრძნობლებით მივსწვდები. ეს შეძლება პირველად მაძლევს მე ჩემი მყოფობის მცოდინარობას, როგორც მზრახველი და მნებებლი არსისას და მერმე მცოდინარობას გინა სვინიდისის ცვლილებათა რომელნიც ჩემში მოხდებიან, თუ იმიებისა რომელთაც მე წინ წარმოვადგენ, როგორნიც არიან ჩემნი ზრახვანი და ჩემნი ტრფიალნი (ნებანი), და თუ იმეებისა რომელნი ჩემს გარედ სხვა მიზეზებიდგან ჩემში იწარმოებიან ვითამც გრძნობანი. და ამ გრძნობის საშვალობით წარმოვიდგენ და ვსცნობ მყოფობასა, აწმყოობასა და მდგომარეობასა იმ საგრძნობი რამეებისა

რომელნიც ჩემს გარეშე არიან.

ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე  მ ო წ მ ო ბ ი ს ა; — მაგრამ გარდა საზოგადო და მარტივის შემტყობელობითი ჭეშმარიტე-ბაებისა ანუ დასაწყისებისა, რომელნიც მიმხდურობის საგნები არიან, და გარდა საგრძნობი ანუ საცალკეო რა-მებისა და არსებაებისა, რომელნიც არიან საგრძნობელე-ბის საგანნი, არიან კვალად მისთანა რამები რომელნი საჭირო არ არიან, და მისგამო არ შემიძლია იმათი ცნო-ბა მარტო განსჯის საშვალობითა, და ამის გარდა კვალად ჩემი საგრძნობლების ქვეშ არ შევლენ; და ამისთვის ამათი შემწეობითა იმათი ცნობა არ შემიძლია: ამნაირნი არიან ის რამები, ის საქმენი, ის გარდასავალნი, რომლებისგან განმორებული ვიპოვები დროებითა ანუ ადგილითა. ავი-ლოთ მაგალითად, კესარის და მისი საქმეების მყოფობა: არ შემიძლია უსაშვალოდ მათი ცნობა, არც საგრძნობ-ლებითა, რადგან გავლილი საქმენი არიან; და არცა რა გონებით, რადგან იულიოს კესარი (სეზარ რომის იმ-პერატორი) შეიძლებოდა არ ყოფილიყო და ანუ სხვა სახით ემოქმედა მას; მაშა სადამე მისი მყოფობა და მი-სი საქმენი არ არიან იმ ერთი საჭირო ჭეშმარიტებათა-თაგანი, რომელნიც გონებას შეუძლია იპოვოს და სცნოს ცოტაოდე განზრახვის გაწაფვითა, როგორც არის მყო-ფობა უპირატესი და პირველი არსისა, რომელსაც სა-ჭიროებითად (მიუცილებლად) თავისგან აქვს მყოფობა და არის დასაწყისი და მიზეზი ყოველი არსისა რაც არის და რაც შეიძლება იქმნას, რომელსა ჰქვიან ღმერთი. მაშ აბა როგორ შემიძლია ახლა ვსცნა ის რამეები და ის საქ-მეები მოხდენილნი, რომლებისაც შეტყობა არ შემიძლია არც ჩემი მხოლოდ, განსჯითა და არცა რა ჩემი საკუთა-რი საგრძნობლებითა? ამათაც ვსცნობ იმათი მოწმობა-ებითა, რომელთაც უსაშვალოდ შეიძლეს იმათი ცნობა.

ესე იგი კაცობრივის მოწმობითა, რომლებზედაც ვილაპარაკებთ შემდეგში.

## თავი ბ.

### ავქსონობა (ოთორითე) კაცობრივის მოწმობისა.

კაცობრივი მოწმობა სარწმუნო იქმნება ყოველთვის, როცა დავიბეჯითებ რომ მოწმები არ სტყუილდებიან და არცა რა ჩემი მოტყუილება სწადიათ: რადგან ცხადი არის რომ არა მარტო შემიძლია, არამედ კიდეც უნდა ნამდვილად დავსთვალო იმ კაცის მოწმობა ვინც იცის და ჭეშმარიტებას ლაპარაკობს. — მაგრამ როგორ შემიძლია დაბეჯითება რომ ის მოწმები, რომელნიც მე ერთ რამეს მიმტკიცებენ, არ იყვნენ მოტყუილებულნი და არც მატყუვარნი? ამ რამისათვის საკმაოა რომ გამოვიძიოთ ამ საქმის გინა მოხდენილობის ბუნება და მოწმების თუობანნი გინა გარემოებანი.

აქ ლაპარაკია იმისთანა საქმეზე, რომლის სინამდვილის დამტკიცება ადვილი არის და მისგან წარმოებული შედეგნი მძიმე და სანაღვლელნი არიან, და მრავალნი კაცნი თანახმა არიან თვინიერ რამე სარგებლის ქონვისა მისი სიბეჯითის დასამტკიცებლად, მეტადრე თუ რომ უარი ეთქვათ იმ რამეზე, დიდი სარგებლობა უნდა მიეღოთ იმათ, მაგრამ მაინც და მაინც არა თუ მარტო უარს არ ამბობენ, არამედ კიდევაც ამტკიცებენ იმას. რა საკვირველია იმ დროს შემიძლიან და ვალიც მაქვს დავსთანხმდე და დავიჯერო რომ, ის საქმე მართალია; რადგან მათლიადაც ამ ნაირს გარემოებაში შეცთომილება და მატყუარება შეუძლებელი არის.

პირველად შეუძლებელი არის შეცთომილება: რადგან არ იქმნება რომ კაცთ სიმრავლემან ერთიან დაჰკარ-

უის განსჯის და მგრძნობელობის თავისუფალი ხმარება (უსაჟ), და ანუ ყველა ერთიან უნაღვლელნი იყვნენ ყველა თავიანთი ცნობაების საშვალის ხმარებაზედ, დასამტკიცებლად იმ ნაირის საქმისა, რომლის შედეგთა შეუძლიანთ იმათ დიდი კეთილი ანუ დიდი ბოროტება (ზიანი) მოუტანოსთ, და თუ მართლა მოხდებოდეს რომ კაცთ სიმრავლეთ ეგრედ დაჰკარგოს თავისი ჭკუის დამსახურება, გინა ხმარება, ეს ერთი რიგ გარეთის გარემოებისაგან წინ წარმოსდგებოდა და შეუძლებელი იქმნებოდა რომ ისევ ეს რამე სხვა მოწმებისაგან არ შეგვეტყო. — როგორც მაგალითად: შეუძლებელია გასაზვრა რომ იესო ქრისტის მრთელს მოციქულებს და მოწაფეებს თავიანთ გონებისა და მგრძნობელობის დამსახურება გინა ხმარება ეგრედ დაეკარგოსთ, და ანუ ეგრედ უნაღვლელობა გამოეჩინოსთ იმათ ხმარებაზედ, რომ არ შესძლებოდათ დაჭეშმარიტება თუ, ქრისტეს სიკვდილის შემდგომ, სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა გარემოებითა მისი ცხოველად აღმოჩენა, ნამდვილი იყო თუ არა. რადგან იმ საქმის დაჭეშმარიტება ძლიერ ადვილი იყო, და ერთადვე მომწყვლელი და გასაოცებელი მეტად, და ამასთანვე მეტად მძიმე თავის შედრგინებაებში, რომლის გამო ყოვლად შეუძლებელი იყო რომ მოტყვილებულიყვნენ. მშა სადამე რომელიმე შემთხვევაებში შემიძლია დავიყოლიო ჩემი თავი და დავაბეჯითო იგი შეცთომილების შეუძლებლობაზედ (იმპოსიბილითე). შემიძლია კვლავ დამტკიცებაც მატყუარობის შეუძლებლობისა.

სიცრუე რადგან ცუდი საქმე არის, ამისთვის კაცი არაოდეს ტყვილს არ იტყვის თუ რომ ერთ რამე ცხად სარგებლობას არ გამოელოდეს იმ ტყვილი რამის დამტკიცებისაგან. და უმთვრო და უმთვრო არ იცრუებს მაშინ, როცა ის ტყვილი შეიძლება საენო იყოს იმისთვის.

ხოლო მოწმების თუობაების გინა გარემოების გამოძიებითა, შემიძლია შევიტყო თუ რა სარგებლობა მიეცათ იმათ იმ საქმის დამტკიცებითა. უკეთუ ამ გამოძიებითა ვერ შევიძლო შეტყობა, ჩემ თანხმობას შევაგვიანებ: ხოლო უკეთუ ვნახო რომ საქმის დამტკიცებისაგან იმათ რამე სარგებლობა მიიღეს, იმათ მოწმობას აღარ დავენდობი. გარნა როცა გულს დავიმშვიდებ ჲ დავბეჯითდები რომ იმ სიცრუვისაგან ისინი არა ვითარ სარგებლობას არ მოელოდნენ, ჲ თუ უფროსიერთად დავბეჯითდები მე რომ იმ საქმის დამტკიცებით ბოროტის ჲ ზიანის მეტი კეთილი ვერაფერი მიიღეს, ესე იგი რომ მათ უმეტრო ზიანი მიეცათ მათ ვინემც სარგებელი, მაშინ მტკიცე ვარ სწორედ, რომ ჩემი დატყვილება არ სდომებიათ ჲ მივენდობი იმათ. — მაშა სადამე არიან შემთხვევანი, რომლებშიდაც შემიძლია დავაჭეშმარიტო შეუძლებლობა მატყუარობისა ჲ აგრეთვე შეცთომილებისაცა; კვალად როცა დავბეჯითდები რომ იმ ვისმეს რომელიც მე რასმეს მიმოწმებს გ. ი. იმ ჩემ მოწამეს არ შეუძლია მოსტყვილდეს ჲ არცაღა მე მომატყვილოს, მაშინ იმის ნათქვამზედ აღარ შემიძლია გავეჭვიანდე: მაშა სადამე არიან შემთხვევანი, რომლებში გაცებრივის მოწმებითა, შემიძლია ნამდვილად ვსცნო ის საქმეები, რომლებიც ჩემთავად არ შემეძლო მეცნა.

დიდად საჭირო არ არის რომ მოწმებს ეცნოთ თვალთანვე თავიანთი დამტკიცებული საქმე, ანუ თუ სხვა მოწმებისაგან მიეღოსთ იგი; საკმაოა რომ გაცეთ შთამომავლობას, რომელთაც იმ საქმის მოხდენილობა ერთმანერთს გარდასცეს მის მოხდენიდგან ვიდრე ჩემ დრომდისინ, არც თვით მოტყვილებული იყვნენ იგინი ჲ არც ჩვენ მოვეტყუებინეთ. ახლა მძიმე რამის შედრეკინების შექონ რამეებში მისაგვსადვე შეუძლებელია შეცთომილება

და მატყუარობა როგორც პირველ მწყობრში, ეგრეთვე მეორე, მესამე, და მეოთხე მწყობრ მოწმებშიც. — რათა რომ ამის დამტკიცება უფრო ცხადად გამოვიდეს, ერთი მოთხრობითი შემთხვევა მაგალითად მოვიტანოთ, მაშ მოვიტან მაგალითად წითელი ზღვისგან გასვლასა: ახლა გეტყვი რომ შვილნი ამ სასწაულიანი განსვლის და ამ საკვირველი შემთხვევის მოწამეთა და საქმეში მყოფთ პირითანი, არც თვითან თავიანთი მამებისაგან მოტყუვილებულან, და არც თავიანთ შვილებისა მოატყუვილეს იმათ. არ შეიძლებოდა რომ მოტყუილებულ იყვნენ: მაშ თუ არა და ამ ორის საგნისაგან (იპოტეზთაგანი) ერთი უნდა მივიღოთ, ე. ი. ანუ ეგვიპტიდგან მთელი გამოსულნი ისრაელნი უეცად ერთიან უნდა შეერთებულ იყვნენ თავიანთი შვილების მოსატყუილებლად, რომელიც არ შეიძლებოდა მოხდენილი იყო: რადგან ამ სიცრუვით მამებს არაფერი სარგებელი ჰქონდათ. და ანუ თუ უეცად ყოველთ ჰურიათა ერთიან უნდა გამოეხატათ რომ ვითამ ჩანს ის სასწაული, რომელიც არ უნახიათ: ამნაირი მოაზრებაც კიდევ უფრო სულელური და მეტად განსჯის წინაღმდეგია.

გარნა შეიძლება თქვას ვინმემ რომ ნელნელა ეს მოთხრობა მოეგონოსთ ვისმებს და გამოეცესთ? როგორც მოხდენილა მართლა ბევრი ზღაპრების დასაწყისი, მაგრამ ზღაპრის ამ რიგად გასავრცელად, საჭიროების რომ ჰაცებრივი ვნებების მიმდევი იყოს იგი: რადგან როცა რამე მოხდენილობისგან წინ წარმოვა სვინიდისის დამაგალითანებელი შეურგინებანი და თავისუფლების შემავიწროებელნი, მაშინ არ მიიღებს ერი იმ ჭორსა გინა იმ ზღაპარსა (იგავს). — ახლა, ჩვენო ხსენებულს მაგალითს მივუბრუნდეთ, აწ თუ წითელი ზღვის სასწაული მართალი არის, მაშასადამე მოსე ღვთისაგან მოვლენილი არის, და მისი გამოცემული სჯულიც ღვთიური და

დამვალიანებელია. ხოლო თუ ტყვილია, მოსეც მატყუვარის ერთი იქმნება, ჲ მისი გამოცხადებანიც ზღაპრები, მისი სჯულიც ვეღარა ვის დავალიანებს, ჲ მისი დაქადინებანი ჲ დაპირებანი რომლებზედაც მას ამყარებს ტყვილნი ჲ ამაონი იქმნებიან.

მას მერმედაც შეუძლებელი იყო რომ, თუ მოსეს ჲ თუ სხვათა ის საკვირველი სასწაული ეთქვათ ჲ მოეფინათ, თუ რომ მართლა არ მოხდენილიყო რადგან მაშინვე ერი ერთიან აღელდებოდნენ ჲ დაიწყობდნენ ყვირილს რომ ტყვილი არის, ტყვილიაო.

სხვა უმთვრო მარტივი აზრი დავსდვათ: ვსთქვათ გახვიდე გამოსცე ამბავი რომ დღევანდელ დღეს თვილისში მთელი თვილისელების წინაშე ესა ჲ ეს რიგ გარედი დიდი შემთხვევანი მოხდენილ იყვნენ, ჲ ბოლოს შენი ნათქვამი გამტყუვნდეს; მერე მასზედ ვერაოდეს ვერავის დაარწმუნებ, არამედ ათი ათასობით ხმები ჲ კალმები აღსდგებიან შენზედ ჲ გიწნაღმდეგებენ. — აქედგან ეს უნდა შევადგინოთ: შეუძლებელია რომ რომელიმე მოხდენილობის თვალით მნახველი მოწმები მართლად ერთიან უიცად ანუ ნელნელა მოტყვილდნენ ანუ მოგვატყვილონ იმისთანა საქმეში, რომლის სინამდვილეს (რეალითე) მათთვის მძიმე შედეგი (იმპორთანს) ჰქონდეს: აწ იგივე შეუძლისობა იქმნება შემდეგი შთამომავლობისათვისაც, ჲ ესრედ ერთი მეორის მიყოლვით ვიდრე შენამდისინ. — და მართლიადაც ვერ ჰხედამ თუ შენი თანა-მედროეთაგანნი ზოგიერთნი რაოდნად დიდს ჲ ყოველს საშვალს ხმარობენ იმ დავედრების დასარღვევლად რომელიც სამღთო წერილში მოთხრობილი საქმების მიმდეგი არის? ჲ ნუ თუ ვერ ხედავ ამასაც თუ როგორ უსარგებლოდ მიუდისთ იმათ ის თავიანთი ცდა? ასრე რომ ერთრიგ უარის-ყოფას ჲ ან თხზულებით წინაღმ-

დევნობას გამოიგონებენ თუ არა, მაშინვე ყოველიგნით-გან ხმას აიმაღლებენ ხოლმე იმათ გასამტყუნებლად. ამავ ნაირად მოხდენილა ხოლმე კვლავ ყოველს სხვა დ~ სხვა დროებშიაცა.

ამასაც უნდა დავკვირდეთ კვალად რომ შთამამავლობა სრულ ერთიან არაოდეს არ დაჰქრება; არამედ ყოველთჳს მაინც რამდენიმე დროული კაცი დ~ თუ გინდ ოთხმეოცი დ~ ოთხმოცდა ათიც შემდგომს შთამომავლობაში მოიძევა. კიდევ თუმც კი შეუძლებელია, მაგრამ ვსთქვათ რომ ყველა მამებმა მოინებეს თავიანთი შვილების მოტყვილება, ანუ თუ შვილბმაც ყველამ ერთიან დაივიწყონ თავიანთი მამებისაგან გაგონილი მოხდენილობანი; მაგრამ რადგან ამ უკანასკნელთაგანნი კიდევ ცოცხალნი დ~ საკმაოდ მრავალნი რომ არიან, შეუძლიანთ იმათ თავიანთ ბადიშებს გინა შვილი შვილებს მოხდენილი საქმენი გარდასცენ დ~ სიმართლე დაიცვან დ~ შეინახონ.

ერთის სიტყვით ქვეყნის დიდროვანი გარდასავალნი, დ~ მოხდენილობანი მუდამ საგრძნობ კვალს ჰსტოვებენ თავიანთ მყოფობისასა: ესრეთნი არიან ის წიგნები, რომელნიც მათ მოგვითხრობენ, შენობანი რომელნიც იმათ მოგვაგონებენ, თუმც მოოხრებულნი იყვნენ. ხოლო აწ შეუძლებელია რომ ყველა კაცნი შეერთდნენ დასარღვევლად გინა ასახვნელად იმ დიდროვანი გარდასავალების სახსოვრებისა დ~ ყველა დანაშთებისა: დ~ თუმც ინებონ საქმით კი ბოლომდი ვერ გაიტანებენ. ამ საქმის მოწამენი არიან ის იმდენი კაცების ცუდუბრალოცდანი რომელთ ბევრჯერ ხელჰყვეს რათა დაემხოთ მოსეს გინა ქრისტიანეობრივი გამოცხადების სახსოვარნი (მონუმენთი), მაგრამ ვერაოდეს მოემარჯვათ.

## თავი ბ.

### ნიშნებისა და საუბრისათვის და დამოკიდე-ბულებაზედ მათი ზრახვასთანა.

ნიშანი არის საგრძნობი რამე მომგონებელი სხვა საგნისა. — ნიშნები განირჩევიან ბუნებითად, ხელოვნებითად ანუ პირობებითად. — ბუნებითი ნიშნები ბუნებაზედ დამტკიცებულნი არიან, მაგალითად კვამლი ნიშანია ცეცხლისა, და ღმუვილი პირუტყვისა გამოაცხადებს მის სიხარულსა ანუ სიმწუხარესა. — ხოლო ხელოვნებითი ანუ პირობებითი ნიშნები არიან იგინი რომელთაც მოხსენებულს საგანთან დამოკიდებულობა არა აქვსთ, გარნა მხოლოდ კაცთა ურთიერთთან დადებული პირობების შესაბამად. მაგალითად ლექსნი, თქმულნი გინა ნალაპარაკნი და ანუ წერილნი. პირობის ძალით არის რომ ეს ხმა ამ იდეას ნიშნავს, ესა და ეს ასო ამა და ამა ხმას. ამ ნიშნების კრებულობა შეადგენს საუბარს ანუ ენას.

საუბარის თქმითა გვესმის ზრახვის გარეგანი ანუ საგრძნობი ნიშნები. — საუბარი ორ ნაირია: ბუნებითი, როგორნიც არიან რომელნიმე მოძრაობანი, საგულისხმებელნი ლექსნი, და წერილნი.

დამოკიდულება საუბრისა ზრახვასთან. — სულს შეუძლია ცნობა თვინიერ საგრძნობის ნიშნებისა, თვინიერ წერისა, და თვინიერ ცხადად გამოთქმული სიტყვისა. — და მართლიად ვის შეუძლია უარის ყოფა, რომ მარტივ სულთ როგორნიც არიან ანგელოზნი და ხორცისაგან განყრილნი სულნი, არ შეეძლოსთ ცნო-

ბა? ხოლო არც ერთთა და არც მეორეთა შეუძლიანთ საგრძნობი ნიშნების ხმარება

მაგრამ, პირველად, აწმყო მდგომარეობაში, სული ესრედ შეერთებულია ხორცთან, რომ არ შეუძლია განზრახვა, დაფიქრება, გამოძიება, განსჯა, გონებით ბრძნობა თვინიერ საგრძნობი ნიშნების ხმარებისა, რომელნი შეეწევიან იმას მგრძნობელობისა და გამოხატულობის მოძრაობის შესაკავებლად, და იდეების აღსაბეჭდავად გინა დასახსომებლად. — არ არის საჭირო რომ ამ ნაირ ნიშნებად მარტო ლექსნი იყვნენ, არამედ შეიძლება იყვნენ მარტივნი ხატნიცა რაიმეთა და ანუ მოსწავება რამე, რომელმანც მოაგონოს ის საგანი.

ბ. გარდა ამისა აწმყო მდგომარეობაში, თვინიერ საგრძნობი საუბარის შემწეობისა არ შეგვიძლია ერთმანერთს ჩვენი ჭაზრნი გარდავსცეთ გინა შევატყობინოთ: ახლა, ვინ არ იცის თუ რამოდენი გავლენა აქვს იდეების ურთიერთში გარდაცემასა შემტყობელობის წარსამატებლად? მაშა სადამე საუბარი არის, არა ვითარცა დასაწყისი, არამედ ვითარცა საშვალი და არსებითი რამ თუობა არა თუ მცნობელობისა, არამედ შემტყობელობის სისრულეში მოყვანისა.

საუბარს აქვს კანონნი რომელთაც ასწავლის გრამმატიკა, გრამმატიკა არის ხელოვნება კანონიერად ლაპარაკისა. — რა გვარის ენაც უნდა იყოს, ყოველს საუბარში ორი კავშირი მოიპოების: ლექსი, გამომცხადებელი იდეისა, და წინადადება რომელიც გამოაცხადებს იდეების დამოკიდებულებათა. — ყოველი გრამმატიკაც ორი ნაწილით შედგება და განიყოფება, პირველი ცალკ ცალკე ლექსებზედ ლაპარაკობს, და მეორე, ლექსთხზულების გინა სინტაქსის სახელით, ლექსების გაწყობილებასა ანუ აზრსა ზედა. — კვალად ყოველ ენებში

ცხრა თუ ათ ნაირი ლექსი არის, რომელთაგან უმთავრესნი სამნი არიან, მყოფობითი (არსებითი); რომელიც არის ქვემებარე წინადადებისა, რომელს გრამმატიკოსნი უწოდებენ უფლად ანუ სახელად; ზედშესრული, შესმენილი წინადადებისა, რომელსაც უწოდებენ გრამმატიკოსნი ძიებად; და ზმნა რომელიც წარმოსთქვამს ანუ შეუსთქვამს ქვემდებარის (უფლის) დამოკიდებულებას ანუ შეყვრებულებას ამა და იმა შესმენილთან.

## თავი დ.

### პერიოდისათვის.

პერიოდი არის უმთავრესი წინადადება, განვრცელებული მომატებულთა წინადადებათა მიერ, ანუ შეერთება რაოდენთამე წინადადებათა. პერიოდი, რომელიცა იპყრობს თვის შორის ერთსა უმთავრესსა წინადადებასა, იწოდების მარტივად; ხოლო მდგომარე ორთა ანუ უმეტესთა უთავრესთა წინადადებათაგან, იწოდების ჭრთულად. ჭრთული პერიოდი რიცხვისაებრ წინადადებისა იქმნების ორმწევრთანნი, სამწევრთანნი ოთხმწევრთანნი.

წევრნი რთულთა პერიოდთანი შეერთდებიან ურთიერთა შორის. საშუალობითა შესათხზუმლთა კავშირთა და მნიშვნელობისაებრ მათისა. პერიოდნი იქმნებიან:

ა. მიზეზობითი პერიოდი არის იგი, რომელსაცა შინა ზედ დართული წინადადება იპყრობს თვის შორის მიზეზსა დამამტკიცებელსა უმთავრესისა წინადადებისასა და შეერთდების მისთანა კავშირთა მიერ: ვინაჲთგან რადგან, ამისთვის, რომელ, მაშასადამე. მაგ.

კრეზსა, მეფესა ლიდიისასა, მფლობელსა უთუალავისა საუნჯისასა არა ძალედვა ბედნიერად წოდება: ვინაჲდგან კაცობრივი ბედნიერება არა მდგომარეობს გვ-

თილთა შინა დროებითთა და განსრწნადთა.

ბ. შეთანასწორებითი პერიოდი არის იგი, რომელსაცა შინა ზედ დართვითი წინადადება მიიღების. შემსგავსება, ანუ შეთანასწორებასა და შეერთების უმთავრესისათანა კავშირთა ამათ მიერ: ვითარ, ეგრეთ, ვითარითა სახითა, ეგრეთითა სახითა, რაოდენ, ეგოდენ, მაგ.

ვითარცა მზე გაზსათვბულს განაცხოველებს ქუეყანასა, მიანიჭებს მსითბოსა და ნაყოფიერებასა: ეგრეთვე ბრძენი მოძღუარი განანათლებს გონებასა და განავითარებს გულსა თვისთა აღსაზრდელთასა.

გ. წინა აღმდეგობითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა მომატებული წინადადება იპყრობს თვის შორის წინააღმდგომსა ჴაზრსა ჴაზრისათანა უმთავრესისა წინადადებისა. კავშირნი პერიოდსა ამას შინა იხმარებიან: ხოლო, გარნა, წინააღმდგომ მისსა, მაგ. გულს მოდგინე მარად დღე მოიპოებს ახალთა ცნობათა, ხოლო მცონარი ადვილად წარწყმედს მოპოებულთა ცნობათაცა.

დ. ნებართვითი პერიოდი არის იგი, რომელსაცა შინა ზედ დართვითი წინადადება იპყრობს თვის შორის ვითარსამე წინააღმდგომსა ანუ ნებართვასა ჴზრის-თანა, რომელიცა იმყოფების უმთავრესსა წინადადებასა შინა. კავშირნი, შემკვრელნი ამის პერიოდის ნაწილისანი არიან: თუმცა, დალათუ, მართლად, გარნა, არამედ.

თუმცა დასაბამი ჴსწავლისა შეერთებულ არს შრომისათანა და მოწყინებისა, გარნა, დასასრული მისი მიიღებს თვისთანა სიამოვნესა და კმაყოფილებასა.

ე. პირობითი პერიოდი არს იგი, რმელსაცა შინა ზედართვითი წინადადება შეიცავს თვის შორის პირობასა მისსა, რაჲცა იქმის უმთავრესსა წინადადებასა შინა: კავშირნი რომელნიცა გამოხატვენ პირობასა ამ-

ის პერიოდისასა არიან: უკეთუ, მაშინ, თუსადამე, ოდე-საც, მაგ.

უკეთუ ჩუჱნ არა მოვემზადებით ჭაბუკობასა შინა ცნო-ბითა, ხოლო ასაკობასა შინა მამაცობისასა ღვაწლითა სიმართლისა და კეთილობისათა, მაშინ მოხუცებულება ჩვენი იქმნების გლახაკი და უნუგეშო.

გ. აღყვანებითი პერიოდი იწოდების იგი, რომელსა-ცა შინა უმთავრესი და თან დართვითი წინადადებანი იმ-ყოფებიან ურთიერთას შორის რაჲსამიმართობასა შინა მოკიდებისასა, ესრეთ რომელ ერთსა თვინიერ მეორისა არა ძალუძს წარმოდგენა სრულისა ჰაზრისა, და შეერთ-დებიან ნაწილთა მიერ: ვინცა, იგი, რაზომცა, უმეტეს, რაოდენ, ეგოდენ, მაგ. ვინცა დაიცუამს კრძალულებასა, იგი საშუალობითა მისითა დაიფარავს თვისსა სიმრთელესა.

ზ. შეერთებითი პერიოდი არს იგი, რომელსაცა შინა უმთავრესისა წინადადებისათანა შეერთდების ზე-დართვითი, მპყრობელი მისივე ჰაზრისა. კავშირნი შე-მაერთებელნი ამის პერიოდისანი არიან: არათუოდენ, არამედცა, ესე ვითარსა შემთხუევასა შინა, მაგ. ფრთ-ხილი და კეთილ გულისხმიერი ქცეულება არათუოდენ გა-მოაჩინებს საიმედოისა გზასა საიმედოისათვის ბედნიერ-ებისა, არამედ განამტკიცებს შინაგანსა კეთილმდგომა-რეობასაცა ჩვენსა.

ჱ. განმარტებითი პერიოდი არის იგი, რომელსაცა შინა წინადადება მომატებული იპყრობს თვის შორის განმარტებასა და შეერთდების უმთავრესისათანა კავშირ-თა მიერ: ესრეთ, რომელ, ესოდენ რომელ, მაგ. მცო-ნარება და უქმობა ესრეთ მოაუძლურებენ სულიერთა და სხეულეანთა ძალთა კაცისათა, რომელ იგი იქმნების არა შემძლებელ წარმოებად თვით მცირეთა საქმეთაცა.

თ. განყოფითი პერიოდი არის იგი, რომელსაცა ში-

ნა ზედ დართვითი წინადადება იპყრობს უთანხმოებასა ანუ წინააღმდგომ თქმობასა უმთავრესისა საგნისასა და შეერთდებიან კავშირთა მიერ: ანუ, გინა, მაგ. ჯერ არს ანუ შრომად სიჭაბუკესა შინა, რათა გვაქუნდეს განსვენებული მოხუცებულება, ანუ არა აღთქმად თვისდამი ტკბილისა განსვენებისა მოხუცებულებასა შინა, რა ჟამს სიჭაბუკესა შინა თვისება შრომისა არა გუნებავს.

ი. შედგომობითი პერიოდი არის იგი, რომელსაცა შინა ზედ დართვითი წინადადება იპყრობს წინამავალსა გარემოებასა და შეერთდების უმთავრესისათანა ნაწილთა მიერ: რაჟამს, მაშინ, ვითარცა, ოდეს, მაგ. რაჟამს კაცი იოცნებს ნამეტნავსა სრულებისათვის თვისისა გულისხმის ყოფისა, მაშინ უმეტეს განაშიშვლებს ნაკლულევანებათა შეერთებულთა კაცობრივსა ბუნებისათანა.

ია. ხარისხობითი პერიოდი არის იგი, ოდესაც უმთავრესსა წინადადებასა შინა იმყოფებიან რაოდენნიმე ზედდართვითნი წინადადებანი, მაჩვენებელნი გარემობისა ერთი შემდგომ მეორისა და განიკარგვიან ნაწილთა მიერ: პირველად, შემდგომად, დასასრულ, მაგ. ბოროტნი ჩუეულებანი მსგავსად რომლისამე ტკბილისა გესლისა, პირველად აწარმოებენ გულსა შინა სიამოვნესა, შემდგომად მცირე მცირე სნეულ-ჰყოფენ, ხოლო დასასრულ გამოაჩინებენ ამას ზედა სრულიადსა სივიცხლესა თვისისა მოქმედებისასა.

## თავი ე.

### მეთოდისა გინა განკარგულებისათვის, გამოწვრილვისა გინა განრჩევისა, და შეერთებისათვის.

მეთოდი (სქესი) არის რიგი, რომელსაც მივჰყვებით

რამე საბოლოოს მისაწევნელად, მაგალითად: განსაცნობლად სიმართლისა. ამ რიგით გავასწყობთ შესწავლულ ჭეშმარიტებათა, რათა რომ ნასწავლი უმღვრო კარგად შევინახოთ ფიქრში, უსრულად ნასწავლი რამეს უმღვრო კარგად ჩავხვდეთ, და ვსცნათ გინა ვისწავლოთ ის რამე რაც რომ ჯერედ არ ვიცით. — უმთავრესი ორი მეთოდი არის, გამოწვრილვა გინა განრჩევა (ანალიზ) და შეერთება (სინტეს).

განრჩევა. გამოწვრილვა გინა განრჩევა ჰგიებს მრთელი რამის ნაწლებად დაშლაში თვითო თვითოდ განსახილავად. მაგალითად აგერ ერთი საათი, ამას დავშლი მე, და გამოვიძევ მის ნაწილებს ერთი მეორის შემდგომ: ამ საქმეს გამოწვრილვა გინა განრჩევა ჰქვიან. — აგრეთვე ავიღოთ, მაგალითად, ერთი დასაწყისი, ერთი საზოგადო ჭეშმარიტება ანუ ერთი მეცნიერება, და ჭეშარიტებების შეკრებულება (ანსამბლ) ოდესაც ცალცალკე გამოვიძევ გინა განვიზრახვ საცალკეო ჭეშმარიტებათა მათ შეცმულთა ამ დასაწყისში გინა ამ კრებულებაში: ამ საქმესაც გამომწვრილველობა ჰქვიან.

შეერთება ჰგიებს ერთი მრთელი რამის შედგენაში, მისი მრთელობის გამოსაძიებლად. — მაგალითად, აგერ ერთი საათი განვიხილავ მის ნაწილებს და მათ ერთიანობასთან ნაქონ დამოკიდებულობასა, აგრეთვე აგერ ერთი მეცნიერება ერთი საზოგადო დასაწყისი რამე; აწ განივხილავ მე ამ დასაწყისის შედრკინებაებს იმავე დასაწყისში, ანუ თუ ამ მეცნიერების ნაირ ნაირ შტოებს იმ მეცნიერების შეკრებულებაში, აგერ ამას ჰქვია შეერთება.

## თავი ვ

### საზღვრისათვის, განყოფისა და გაწყობილობისათვის.

ერთი რამის მეთოდის საჩვენებლად, პირველად უნდა განვსაზღვროთ რაც რომ დასამტკიცებელია, მერმე უნდა დავაჭეშმარიტოთ საგნის საზღვარი, გამოძიებით იმ ნაწილთა, რომელნიც შეიცვიან მასშიდ. ამასაც განყოფა იქმს და მაშინ წინადადებული ჭეშმარიტების დამტკიცება ადვილია. საზღვარში დადგინდება საზოგადო რამე შეხედულება, რომელიც განსასაზღვრელი საგნის შეკრებულებას დაიჭერს: და განყოფაც გამოიძებს დაწვრილებით მის ნაწილებს. მაშასადამე საზღვარი არის შეერთებითი რამ მოქმედება, და განყოფა არის გამოწვრილველობითი გინა განრჩევითი, ეს ორი მოქმედება ყოველთვის ერთად უნდა იყოს. ამ მოქმედებას შეეფერება წმიდა თომას ნათქვამიცა განსჯისათვის, ვითარმედ: გაცის გონება შეიძლებს ჩახვდენას ანუ რისამე დამტკიცებასა საგნების განყოფითა და მათი ხელახლავ გაწყობითა: ე. ი. განყოფით გინა გამოწვრილვით და საზღვრის მიერ ხელმეორე შეერთებითა (შეზავებით).

ს ა ზ ღ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს, საზღვარი იქმნება იყოს ს ა ხ ე ლ ი ს ა, რომელიც განაცხადებს აზრს რომელიმე ლექსისას, და რამეებისასა, რომელიცა განაცხადებს რომელიმე საგნის ბუნებასა. ერთი რამის გასაცნობლად საჭიროა რომ მისი არსებითი კუთვნილებანი გამოვაცხადოთ და ჯერედ ისინი რომელნიც საზოგადონი არიან ვითარცა მისთვის, ეგრეთვე სხვა იმავე გვარის საგანთათვის, და მერმე ის კუთვნილებანი ანუ თვისებანი რანიც განარჩევენ იმას ამ საგნებისაგან; ამას ჰქვიან ჩვენება ა ხ ლ ო უ რ ი ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ა და ს ა ხ ი ს ე ბ რ ი

(სპესიფიქ), განრჩეულობა.

ახლოური ნათესავი არის საზოგადო თვისება (პრო-პრიეთე), ყოველი იმავე მწყობრის საგნებისა; ხოლო სახისებრი (სპესიფიქ) განრჩეულობანი არიან თვისებანი რომელნიც განარჩევენ ერთმანერთისაგან სხვა და სხვა სახის საგნებსა შეცულს იმავე მწყობრში.

ესრედ ამ საზღვარში (დეფინიციონ) კაცი არის ცხოველი სიტყვიერი, ცხოველი აჩვენებს ახლოურს ნათესავსა ანუ მწყობრს იმ არსთასა, რომელიც განიყოფის უსაშუალოდ (იმმედიატმან) ორ სახედ, (ესპეს), რომელთაგანი ერთი კაცი არის და მე-ორე პირუტყვი; ხოლო სიტყვიერი ლექსი, აჩ-ვენებს სახისებრ განრჩეულობასა ანუ თვისე-ბასა მას რომელიც განარჩევს კაცსა სხვა ცხოველები-საგან საზოგადოდ. ხოლო შორეულნი ნათესავნი (ჟანრ) იქმნებიან, მაგალითად, მყოფობა (სუბსთანს) ანუ არსი (ეთრ). უკეთუ ვსაზღვრიდე კაცს ერთ არსე-ბად ანუ სულიერ არსად, მაშინ ვეღარ განვარჩევ იმას ანგელოზისაგან, რომელიც აგრეთვე არსება არის და სულიერი არსი.

საზღვრის ყოველი კანონები შეიძლება ამ ერთს კა-ნონზე მოვიღოთ: ესე იგი, საზღვარი ყოველსა და მხოლოდს განსაზღვრილს საგანსა უნდა შეეფერებოდეს (ომნი ეთ სოლი დეფინიითო ქონვენიატ) ანუ თუ ვსთქ-ვათ სხვანაირად საზღვარი უნდა იყოს: ა. საზოგა-დო, ესე იგი შეიცავდეს ყოველს საგნებსა რომლებ-ზედაც გაიშლება განსასაზღვრებელი რაიმე, და ბ. საკუთარი ესე იგი, რომ სხვა რასმეს არ შეიც-ევდეს. საზღვარი იქმნება საზოგადო როცა განსაზღვ-რილი საგნის ახლოურ ნათესავს აჩვენებს; და იქმნება საკუთარი მაშინ, როცა აჩვენებს სახისებრ განრჩეულებასა.

გჳადად საზღვარი უნდა იყოს ცხადი, ამისათვის უნდა ვფთხილობდეთ განუსაზღვრებელი (ვაგ) და ორჭოფოვანის (ამბიგუ) და ორ-ჰაზროვანი, (ექივოქ) ლექსებისაგან, და საზღვარში არ უნდა გაჳმეორდეს ისივე ლექსი, რომლისაც განსაზღვრა გვინდა, და ანუ სხვა რომელიმე მსგავსი ლექსი. ამისთვის ეს საზღვარი: კ ა ც ი  ა რ ი ს  შ ე მ ტ ყ ო ბ ე ლ ო ბ ა  რ ა მ ე  დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ უ ლ ი  ო რ ღ ა ნ ო ე ბ ი ს ა გ ა ნ, უფრო ჭევრმეტყველებითი (ორატუარ) და მოლექსობითი (პოეტური) საზღვარი არის ვიდრემდე თუ ფილოსოფიური. ამ ანგარიშით ანგელოზიც კაცად უნდა ჩაითვალოს ყოველთვის როცა ორღანოებს იხმარებს. აგრეთვე ეს საზღვარი: კაცი არის კაცებრივი სული. განურჩეველი საზღვარია, რადგან არა სჩანს რომ კაცებრივის თქმით რა გვესმის? და ძიება (კითხვა) კი იმაზედ არის.

გ ა ნ ყ ო ფ ა  აჩვენებს ერთი მრთელი რამის ნაწილეთა, მაგალითად: სახეთა რომელიმე ნათესავისა, ერთი რამის არსებითთა საკუთრებათა. — ყოველ განყოფას ორი ვითარება უნდა ჰქონდეს: მ რ თ ე ლ ო ბ ა  (ინტეგრიტე) და  წ ი ნ ა დ მ დ ე გ ო ბ ა  (ოპპოზისიონ), მრთელობა იმაში ჰგიებს, რომ არც ერთს ნაწილს გარედ არ დასტოვებს; ხოლო წინაღმდეგობა, რომელიც ერთი მეორის განმძიებელ ნაწილებს მხოლოდ აჩვენებს, როგორც მაგ. თუ რომ სთქვა რომ: ქ ვ ე ყ ა ნ ა ს  აქვს ოთხი ნაწილი ევროპა, აფრიკა, ამერიკა, და ოკეანია. ა ზ ი ი ს  ნაწილი რომ დაივიწყო, შენი განყოფილება შეცილებული იქმნება, რადგან მრთელი არ არის. ანუ თუ სთქვა ესრეთ: ქვეყანა განიყოფების ექვს ნაწილად: ევროპა, ასია, აფრიკა, ამერიკა, ოკეანია და საქართველო; კიდევ შეცილებული იქნება შენი განყოფა, რადგან სხვა განრჩეული ნაწილივით საზღვრამ საქართველოსა, რომელიც არის

ნაწილი ასიისა, და მით ასიის და საქართველოს შუა წინააღმდეგობა არ არის, რადგან უკანასკნელი (საქართველო) პირველში არის შეცული ვითამც ასიაში:

განწყობილობის თქმით გვესმის რიგი, რომლით საგნებს, იდიებს და საქმეებს გავაწყობთ. — ეს განწყობილობანი ან ბუნებითნი არიან და ანუ ხელოვნებითნი, რანაირათაც რომ საგნების ბუნებაზე ანუ მარტივს მორიგებაზედ დამტკიცებული იქმნებიან. ბუნებითის განწყობილობითა, ერთიანად ვსდებთ იმ რამებსა რომელთაც ერთმანერთზე დამოკიდებულობა აქვსთ: მაგალითად უკეთუ რომელიმე საწიგნის წიგნები ნივთების რიგისად განაწყო, მაშინ განწყობილება ბუნებითი იქმნება. — ხელოვნურის განწყობილებით, ერთად ვსდებთ იმ საგნებსა რომელთაც მორიგებული სახისამებრ აქვსთ ერთმანერთზე დამოკიდებულობა. ამნაირი იქმნება რიგი რომელიმე საწიგნისა სადაც განწყობილნი იქმნებიან წიგნები, სიაში გინა საძიებელში ჩვენებული რიცხვების დაგვარ, თვინიერ იმ საგნების დაკვირვებისა რომელზედაც ლაპარაკობენ ისინი.

## თ ა ვ ი ზ,

### მეთოდი გინა განკარგულება მეცნიერებაების სხვა და სხვა რიგთათვის.

ვსთქვით რომ (სქესი) მეთოდი გინა განკარგულება არის რიგი რომელსაც დავიდებთ ჩვენ ფიქრში. — განკარგულებისაებრ შეიძლება მეცნიერებანი გავჰყოთ გამომძიებელ მეცნიერებად და გონებითმბრძნობელ მეცნიერებად.

გამომძებნელობითი (ობსერვასიონ) მეცნიერებანი

ისინი არიან რომელნიც დამყარებულნი არიან საქმეებ-ზედ. — გამოძიებით დამტკიცდება რამების მყოფობა გონების დასკვნაც (ინდუქსიონ) გამოიღებს იმათგან საზოგადო კანონებს რომელნიც მართვენ და განამჴრ-ტებენ მათ. — ესრეთნი არიან ფიზიკებრივი და ბუ-ნებითი მეცნიერებანი და მოთხრობითი მეცნიერებანი. — ფიზიკებრივი გინა ბუნების მეტყვე-ლებითი მეცნიერებანი გამომძიებნელობაზედ დაუმატებენ გამოცდილებასა და ქვემდებარეობასა (იპო-ტეს). — გამოცდილება არის გამოძიებული ცისიე-რის გინა ჩვენებაების ხელახლავ წარმოდგენა გამო-ძებნის დასაჭეშმარიტებლად. ვსთქვათ მაგალითად, გა-მისინჯია რომ ძლიერ გათხელებულს ანუ ნაირნაირის გაზებით სავსე ჭაერში, ცხოველნი ვერ იცოცხლებენ, მაშინვე მოკვდებიან. ამ გამოძებნის, გამოცდილების დასაბეჯითებლად, საჭაერო მაშინის ჭურჭლის ძირში ერთს ცხოველს (ჭიას) შთავაგდებ და ჭაერს გამოვსცლი, და ანუ ამ ცხოველს, მოწამლული გინა მომაკვდინებელის გა-ზების ჭურჭლებში გამოვანწყვდევ, და ამნაირი გამოცდი-ლებით დავიბეჯითებ გამომძიებნელობას (ობსერვასიონ). — ქვემდებარეობა ერთი განგულვება (ჰიპოთეზ) გინა გონვა არის რომელსაც ცისიერის გინა მოჩვენების გა-მოსარკვევლად და დასაბეჯითებლად, ვიხმარებთ, მერმე იმას გამოძიებაში შევიტანთ. მაგალითად: კოპერ-ნიკო ჰგონებს რომ ქვეყანა მზის გარემო ტრიალობს, მერმე თავის ქვემდებარეობას გინა აზრს ამტკიცებს გამოძიებული საქმების შიმდეგობითა (აქორდ). მოთ-ხრობა გარდამოგვცემს გავლილ საქმეთა, თვალით მნახველი მოწმებისაგან გამოძიებით შეკრებულთა: ამა-ში დიდი თვალღიობა და ფრთხილობა საჭიროა გასარ-ჩევლად ჭეშმარიტი მოწმებისა ცრუ მოწმებისაგან.

გონებით-ბრძნობელობითი, მეცნიერებანი ისინი არიან, რომელნიც უსამკალოდ დასაწყისებზედ დამტკიცებულნი არიან. — გონებით-ბრძნობაც იმათგან წარმოსულ შედრკინებებს გამოაცხადებს. — ესრეთი არის მეთოდი ფილოსოფიურს, მატემატიკურს და ღვთის მეტყველებრივს მეცნიერებათა შინა.

ფილოსოფური მეცნიერება. მეტაფიზიკა დასდებს დასაწყისებს, მერმე ლოღიკა სჯით გინა გონებით-ბრძნობელობის ამ დასაწყისებისაგან გამოდებით დაამტკიცებს თუ ნივთიერი ქვეყნის, სულის და ღვთის მყოფობასა და კუთვნილებათა, და თუ იმ მოქმედებათ შედგომილებათა, რომლების ერთად შეკრება (ანსამბლ) შეადგენს ზნეობას და სიმართლესა (დრუა). — მატემატიკებრივი მეცნიერებანი. საზღვრები და ანდაზები დაიდებიან რა, გონებით-ბრძნობა იმათ მოიხმარს თეორემების გინა ხედვითი სწავლის დასაბეჯითებლად ანუ წინჩამოგდებაების (პრობლემ) აღსახსნელად. — ღვთის-მეტყველებითი მეცნიერებანი. გამოცხადება მოსცემს სარწმუნოების დოღმატს. მერმე გონებით-ბრძნობა იქიდგან დაიწყობს ხედვითის (სპეკულატივ) ანუ ზნეობითის შედრკინებების წინ წარმოჩენას, რომლების ერთობა (ანსამბლ) შეადგენს ღვთისმეტყველებასა.

## თავი ზ.

### ერთსახეობისათვის (მგავსობა) გონებით დასკვნისა და გამომღებლობისა გინა შედრკინებისათვს.

ერთსახეობა. ერთ სახეობა იმ რამებში მოხდება, რომელნიც თუმც სხვა და სხვა მწყობრს ეკუთვნი-

ან გარნა ერთმანერთთან კი მსგავსებითი დამოკიდებულებას აქვსთ, მაგალითად: წლის არეებში (სეზონ) და ცხოვრების ასაკებში რამე ერთსახეობა მოიპოვება. გონებითი დასკვნა (ჟუდისიო) და შედრგინება (დედუქსიონ). გონებით დასკვნა კერძობითისაგან (ნაწილობითისაგან) საზოგადოს შეადგენს. ხოლო შედრგინება საზოგადოსაგან შეადგენს ნაწილობითს გინა კერძოობითისა. გონებითი დასკვნა გამომძიებლობითა და გამოცდილებითა კერძოობითს რამებს შეჰკრების, და იქიდგან ალვალს საზოგადო სჯულზედ (ლუა), მიზეზ ზედ, და გამოძიებულის ნაყოფების (ეფფე) დასაწყისზედ. შედრგინება საზოგადო რამე დასაწყისიდგან იწყობს და იქიდგან შედრგინებაებს გამოიყვანს, მაგალითად: ვჰედავ რომ ერთეულად, ორეულად, ასობით, და ათასობით კაცნი კვდებიან. ისტორიიდგანაც ვიცი რომ ყოველნი კვდებიან. აქედგან გონება დასკვნით შევადგენ, რომ მაშა სადამე მამაკვდაობა კაცობრიობის საყოველიერო სჯული ყოფილა. — ანუ თუ კაცს გამოვიძევ რა და ვიპოვნი იმაში ხრწნილების რამ დასაწყისს. აქაც შედრგინებით ამ სახით ვასკვი: რადგან კაცს თავის ბუნებაშივე აქვს სიკვდილის მიზეზი, მაშა სადამე მომაკვდაობა საზოგადო სჯული (კანონი) არის კაცობრიობისა.

## თ ა ვ ი   თ.

### გონებით ბრძნობელობის წინა-დადებასა ზედა.

ლოღიკოსმა იდიების პოვნისა, დაჭეშმარიტებისა, და განწყობის შემდეგ, უნდა გამოიძიოს იმათი სინამდვილე; ვითამც უნდა ნახოს იმათი თუ ერთმანერთთან, და თუ გარეულ რამეებთან ქონვილი შეფერებულობა და მიმდე-

გობა ანუ მიუმდეგობა, და შეადაროს იდეების ერთმანერთთან ქონილი თანხმობა და უთანხმობა. გონების ამნაირ მოქმედებას გონებითი ბრძნობა ჰქვიან, რომლითაც იგი ანუ დაამტკიცებს რასმეს და ანუ გააცრუებს და განაქვეს: დაამტკიცებს მაშინ, როცა იდეები ერთმანერთს დაეთანხმებიან, და გააცრუებს მაშინ, როცა უთანხმო იქმნებიან. გონებით ბრძნობა, ფართოდ რომ ავიღოთ, ის მოქმედება არის, რომლით, კალი ცნობილი ჭეშმარიტებით დაამტკიცებს ნაკლებად ცნობილ ჭეშმარიტებასა. ეს, როგორც ვსთქვით, ორ ნაირად მოხდება: ა. გონებითი დასკვნით რომელიც კერძოობითგან საზოგადოზედ ადგება. ბ. შედრკინებით, რომელიც საზოგადოთგან კერძოობითზედ ჩამოვალს.

წინადადება გონებით ბრძნობის განმარტება არის: მაგ. თუ რომ სული თოვლისა და სითეთრის იდეებში თანხმობას დაინახამს, ამით გონებით ბრძნობას იქმს იგი. ხოლო თუ ამ ნაგრძნობს განამარტებს თქმით: თოვლი თეთრი არის, ამ ნაირ განმარტებას ვეტყვით გონებით ბრძნობის წინადადებასა. — სამი ნაწილი აქვს ამ წინადადებასა: ქვემდებარე, შესმენილი და კავშირი: როგორც ამ წინადადებაში, სული არის უკვდავი, სული ქვემდებარეა, უკვდავი შესმენილია, და არის კავშირია. ქვემდებარე და შესმენილი თითო ლექსითა წვერებად ანუ კიდურებად ითქმიან წინადადებისა. — — გარნა ბევრჯერ წინადადებაებში ეს სამი ნაწილი ყოველთვის არ იპოება ხოლმე, არამედ დაიტოვებიან, რადგან ძალით მოვხვდებით: მაგ. ითქმის, ალექსანდრე ქვეყნის მპყრობელი, ნაცვლად თქმისა, ალექსანდრემ დაიპყრა ქვეყანა: ანუ უფრო მოკლედ ითქმის, ქუხს, ელავს, და სხვაც: ამ ფერთაც ეწოდებისთ მოკლე წინადადება.

წინადადებათა ორი ნაირი თვისება აქვსთ: უთუო ჲ ზემოჰყვანელობითი. უთუო, ითქმიან ის თვისებანი, რომელნიც ყოველს წინადადებასა ცალკ ცალკედ რომ ავიღოთ უთუოდ აქვს: ხოლო ზემოჰყვანელობითი, თვისებაები არიან ისინი, რომელნიც ექმნებათ სხვა ჲ სხვა წინადადებათა ერთმანერთთან შედარებითა. — წინა დადებათა უთუო თვისებანი არიან რ ა ვ დ ე ნ ო ბ ა ჲ ვ ი თ ა რ ე ბ ა.

წინადადების რავდენობა მისივე აზრის გაფენილობა არის; რომლის დაჭვრეტით სამნაირი წინადადება იქმნება: ს ზ ო გ ა დ ო, ს ა ც ა ლ ე კ ო, ჲ გ ა ნ უ კ ვ ე თ ე ლ ო ბ ი თ ი. — საზოგადო წინადადება არის ის, რომელში იმისი ქვემდებარე ერთიანი სივრცითა ადებულია: როგორც მაგა. ყოველი კაცი არს მოკვდავი: ყოველი სხეული გასაყოფია. წინადადება იქმნება მეტაფიზიკურათაც საზოგადო, როცა სრულიად არც ერთ ნაწილს გარედ არ დასტოვს, როგორც არის ქვემოყვანილი: მაგა. ყოველი ჭაბუკი ცვალადია. — საცალეკეო წინადადება ითქმის ის, როცა ქვემდებარის განფენილობა ცოტა არის, მაგ. ზოგნი კაცთაგანნი ორგულნი არიან. — განუკვეთელობითი ანუ მხოლოობითი წინადადება ითქმის ის, როცა ქვემდებარე მხოლოდ ერთი პირია ანუ მარტო ერთი რამე: მაგ. თმოგველი დიდი მჭევრმეტყველია. — ბევრჯერ სიტყვის ძალითაგანაც გაიგება წინადადება რამე საზოგადოა თუ საცალეკეო.

ვითარება წინადადებისა არის, წინადადების დამტკიცებითი ანუ უკუთქმითი, ცრუ ანუ ჭეშმარიტი მყოფობა მისი. — წინადადების დამტკიცებითად ანუ უკუთქმითად ყოფნის მაჩვენებელი არის ზმნა გინა კავშირი, რომელიც წარსთქვამს გინა დაამტკიცებს ჲ ანუ

უკუსთქვამს გინა უარსჰყოფს ქვემდებარის რაობას ანუ რა-ნაირს ყოფნასა მისსა: მაგ. ოქრო არის ლითონი (მეთალლი), აჰა წართქმითი: ოქრო არ არის ქვა, აგერ უკუთქმითი. — წართქმითი წინადადების შესმენილი ჩვეულებითად თავის სივრცის ერთის ნაწილზედ მხოლოდ აიღება: როგორც ამ წინადადებაში, ოქრო მეთალია, ცხადად გვესმის რომ ოქრო ერთნაირი მეთალლია, და არა თუ ყოველნაირი მეთალლი (ირეკლო) ოქრო არის. მხოლოდ რომ როცა ქვემდებარეს და შესმენილს ერთი და იგივე ძალა და მნიშვნელობა აქვსთ, წართქმითი წინადადების შესმენილიც მრთელი თავისი სიფართოებითი აიღების: ასრე არიან ყოველი საზღვრები ფილოსოფიისა. ხოლო უკუთქმითი წინადადების შესმენილი თავისი მრთელი სივრცით აიღება: როგორც, ოდეს ითქმის ნახშირი არ არის რომელიმე მეთალლი, თქმა არის რომ მეთალლის რომელიმე სახისაგანიც არ არის. — რათა წინადადება სწორე და ჭეშმარიტი იყოს საჭიროა რომ შესმენილი ქვემდებარის თანახმა (მიმდეგი) იყოს, ანუ თუ საგანი რაიმე ნამდვილად და ჭეშმარიტად განამარტოს: მაგ. ღმერთი არის კეთილი, ღმერთი არ არის უსამართლო. ხოლო ცრუ წინადადება იქმნება, როცა შესმენილი ქვემდებარესთან არ შეთანხმდება, და იმფერ რამეს დაამტკიცებს რომელიც ნამდვილად არ არის ეგრედ: მაგ. თუ თქვას ვინმემ, ღმერთი არის არსი უსრული.

წინადადების ზედ მომყვანელობითი საკუთრებანი არიან ნაცვალგება და წინააღდგომდადება. — ნაცვალგებითად ითქმის წინადადება, როცა შეიძლების რომ ქვემდებარე შესმენილად და შესმენილი ქვემდებარედ გარდაკეთდეს თვინიერ მათი მნიშვნელობის მეცვლისა. მნიშვნელობის შეუცვლელობისათვის იმათი ვითარება

ისრევე უნდა დარჩეს, გარნა რავდენობის შეცვლა კი შეიძლება. როცა რავდენობაც შეუცვლელად დარჩება ნაცვალ-მგებელობა ითქმის მ ა რ ტ ი ვ ი: მაგალითად, სული არ არის კაცი: კაცი არ არის სული. ხოლო როცა საჭირო გახდება რომელიმე წინადადების რავდენობის შეცვლა, რათა აზრის გამოუცვლელად ნაცვალ-გებაზე გრდვიდეს, ითქმის ნაცვალ-გება შემთხვევითი: როგორც ეს წინადადება, ყოველი კაცი მოკვდავი არის, არ შეიძლება მარტივის ნაცვალ-გებითა საზოგადო წინადადებად გარდაკეთდეს დ~ ითქვას, ყოველი მომაკვდავი არსი კაცი არისო: ამისთვის საჭიროა საცალკეო წინადადებად გარდაკეთება მისი დ~ თქმა რომ, რომელნიმე მამაკვდავ არსთაგანნი კაცები არიან.

ერთი მეორის წინაღმდეგ დადებითნი წინადადებანი ითქმიან, როცა ერთის ჭეშმარიტებისაგან შეიტყობება მეორის სიცრუვე: როგორც, ყოველი კაცი ბოროტია: კაცთაგანი არა ვინ არის ბოროტი. რათა ორს წინადადებაში წინაღმდეგ დადება იყოს, უნდა რომ თუ ქვემდებარესა დ~ თუ შესმენილს ზედა იმავე აზრით იყოს წართქმითი დ~ უკუთმითი: მაგ. წინაღმდეგ დადება არ არის ამ წინადადებაში, მეცნიერია გრიგოლი: გრიგოლი არ არის მეცნიერი. — წინაღმდეგ დადება ორ ნაირია: სიტყვის მგებელობითი (ქონთრადიქთუარ) დ~ წინაღმდეგი. სიტყვისმგებელობითი თუ გარემხომობითი წინადადება არის ის, როცა ერთი სრულ პირდაპირად ამბობს მეორისა: როგორც, მშვენიერი ჭაერი არის: ჭაერი არ არის მშვენიერი. ხოლო ერთი მეორის წინაღმდეგი ითქმის ის, როცა ერთი მეორის ნათქვამს მოთხოვნილებისაგან უმივრო გაამტყუნებს: მაგალითად, მშვენიერი არის ჭაერი: მეტად მოშლილია ჭაერი. — ორი სიტყვის მგებელობითი წინადადებანი არ შეიძლე-

ბა ორივე მართალი ან ორივ ტყუილი იყვნენ: მაგ. თუ რომ იმგრგვლივი რგვალია, არ შეიძლება მართალი იყოს თქმა რომ იმგრგვლივი მრგვალი არ არისო: და თუ რომ ტყუილი არის თქმა, რომ იმრგვლივი მრგვალი არ არისო, არ შეიძლება ტყუილი იყოს თქმა რომ იმრგვლივი მრგვალი არისო. ამისთვის ერთი სიტყუვის მეებელობითი წინადადების სიმართლისაგან შეიტყობება მეორის სიცრუე, ამის სიცრუვისაგანაც მეორის სიმართლის სინამდვილე. — წინაღმდეგი წინადადებანი არ შეიძლება ორივე მართალნი იყვნენ: მით ერთის ჭეშმარიტებისაგან შეიტყობება მეორის სიცრუვე. გარნა შეიძლება რომ ორნივეც ტყუილი იყვნენ: რადგან ორივეს შუა შეიძლება სხვა რამე წინადადება აღმოჩნდეს, რომელმან ორივეც გაატყუოს: მაგ. ეს წინადადებანი ცრუ არიან: ყოველი კაცი ღვაწლით შემოსილი არის: და არავინ არის ღვაწლით შემოსილი: რადგან მართალი ეს არის რომ კაცთაგან მხოლოდ ზოგნი ღვაწლით შემოსილნი არიან. მით ერთის ჭეშმარიტების წინაღმდეგი სიცრუვისაგან არ შეიტყობება აქ მეორის ჭეშმარიტება.

## თავი. ი.

### სილოგიზმისათვის.

გონებით ბრძნობის მასალები არიან ის სამნი იდეანი, რომლებისგან შესდგება სამ ნაირი სჯა ანუ წინადადება სილოგიზმისა. მაგალითად: *ღმერთი არის შესაყვარებელი.* რადგან ამ ორი იდიის ვითამც *ღვთის* და *შესაყვარებელის* შუა არ მოჩვენების რაიმე მიმართობა და დამოკიდებულობა მო-

ვიღებ მესამე იდეასაც, უმწვერვალესი კეთილი, რომელს შევადარებთ რა იმ პირვანდელ ორს იდეასთან, შესდგება მით ეს ორი სჯა ვითამც, უმწვერვალესი კეთილი შესაყვარებელია; ღმერთი რომ არს უმწვერვალესი გინა უპირატესი კეთილი; (ამ ორისაგანაც შესდგება შემდეგი მესამე სჯა) მაშა სადამე ღმერთი შესაყვარებელია.

მაგ. უპირატესი კეთილი შესაყვარებელია.

აწ ღმერთი რომ უპირატესი კეთილია.

მაშა სადამე ღმერთი შესაყვარებელია.

ზემოდ ხსენებულ მაგალითში იდეანი და ლექსნი, ღმერთი და შესაყვარებელი არიან ორნი უდიდესნი კიდეგანნი, ხოლო უპირატესი კეთილი არს იდეა საშუალო. ორთა პირველთა სჯათა გინა წინადადებათა ეწოდებისთ სილოგიზმის დასაბამითი წინადადებანი: წინადადება, რომელიც პირველად დაიდების, ანუ რომელშიაც იპოების უდიდესი კიდეგანი საშუალო კიდეგანი თურთ, ითქმის უდიდესი წინადადება, და მეორე წინადადებას ეწოდება უმცირესი წინადადება. ხოლო მესამე წინადადებას, რომელიც დასაბამითი წინადადებისაგან წინ წარმოვალს, ეწოდების შემდეგი ანუ დასკვნა სილოგიზმისა.

რათა დავუმტკიცოთ ვისმეს რომ კრავიც ერთი ცხოველია, შევადარებ კრავის იდეას სხვა ცხოველების იდეასთან, და ვუჩვენებ რომ რადგან კრავი შეიცავს განივენილობაში ცხოველების საზოგადო იდეისა, და აქვს მას იგივე თვისებანი რანიც აქვსთ სხვა ცხოველებს, მაშაბა კრავიც ერთი ცხოველია, მაგალითებრ:

ყოველი არსი იგი, რომელიც გრძნობს, მოძრაობს, და ჰსჭამს ცხოველია.

აწ კრავიც რადგან გრძნობს, მოძრაობს და ჰსჭამს;

მაშ აბა კრავიც ვრძაი ცხოველია.

ამ სილოგიზმოში პირველი წინადადება არის დიდი, რომელში შეცულია საზოგადო იდეა ცხოველებისა, და მოტანილია აქ განგებ პირველად იმისთვს, რომ რადგან მოწინადმდეგეც უთუოდ წყნარულობს ამას, არ შეუძლია ამაზედ უარის თქმა. მეორე წინადადება არის მცირე, რომელიც გამოაცხადებს იმ ქვემდებარეს, რომელზედაც არის ბჭობა, და შეცულია ეს ქვემდებარე განთვენილობაში იმ საზოგადო იდეისა, რომლის ყოველს განუკვეთელს აქვს ერთი და იგივე თვისება (სასიათი). ხოლო მესამე წინადადება არის შემდეგი, რომელიც აცხადებს იმ დასკვნას, რომელიც შესდგება იმ წინანდელი პირველი და მეორე იდეებისაგან. ამის გამო თუ რომ სილოგიზმის პირველი და მეორე წინადადებანი იქმნებიან ჭეშმარიტნი, მათი შემდეგი მესამე წინადადება და დასკვნაც დაჭირებითად იქმნება ჭეშმარიტი, და თუ რომელიმე იმ ორი წინადადებისაგანი არ იქმნება ჭეშმარიტი, მაშინ შემდეგი გინა დასკვნა მათიცა იქმნების შეცილებული.

მრგვალი არის ის რამე, რომელსაც აქვს სახე მრგვლისა, აწ ამ ნაყოფს აქვს სახე მრგვლისა, მაშ არის ეს მრგვალი და არა ოთხ კუთხი. სიცხე გაშლის და გაათხელებს ჭაერს, აწ ვინადგან მზე შეიცვს საზოგადო განთვენილობაში სიცხის იდეისა, მაშ მზეც შლის და ათხელებს ჭაერს, რადგან მზესაც იგივე თვისება და ძალა უნდა ჰქონდეს, რა თვისებაც რომ სიცხეს აქვს.

ის აქზიომები, რომელნიც თავის თავად ცხადნი არიან, და მით არ ეჭირებისთ სილოგიზმით დამტკიცება. ა. ერთი რაიმე არ შეიძლება რომ იმავე დროს თან იყოს და თან არ იყოს. ბ. უმიზეზოდ არ შეიძლება ნაყოფის წინ წამოსვლა. გ. ორი და ორი მუდამ ოთხს

იქმს და არა სამს. დ. მრთელი რაჲმე თავის ნაწილზედ უფრო დიდია. ე. არ შეუძლია კაცს თავისი მყოფობის უარის თქმა.

თ ა ვ ი ია.

ჳვლდჳ სილო-გიზმოსა ზედ.

სილოგიზმოს საფუძველი ეს არის, რომ როცა ორი იდეის შედარებითი ვერ შევიტყობთ იმათ ერთმან ერთთან ქონვილს შეფერებულობას ანუ შეუფერებლობას, მაშინ სხვა მესამე იდეასაც ჴელს მოვჰკიდამთ, და ამ მესამესთან შევადარებით იმ წინა ორსავე იდიებსა, და როცა ვნახამთ რომ ის წინა ორნი იდიანი შეეფერებიან გინა მიუდგებიან ამ მესამე იდეასა, აქედგან გავიცნობთ და შევადგენთ რომ ის წინა ორნი ვითამც პირველი და მეორე იდიებიც ერთმან ერთის მიმდევნი გინა ერთმან-ერთთან შეფერებულნი არიან. მაგ. თუ მინდა შევიტყო, რა მიმდევნობა და შეფერებულობა არის ამ ორს იდიებ-ში, ვითამც კ ა ც ე ბ რ ი ვ ს უ ლ ს ა და უ ს ხ ე უ ლ ო-ბ ა ს ა შ ი ნ ა, მაშინ ამ მესამე იდეასაც წინ მოვიტან, მფიქრობელს გინა გ ო ნ ი ე რ ა რ ს ს ა და ამ სახის სჯა-სა შევადგენ სილოგიზმოთი.

ყოველი მფიქრობელი გინა გონიერი არსი უნივთო არის.

აწ კაცებრივი სულიც რადგან ფიქრობს და გონიერი არსი არის;

მაშა სადამე კაცებრივი სულიც უნივთო არის.

ფიქრის ამ ნაირი მოქმედების ჯეროვნად მყოფელი საფუძველი ეს შემდეგი ანდაზა არის, რომ ორნი იდე-ანი როცა ერთნაირნი იქმნებიან მესამესთან, თვით ის ორნიც, ერთი და იგივე იქმნებიან ერთმან ერთთან, ამ

ანდაზის სინამდვილე მეტაფიზიკებრივს და გეომეტრიებრივ ამ პრინციპზე გინა დასაწყისზედ დაფუძნილია: რომ რომელნიც ერთნი არიან სხვა მესამესთან, ერთი იქმნებიან იგინი ერთმან ერთთანაც.

სილოგიზმო რომ ავხსნათ, სამ კიდეგანს გინა კიდურს (თერმს) ლექსს ვიპოვით იმაში, ვითამც დიდსა და მცირე კიდურს (ლექსს), რომელნიც შესადარებელს იდიებს გვაჩვენებენ, და შუა კიდურსა (ლექსს) რომელიც იმ იდიებში მათ შეფერებულობას გინა მსგავსებასა და ანუ უმსგავსებასა გვაჩვენებს: მაგ. ყოველი სათნოება საქებურია, ახლა მოთმინებაც რომ სათნოება არის, მაშა სადამე მოთმინებაც საქებური არის.

აქ საქებური არის დიდი კიდეგანი გინა კიდური, მოთმინება მცირე კიდური, ხოლო სათნოება შუა კიდური.

ამისითვის სილოგიზმოში სამი წინადადება იქმნება უდიდესი, უმცირესი, და დასკვნა, (შედრეკინება), რომელი არ უნდა შევურიოთ შედეგთანა, რომელიც გარჩეულია მისგან; ესრეთვე ამ დასკვნაში გინა შედრეკინებაში არაოდეს არ უნდა შევიტანოთ ხოლმე შუა კიდური.

უდიდესში იქმნებიან დიდი და შუა კიდური, უმცირესში მცირე და შუა კიდურები: შედრეკინებაში დიდი და მცირე კიდურები: როგორც ზემო მაგალითში სჩანს. ჭვალად დიდი კიდეგანი არის შესმენილი შედრეკინებისა გინა დასკვნისა, და პატარა კიდეგანი იმისი უფალი გინა ქვემდებარე ჭვალად მაგალითი. ყოველი კაცი მოკვდავია, ახლა პეტრეც რომ კაცი არის, მაშა სადამე პეტრეც მოსაკვდავი არის. აქ ლექსი მოსაკვდავი დიდი კიდეგანია, ლექსი პეტრე პატარა კიდეგანი, ხოლო ლექსი კაცი შუა კიდეგანი, ესე იგი ის გამომ-

ცხადებული ლექსი, რომელიც იხმარება შესადარებლად დიდ ლექსთან და პატარა ლექსთან, ვითამც მოკვდავთან და პეტრესთან· — უდიდესი და უმცირესი წინადადებანი ერთად ადებით ითქმიან დასაბმით წინადადებესაბად.

სილოგიზმის უმთავრესი კანონები ესენი არიან.

ა. მხოლოდ სამი კიდური უნდა ჰქონდეს სილოგიზმოს დიდი, პატრა და შუა: ამის მეტი კი არა.

ბ. არას დროს უფრო ვრცელი აზრი არ უნდა ჰქონდეს დასკვნას შედგომილებას დასაბამითი წინადადებაებზედ მეტად, მით შეცილებულია ეს სილოგიზმო.

ყოველ ოთხ კუთხედს ოთხი თანასწორი კერძო აქვს და ოთხი თანასწორი კიდური (ანგლ).

ახლა ყოველი ოთხკუთხედი სახე არის,

მაშ აბა ყოველს სახეს ოთხი თანასწორი კერძო აქვს, და ოთხი სწორე კიდური.

ამის შეცილების მიზეზი ეს არის რომ სახე ლექსს შედგომილებაში უფრო მომეტებული სივრცე აქვს, ვირემც თუ ოთხკუთხ ლექსსა დასაბამით წინადადებაებში.

გ. შუა კიდური მაინც ერთჯერ საზოგადო აზრით უნდა აიღებოდეს: ამისთვის შემდგომი სილოგიზმი ცრუა.

კაცი მართალი არის,

კაცი ავაზაკი არის,

მაშა სადამე ავაზაკი მართალი არის.

ასრე რომ დასაბამითი წინადადებანი მართალნიც რომ იყვნენ, მაინც შედრკინება ტყვილია: რადგან დიდში და პატარაში კაცი ლექსი სხვა და სხვა იდიების აღნიშვნით, იმათს იმნაირ სხვა და სხვა თვისებაებს აცხადებს, რომელნიც ერთმანერთში არ შეიცვიან, და მართლის იდეასა ავაზაკის იდეას არ მიუდგება.

დ. ორი უკუოქმითის წინადადებებისგან, არასოდეს შე-
დრეგინება არ გამოვა, როგორც:

ოთხკუთხედი სამკუთხედი არ არის, და არცა მომრგ-
ვალო სამკუთხედია, არ შესდგება აქედგან რომ მაშა სა-
დამე ოთხკუთხედი მომრგვალოა ანუ თუ არა: რადგან
როცა ორი რამე თავის მესამეს არ შეეფერება, ვერ შე-
ვადგენთ რომ იგინი ერთმანერთს შეეფერებოდნენ.

ე ორი წარითქმითი წინადადებებისაგან, არასდროს
უკუოქმითი შედრეგინება არ მოხდება: მით არ იქმნება;
პეტრე კეთილი არის, პავლეც კეთილ მსახურია, მაშ-
ახა ანტონი გარყვნილია.

ვ. და ზ. უკეთუ ერთი დასაბამითი წინადადებათაგანი,
საცალკეოა, შედრეგინებაც საცალკეო იქმნება: კვალად
თუ უკუოქმითია, შედრეგინებაც უკუოქმითი იქმნება. აგ-
ერ ორთავესივე მაგალითი.

ყოველ მფიქრებელ (გონიერ) არსს, ნაწილები არა
აქვს.

კაცის სულიც რომ მფიქრებელი (გონიერი) არსი
არის.

მაშ კაცის სულს ნაწილები არა აქვს.

ცხადად სჩანს რომ საცალკეო შედრეგინება არის, და
თანვე უკუოქმითი: რადგან დასაბამითი წინადადებების
უმცირესი საცალკეო არის, და მთავარიც გინა უდიდესი
უკუოქმითი.

ტ. ორი საცალკეო გინა კერძოობითი წინადადებე-
ბისგან წარქმითი ანუ უკუოქმითი შედრეგინება არ წა-
მოსდგება, რადგან სილოგიზმის გინა გ. კანონის მიმ-
დგე, მუაკიდური ანუ ბიდეგანი (თერმ) მაინც ერთხელ
საზოგადო აღებით უნდა აიღებოდეს: მაგ. რადგან პავ-
ლე მეცნიერი არს, პეტრეც მეცნიერი არს, არ შესდ-
გება, რომ მაშ ანტონიც მეცნიერი ანუ უმეცარი იყოს,

ზემოდ მოყვანილი ჩვეულებითი სილოგიზმოების გარდა, არიან კვალად შემდეგნი სხვა და სხვა სახის სილოგიზმონი, რომელთაც ეწოდებისთ ღონე, მიზეზობა, მახვილ-სიტყვაობა გინა ორჭოფოვანი სიტყვა, თანდართულობა და ზედმოდება.

ა. ანთიმემი გინა ღონე ის სილოგიზმო არის, რომელში უდიდესი ანუ უმცირესი არღარ დაიდება რადგან ძალითად შეიტყობებიან, და ამას ჰქვიან მოკლე სილოგიზმო, მაგალითად:

(მარტივი უხრწნელი არის).
სული რომ მარტივი არის
მაშ სული უხრწნელი არის.
ყოველი უსხეულო არსი უკვდავი არის,
(სული რომ უსხეულო არსი არის).
მაშასა სულიც უკვდავი არის.

ბ. ეპიკერემა გინა მიზეზებითი ითქმის, როცა დასაბამითი წინადადებების ერთსა და ანუ მეორესაც მიზეზი და დამტკიცება დაემატება, იმათ განსამარტებლად: ეს ფორმა მსაჯულობრივს სიტყვაში ბევრჯერ იხმარება: როგორც კიკერონი მილონზედ ნათქვამს თავის სიტყვაში ხმარობს.

ვინც ვის ბუსუნში ჩაუდგება, (რათა მოჰკლას იგი) ღირსად მოიკლება იმისგან (ცხადია ესე სამართლისა და მაგალითებისაგან).

ასლა კლავდიო ბუსუნში ჩაუდგა მილონსა (ცხადია ესეც შემთხვევისა და გარემოებისაგან).

მაშა სადამე ბუსუნში ჩამდგომი ღირსად მოიკლას იმისგან.

გ. დილემმა გინა ორჭოფოვანი ჰქვიან იმ სილოგიზმოსა, რომელში ორივე წინადადებანი მოპირდაპირის წინადმდეგნი არიან და მისი გამამტყუნებელნი, ამის

გამო ეს სილოგიზმო მეტად ძლიერია, თუ რომ კანონიერად გაიწყობება, ესრედ რომ, ა. მრთელი უნდა განიყოს სწორედ ორ ნაწილზედა: ბ. თვითოეული ნაწილებისაგან გამოსული შედრგინება მრთელი უნდა იყოს დ~ მიუცილებელი: გ. ისე, რომ არ იქმნას მოწინაღმდეგეს დილემმის მთქმელზედვე შეეძლოს იმ დილემმის მოტრიალება მაგ.

დ. მშვენიერია შემდეგი მიწერილი დილემმა ტერტულიანისაგან ტრაიანე კეისრისადმი წარმართების გასამტყუნებლად დ~ ქრისტიანების დასაცველად.

«ქრისტიანები ან ბრალიერნი არიან დ~ ანუ უბრალონი, თუ ბრალიერნი არიან, რისთვის სასამართლოში არ მისცემთ დ~ არ გამოიძიებთ იმათ?

ხოლო თუ უცოდონი დ~ უბრალონი არიან, რიღასთვის ჰკლამთ დ~ სწყვეტამთ იმათ?»

ე. სორიტი გინა თანდართულობა არის ის, როცა წინა პირველი წინადადებების ერთმან ერთთან ქონვილი დამოკიდებულების საჩვენებლად, არ იკმავების დადება ერთი შუა კიდეგანისა (კიდური), არამედ საჭირო გახდება დადება კიდურებისა ორისა სამისა დ~ სხვაც. საშვალო კიდურნიც რომ მრავალნი იქმნებიან, მით წინადადებანიც განმრავლდებიან, დ~ მაშინ პირველი წინადადება მეორეს განამარტავს, მეორე მესამეს, დ~ სხვაც: მაგალითად.

სული მარტივი არის,
მარტივს ნაწილი არ აქვს,
რაც უნაწილოა განუყოფელია,
განუყოფელი განუხრწნელია,
განუხრწნელი უკვდავია,
მაშ სული უკვდავი არის. ანუ —

ვინც თავის გულისთქმაებს არ უწინაღმდეგებს, მრავალს რამეს ნატრობს,

ვინც მრავალს რამეს ნატრობს, მრავალი რამე სჭირ-ვია,

ვისაც მრავალი რამე სჭირვია, მოუსვენრად ცხოვრობს.

ვინც მოუსვენრად ცხოვრობს, საწყალი არის,

მაშ ვინც თავის გულისთქმებს არ უწინამძღვრებს, საწყალი არის.

ამაში საჭიროა გაფრთხილება, რომ ლექსები მუდამ ერთი და იმავე ჭაშრით აიღებოდნენ და ერთმა წინადადებამ მეორე განამარტოს, თვარემ ნამდვილი დასაწყისებითგან ბოლოს ცრუ შედეგნი გამოვლენ: როგორც თემისტოკლეს ნათქვამისაგან, რომ ჩემი ახლად დაბადებული შვილი უფლობს თავის დედაზედ, დედამისი ჩემზედ, მე საბერძნეთოზედ, საბერძნეთო ასიაზედ, ასია მრთელ ქვეყანაზედ, მაშ ჩემი ახლად დაბადებული შვილი უფლებს მრთელს ქვეყანაზედო.

ვ. ინდუქციონი, ზედმოყვანილობა; ეთქმის იმ სილოგიზმს რომლითაც საცალკეო ჭეშმარიტების ცნობისაგან საზოგადო ჭეშმარიტების ცნობაზე მივალთ: ანუ როცა ყოველი სახეების თვისების აღრიცხვითა,- იმავე თვისებებს მრთელს ნათესავზედაც მოვიტანთ და დავამტკიცებთ: გარნა მაშინ სახეების ჩამოთვლა კი სრული უნდა იყოს: როგორც აღმოსაჩენლად რომ კაცი თავისი ცხოვრების არც ერთს დროში ბედნიერი არ არის, ინდუქციონით, ზედ მოყვანილობით, გავაწყობთ სილოგიზმოს ესრედ:

კაცი თავის სიყმაწვილეში ბედნიერი არ არის, რადგან მრავალთ ბუნებითი სნეულების ქვემდებარეა, და თავისი თავისუფლების ხმარებაც არ შეუძლიან.

ვაჟკაცობაში ბედნიერი არ არის, რადგან ავი ზნეები და ვნებანი მასზედ უფლობენ და დაატყვევებენ იმას.

მოწიფულობაშიც ბედნიერი არ არის, რადგან მრავა-

ლი ნაღველი დ~ შეწუხებანი აქვს, დიდების მოყვარულ-
ობა დ~ შურიც აღუძრვებენ იმას.

მოხუცებულობაშიც ბედნიერი არ არის, რადგან სნე-
ულებანი დ~ სატკივარნი გაუმრავლდება დ~ სიკვდილის
სამწუხარო ჩრდილი მუდამ მის წინ დგას.

მაშ კაცის ცხოვრება რა დროშიც რომ იყოს, არ შე-
იძლება ბედნიერი იყოს.

## თ ა ვ ი   იბ.

### სილოგიზმოს ხმარება.

სილოგიზმო იხმარება დასამტკიცებლად ე. ი. გა-
მოსაშკარავებლად წინადადების ჭეშმარიტებისა. თუ
რომ ჭეშმარიტების ძებნაზედ ლაპარაკი დ~ მის პოვ-
ნაზე გინა ცნობაზედ, მაშინ არ უნდა მივმართოთ სი-
ლოგიზმოს, რადგან ჭეშმარიტება გამოცხადდება გულ-
ხმიერად (ათიენსიონ), საქმის დაჭვრეტით დ~ გამოძიე-
ბით, მაგრამ თუ რომ ბჭობა არის რომელიმე დასწყისის
შედრგინებაების ჩვენებაზედ, მაშინ არის სწორეთ დრო
სილოგიზმოს ხმარებისა.

უფროსიერთი ორნაირ დროს იხმარება სილოგიზმო.

ა. უკეთუ გინდა რომ დაამტკიცო სიცრუე რომელიმე
წინადადებისა, რომელსაც შენი მოწინააღმდეგე სდებს
დასაწყისად, გამოიღე სილოგიზმით იმ წინადადების
შედრგინებანი, დ~ ამ შედრგინებაების სიცრუე გამოაც-
ხადებს იმის ნაფიქრევი დასაწყისის სიცრუესა.

მაგალითად: თუ რომ დასაწყისად მოგიტანს მოწინა-
ღმდეგე სვინიდისის (ქონსიანს) დ~ ყველა რამის თქმის
შემოუზღუდველ გინა დამოუკიდებელ (აბსოლუ) თავის
უფლებასა, შენ დაარღვევ (ახსნი) ამ წინადადებას შემ-

დეგი სილოგიზმოსა მიერ: მაგ. სვინიდისის და ყველა რამის თქმის დამოუკდებელი თავის უფლობა. შეიცავს თავის უფლობასაც არავითარი სჯულის ქონვისასა, წმიდა რამეების გმობისასა, ფრიად საკდემელი რამების შეურახყოფისასა, დატყვილებისას, აღთქმის გარდამავალობისასა, და სხ. ხოლო ესე ვითარნი თავისუფლებანი საზოგადოების ერთობისა და მყუდროობის წინააღმდეგნი არიან, მაშა სადამე დამოუკიდებელი თავისუფლობა დამქცევი და გამაოხრებელია კაცობრივი ამხანაგობის რიგისა და წესისა.

ბ. უკეთუ გინდა დაუმტკიცო შენს მოწინააღმდეგეს სიცრუე იმ მეორებითი მრუდი აზრისა და ნათქვამისა რომელსაც წყნარუფლობს იგი, და ანუ ძალდატანებულ ჰყო რათა შეიწყნაროს ის წრფელი შედრკინება რომელსაც არ წყნარუფლობს იგი; მაშინ დასდევ ერთი იმნაირი დასაწყისი რომელსაც ჰსცნობს იგი, და უჩვენე სილოგიზმოთი რომ მისი ნათქვამი იგი შემუსრავს და დაარღვევს იმ თავისსავე დასაწყისსა, და ანუ თუ, რომელსაც წყნარუფლობს იმ დასაწყისსა, საჭიროა რათა შეიწყნაროს, შედრკინებაცა იგი, რომელსაც რომ არ წყნარუფლობს.

მაგალითად: თუ ჰეტყვის შენი მოწინააღმდეგე რომ სასწაული შეუძლებელია. დაჰკითხე პირველად მას, ნუ თუ წყნარუფლობს ცისა და ქვეყნის გამჩენის ღმერთის მყოფობასა? თუ რომ წყნარუფლობს; მაშინ ამ ნაირად ჩაასხვლინე იგი, რომ ღმერთს გამჩენსა სოფლისასა შეუძლია წინწარმოყვანა (პროდუირ) ყოველს განჩენილს ძალაზედ უმაღლესისა და მისი წინააღმდეგი ნაყოფისაცა (ეფფეტ), და სასწაულიც სხვა არაფერია, თუ არ ეს. აწ რადგან წყნარუფლობ, გამჩენი ღმრთის მყოფობასა, უნდა აღიარო ესეც, რომ სასწაული შესაძლებელი არის.

ხოლო სილოგიზმის ავად და ბოროტად ხმარება

ორ ნაირად მოხდება.

ა. მაშინ როცა წინმოტანილი დასაწყისი ცრუ, საეჭო და ორაზროვანი იქმნება: რადგან ამითი დასკვნაცა მისი იმდენად უმფრო ტყვილი იქმნება, რავდენადაც იმ სილოგიზმოს ფორმა გარეულად უფრო ნამდვილსავით გამოჩნდება.

ბ. როცა სილოგიზმით გვინდა დამტკიცება იმ რამისა რომლის დამტკიცებაც საჭირო არ არის, და ანუ არ შეიძლება დამტკიცება. როგორნიც არიან გეომეტრიებრივი ანდაზები, ცხადი დასაწყისები, და სხვაც: ანუ გრძნობითი რამები, ჩვენებები, და მოთხრობითი შემთხვევები, რომლების ჭეშმარიტება მხოლოდ დაკვირებით და კაცებრივი მოწმობით შეიძლება რომ დამტკიცდეს.

## თ ა ვ ი  ი გ.

### ბრბენავო-ბისათვის.

უკანონო, მრუდი და მატყუარი გონებითბრძნობა არის ბრძენაკობა (ცრუბრძქნობა), რომლით სიცრუე ჭეშმარიტების სახის ქვეშ დაიფარება; და რადგან ჭეშმარიტება ერთი არის, და სიცრუე კი მრავალნაირი, ამისთვის ბრძენაკობის სახენიც ურიცხვნი არიან. — საზოგადოდ რა სილოგიზმოც რომ იყოს, ბრძენაკობა შევა იმაში, მაშინ როცა დასკვნა კანონის დაგვარად არ გამოვა წინაპრველი ორი წინადადებებისაგან; თუმც ბევრჯერ გარეგანის შეხედულობით განონიერივითაც გამოჩნდება სილოგიზმი იგი, და არ შეგვიძლია მალე შევიტყოთ თუ სად არის იმისი მატყუარი ნაწილი.

უმთავრესნი სახენი ბრძნაკობისა არიან:

ა. უმცოდინარობა ძიებისა: ამით ბევრჯერ კაცნი ერთ-

მან ერის იმისთანა გონებს (ეჭვებს) და აზრებს მისცემენ, რომელნიც მსმენელთ არ ექმნებათ, და მით დიდი განხეთქილების მიზეზები წარმოსდგებიან, როგორც ნევტონის მოწინაღმდეგენი მრთელი ქვეყნის მიზიდულობის მოძღვარებას უარჰყოფდნენ, ამ სიტყვით რომ ეგ ოვარული მიზეზების მოძღვარება არისო, როცა ნევტონი ამტკიცებდა რომ მთელი ქვეყნის მიზიდულობა ღვთისაგან დადგენილი სჯული არის, და მით უმთვრო საქმე არის ესე, ვირემც თუ მიზეზიო.

ბ. გარყვნა დასაწყისისა, ანუ გამოძიების (ბჭობის) ქვეშე მყოფი რაჲმის ნამდვილი დასაწყისათ შერაცხვა: ამითი ის რამე რომელიც ჯერედდა დამტკიცებას თხოულობს, დამტკიცებას მოსცემს წინადადებასა. მაგალითად: თუმც ვიცით რომ ეს ანუ ის რამე სჯულით (კანონით) დამტკიცებულია, მაგრამ გვინდა შევიტყოთ ესეც, სიმართლიით არის თუ არა? — ამაზედ ბრძენაკი ესრეთ გააწყობს სილოგიზმოსა; ის რამე რაც თანახმაა სჯულისა (კანონისა) ჯეროვანია, ახლა ეს რამეც რადგან სჯულის თანახმა არის; მაშა სადამე ჯეროვანია.

გ. მდარე მიმობრუნება ჰქვიან იმ ბრძენაკობას, როცა ვეცდებით ორი რამის დამტკიცებას ერთმან ერთითა, მაგ. ქვეყანა ტრიალობს, რადგან მზე უძრავია: მზე უძრავია, რადგან ქვეყანა ტრიალობს. აფიონი ძილს მოჰგვრის რადგან გამაბრუვებელი ძალა აქვს: რათ აქვს განმაბრუებელი ძალა აფიონს? ამიტომ რომ ძილს მოჰგვრის. წყვილ შორაობითად იწოდებიან ის ხაზები, რომელნიც ერთმანერთისაგან თანასწორედ შორობენ, და სხ.

დ. ცრუ მიზეზი ნამდვილი მიზეზის მაგიერად, ამითის რომ ბევრჯერ მრუდი და უსაფუძლო აზრები გავრცელდებიან და დამტკიცდებიან ხოლმე გლეხებში, და აგრეთვე ზოგჯერ ბრძენებშიაცა, მაგ. უწინდელი სიბრ-

ქნის მოყვარენი ამბობდნენ რომ წყლის ამოსაწევში წყლის მაღლა ამოსვლის მიზეზი ეს არის რომ ბუნებას სიცარიელეს ერიდება. ამნაირნივე არიან კვლავ იგო-დენი ცრუ მორწმუნებითი აზრები რომელნიც ყოველს გვარში არსებობენ.

ე. უსრულად აღრიცხვა ნაწილებისა: ამ ბრძენკობაში ადვილად ჩავარდების კაცი, როცა რომელიმე ნივთის დაწვრილებით ახსნას უსრულად იზამს, რომლით მისი შედრკინებაც (დასკვნა) მრუდად გამოვა, მეტად უნდა უფრთხილდნენ ამ ბრძენკობას ისინი, რომელთაც ორ-ჭოფოვანი სიტყვის ხმარება უნდათ.

ვ. მატყუარების შემთხვევისა: ეს ის ბრძენკობა არის რომელიც კეთილობითიდგან საზოგადო შედრკინებას (დასკვნას) გამოიყვანს: მაგ. გუშინ ერთმან მატყუარ-ობა ჰქმნა, მაშ დღესაც იქმს მას და მუდამაც უნდა ჰქმ-ნას: ყოფილან კაცნი ბრძენნი რომელნიც შემცდარან, მაშ აბა ბრძენნი მუდამ შესცთებიან.

ზ. განყოფილი აზრის შეერთება, და შეერთებულის გან-ყოფა: სახარებაში ნათქვამია რომ ბრმანი ჰხედვენ, კო-ჭლნი დადიან: რადგან ეს აზრი განყოფილია, ასრე უნ-და შეიტობებოდეს, რომ ისინი ვინც ერთხელ ბრმა იყვნენ, ახლა ხედვენ, და სხვ. პავლე მოციქული ამბობს «არც ანგაარნი, არც კერპთ-მსახურნი სასუფეველსა ღვ-თისას არ დაიმკვიდრებენ»: ბრძენკობა იქნება თუ შე-ვადგინოთ აქედგან რომ, მაშ აბა ანგაარებისათვის ცხო-ნება არ არის თუმც კი შეინანოს.

ჱ. როგორიმე დაბეჯითებისაგან, ნამდვილ ჭეშმარტს შეადგენენ: ამით ბევრჯერ ჩვეულებითისაგან ფართო შედრკინებას გამოიყვანებენ კაცნი: როგორც ეპიკური-ანნი ამბობდნენ რომ კერპებს კაცის სახე უნდა ჰქონდე-ნენო, რადგან კაცის სახე ყველასაგან მშვენიერია

ამისი სიბრუდეც ცხადია არის, რადგან არა თუ კაცის სახე ყველაზედ გარდამეტებული მშვენიერება არის, არამედ შედარებით მხოლოდ სხვა სხეულთა თანა.

თ. პატივობითი ითქმის, ის ბრძენაკობა, რომლცა რამე წინადადების დასამტკიცებლად განზრახ პატივით ანუ სხვა რამე ღირსებით შემოსვილი სახელოვანი კაცის მოწმობა წარმოდგენილ იქმნას, და ამ ნაირი მოწმობის დაუყოლიებელი გლისპად და თავმჯელად შეირაცხოს.

ი. უმეცრებითი ითქმის ის ბრძენაკობა, რომლცა ჩვენის აზრისად მტკიცე სამოწმებელის და ფაქტების უქონე-ლობით, ძალას უზამთ სხვათ, რომ ანუ ჩვენი მოტანილი სამოწმებლები მიიღონ, ანუ სხვა უკეთესი მოიტანონ, და თუ ვერ შეიძლებს მათ ესე, შევადგენთ იმითი, რომ, მაშ ჩვენი არის სიმართლე; რადგან მოწინააღმდეგის უმეცრება, ჩვენს მტკიცესა და ნამდვილს მეცნიერებას ვერ აჩვენებს.

## თავი იდ.

### ცთომილებათათვის.

შეცდომილება არის ნებიერად ცრუ განმსჯელობა: განმსჯელობა, განირჩევის. ა. უმეცრებისაგან, რომელი ვერ სცნობს წარმოდგენილ საქმეს. ბ. ეჭვნეულობისაგან რომლის გამო ვერ გარდასწყვეტს საქმეს, და გ. დასაჯერებელი აზრისაგან რომლითა თუმცა იძლევა ორთა წინააღმდეგთა წინადადებათაგანის ერთს კერძოსაკენ, გარნა მაინც კიდევ შიშობს, და ვერ აძლევს განრჩეულს სჯასა იმაზედ.

შეცდომილება განირჩევა სიცრუისა გინა ტყუილისაგანაც, რომელი ჭვრეტს თავისი ფიქრის წინააღმდეგად

ლაპარაკში ანუ თქმაში, და წინააღმდეგად მისი, როგორც თვით ფიქრობს. შეცთომილებით კაცი თვითონ შესცდების და მოტყუილდება, ხოლო სიცრუით და ტყუილით კი, სხვებს მოატყუებს და შეაცდენს; ან თუ არა, მაინც ცდილობს და ეძიებს, რომ მოატყუოს ანუ შეაცდინოს; რადგან შეიძლება მოხდეს მომტყუებელმან მართალი სთქვას, და თვითონ კი ეგონოს რომ ტყუილს ვამბობო.

შეცთომილების მიზეზები ანუ შინაგანნი არიან და ანუ გარეგანნი. — შინაგანი მიზეზები, როცა ნებასა და მგრძნობელობაზედ დამტკიცებულნი არიან, და ჰქვიანთ ზნეობითი მიზეზნი: ხოლო როცა გონების უძლურობისგან წარმოსდგებიან, ჰქვიანთ გონებითნი მიზეზნი.

ზნეობითს მიზეზებში უმთავრესნი არიან ა. ნაირნაირნი ვნებანი და სულის მიზიდულობანი: როგორც ამპარტავნება, თავმოყვარეობა, შური, სიყვარული, სიმძულვარე, მოზარულობა, და სხვაც. — ამპარტავნება არ მიუშვებს კაცსა რომ თავისი მრუდი აზრი განაძიოს, და მართალი მიიღოს: თავმოყვარეობა სილაღითა გაიყოლიებს კაცს პირმოთნეობის სიტყვათა სმენისაკენ. შური ეტეხილობითა არ მიუშვებს კაცს, რომ სხვის სიკეთე დაინახოს, და სხვაც. — სიყვარული არ მიუშვებს კაცსა რომ თავისი შეყვარებული პირის ანუ თავისი ნაკლებულობა დაინახოს: სიმძულვარეც ბევრჯერ დაუმლის, რომ მტრის დაუჯერლობით განსაჯოს სხვის იდეები. — მოზარულობაც არ მიუშვებს კაცსა, რათა იშრომოს და სიცრუე მართლისგან გამოარჩიოს. რომლით მრავალნი მაგრათ სდგანან თავიანთ აზრ ზედ, და მსუბუქობით გარდაწყვეტილებას აძლევენ გარგად არ ნაცოდნ საგნებსა და ნივთებს ზედ. — ბ. ხასიათის ნაკლებულობანი, მაგ. ადვილად დამყოლველობა, ინადი, ცვალებადობა, გლისპობა, შიში, და სხვაც.

— ადვილათ დამყოლი რა აზრიც უნდა იყოს გამოუძიებლად მიიღებს: ხოლო ინადიანი (დაუყოლავი) თუმც ცხადად ხედვდეს ჭეშმარიტებას, მაინც არ მიიღებს: ცვალადი ხან ერთნაირ განსჯას იქმს ძიებაზედა, და ხან მეორე ნაირს, მით უჭველად ერთსა და ერთში შესცთება. გლისში კაცი სრულ გაუჭვიანებლად გარდასწყვეტს იმ რამეს, რომელიც არ იცის, და რომელიც ჯერედ არა აქვს გამოძიებული. მოშიში ყოველ საქმეში უსრულად და გარდაუწყვეტელად დასტოებს თავის განსჯასა. — სურვილი და იმედიც ბევრს შეუძლებელს საქმეს შესაძლებელად გვაჩვენებს ჩვენ, და თავით თვისით განურჩეველს საქმეს, მიუცილებელ საჭიროდ ჩვენებითა, ბევრს განსაცდელებში ჩაგვაგდებს იმ რამების ხელთ გასატარებლად.

გონებითს მიზეზებში, უმთავრესნი არიან წინადგანსჯა (პრეჟუჟე), წინად დაჭერილი ჩვეულება, გამოხატულობა გინა ოცნება, უმეცრება, და მხსოვნელობის ნაკლებულობა ანუ დავიწყება. — წინად განსჯა, როცა მრუდ რამეზედ იქმნება, თავით თვისით შეცთომილება არის, და ეგრეთვე მრავალი შეცთომილების წყაროცა. — გამოხატულობით კაცი მოუხდენელ რამეს მოხდენილად დასახამს, უსაფუძლო აზრებს დაბადამს, და ჭეშმარიტებას სიცრუესთან აურევს. — უმეცრება და უმცოდინარობა ამპარტავნობისაგან და მსუბუქობისაგან წარმოსდგება, და მრავალი შეცთომილების მიზეზი გახდება. — მავიწყარობითაც ბევრჯერ ჩვენი და სხვათა გამოცდილებისაგან ჭკუას ვერ ვისწავლით, და შევსცთებით ხოლმე.

გარეულ (გარეგან) მიზეზებში უმთავრესნი არიან მრუდად გინა ავად აღზრდილობა, უცხოთ გონი (ეჭვი), ენის ნაკლებულებანი, მოტყვილება საგრძნობელთა, და სხ.

— მრუდად, ავად აღზრდილობა ყრმათა და ყმაწვილ-კაცთა ურიცხვი შეცთომილების მიზეზია, რომელიც მოხდება იმათი გამოხატულობის მოტყუილებითა და შე-შინებითა, ანუ უზომო დამყოლებულობითა და იმათი ნა-კლებულობაების გაუსწორებლობითა, ანუ უზომო სი-ფიცხითა, და ბევრჯერაც ბოროტი მაგალითის ნახვითა, ავი და ბოროტი წიგნების კითხვითა, საცთუროდგან თეა-ტრებში დასწრებით, ავს ამხანაგებთან გაწყობითა, და სხ. — უცხოთ გინა სხვა გვარის ხალხოსნობის ეჭვი, სიტყვა, ანუ საქმე, ბევრჯერ შეცთომილების მიზეზად გაუხდებიან კაცსა, როცა გამოუძიებლად ბრმასავით შე-უდგება იმათ. — ენის ნაკლებულობად ითქმიან იმ რი-გი თანამსგავსი ლექსით ნალაპარაკევები, რომლებსაც ყველა კაცს როგორც უნდა ისე შეუძლია მიხვდეს, ამით ენა შეცთომილების მიზეზი გახდება, როცა იმ ლექს-ით აღნიშნული რამე თუმც არსებითი არ არის, მაგრამ არსებითი რამის მაგიერ აიღება: და ანუ თუმც კი არსე-ბითი რამისაც მნიშვნელი იყოს, მისი მხმარებელი (მომქმედი) სხვანაირ მნიშვნელობას მისცემს იმასა: მაგ. გვარის მოყვარულობა გინა მამულისა, პატივი, თავისუფლება, მძლავრობა, და სხვაც. — საგრძნობელ-ნი და რამების მოლანდებაც ადვილად შეაცთუნებენ კაც-სა, როცა უძლური და სნეულია იგი, და ანუ მხოლოდ ერ-თის შეხვედრულობით განჩინილებამთ სადმე იმათა.

ამ ყოველი შეცთომილების მიზეზთ წინააღმდეგად უმთავრესნი წამალნი; არიან იმათივე წინააღმდეგნი სათ-ნოებანი, სიფრთხილე, და დაფიქრებით განზრახვანი: მაგ. თავმოყვარეობის წინააღმდეგად, თავის სჯაზედ მინდო-ბილობა არ უნდა ჰქონდეს, სიზარმაცის წინააღმდეგად, არის შრომის მოყვარეობა, წინად განსჯის წინააღმდეგად, სწორე განმსჯელობა, უმეცრების წინააღმდეგად, სწავ-

ლის მოყვარეობა, ენის ნაკლებულობის წინაღმდეგად ლექსების და საუბრის მნიშვნელობის სინამდვილე, საგრძნობლებისგან მოტყვილების წინაღმდეგად, იმათი გასწორების ცდა, და ყოველი მატყუვრების წინაღმდეგად, სიმართლის სიყვარული, რომელი ნამდვილი ფილოსოფიის მხოლოდი მიზანი და აღსასრული არის.

შეცთომილება, რადგან იმავე დროს განმსჯელობა და ნებისაგან ბრძანებული საქმეა, წარმოვალს შემტყობელობისაგან (ენთელიჟანს) რომელსა მხოლოდს ეკუთვნის განსჯა, და ნებისაგანაც რომელსა მხოლოდს შეუძლია ბძანება, ნება თავის კერძოთ არ მიიყვანს შემტყობელობას იქამდისინ, რათა ცუდად გასაჯოს, უკეთუ თვითვე არ იყოს მიზიდული გარეგანი რამისაგან; ამის გამო შეცთომილების მიზეზნი შეიძლება შემოკლდნენ ესრედ.

განსჯის კერძოთ, შეცთომილება წარმოვალს იმ წინად განსჯისაგან რომელიც ცოდნის უწინარეს განჭსჯის, და ანუ ოდეს საკმაოდ არ გამოიძებს. ორნი მიზეზნი არიან რომლების მიერ ნება გრდასწყვეტინებს განსჯასა, რათა საკმაოდ გამოძიების წინად გასაჯოს, (პრეჟუჟე): ა. ზარმაცობა, რომელსაც ფიქრობის შრომა ჭლალავს, ბ. ამპარტავნობა, საიდგანაც იშობებიან ის თავის მომწონრობა რომელსაც ჰგონია რომ ყველა რამე ვიცით, და ის პაექრობისა (ქონთანსიონ) და ცილობის სული რომელსაც იამება პირში შემბმელობა გინა სიტყვისგება (ქონთრადიქსიონ), მაგრამ თვითონ კი ვერა მოითმენს ამას სხვისგან, და ვერ აუტანია.

ამ მიზეზებს შეაერთე სხვა გარეგანნი მიზეზნიცა, მაგალითად: კაცი შეიქმნება ხშირად საგრძნობლების და ანუ კაცის ტყვე, საგრძნობლების ტყვე, სჯის ყველა რამეს იმნაირად, რანაირადაც ის რამენი იამება, ანუ არ იამება თავის ვნებასა, სიხარბესაც სხვა ზომა და

საწონი არ აქვს რამების გასასჯელად, თუ არ ოქრო-ავხორცობას სხვა არაფერი მიაჩნია თუ არ ის, რაც ხორცს იამება, დიდების მოყვარებაც ცოცავს დ~ ცურავს ავ-ქსონობის მქონე დ~ მფლობელის ფეხქვეშ, სწორეს არ იტყვის, დ~ პირფერობით ელაპარაკება იმას, ვისი შეწყენაც რომ არ უნდა, დ~ ვისიც ერიდება.

მ:ი თუ რაოდენად იშვიათნი არიან იმისთანა გონიერნი პირნი, რომელნიც ეცდებიან დ~ ყოვლითურთ განარინებენ თავიანთ თავსა ზემოდ მოხსენებულთა შეცთომილებათაგან.

# მესამე ნაწილი

## ბუნებითი ღვთის მეტყველება (თეოდისე).

### თავი ა.

### დამტკიცებანი ღვთის-მყოფობისა:

ბუნებითი ღვთის-მეტყველება მეტაფიზიკის გინა ზესთა ბუნების ის ნაწილია, რომელიც ლაპარაკობს ღმერთზედ, რამდონადაც კაცის გონება მისწვდების. — კაცის გონებას თავით თვისით, რომცა თავის ბუნებით შეზრდილებას მიიღებს, შეუძლია და კიდევაც ჰმართებს ცნობა ღვთის მყოფობისა, და უმთავრესთა თვისებათა (ატრიბუ) მისთა, თუ გინდ უმეცარიც იყოს გამოცხადებისა და დავედრებათა მათ, რომელნიც გადმოგვცემენ ჩვენ გამოცხადებულ მოძღვრებასა.

ღვთის თქმით გვესმის ის პირველი არსი, რომელსაც აქვს მყოფობა თავით თვისით საჭიროებითად თავისგან, და რომელსაც მიუცია მყოფობა ყოველთა ქმნულთათვის (დაბადებულთათვის).

მყოფობა ამ უპირველესის არსისა საცნაური მოწმობებით სჩანს და მტკიცდება, რომელთაგან ზოგნი ზესთა ბუნებითი რიგისაგან აღებიან, ზოგნი ბუნებითი რიგისაგან, და ზოგნიც ზნეობითის რიგისაგან.

ზესთა ბუნებითი სამოწმები გინა დამტკიცებანი, ანუ საჭიროება თავით თვისით მყოფი არსისა. უკეთუ არ არის არსი რამ საჭიროებითი და თავით თვისით მყოფი,

წინააღმდეგი არ იქმნება, რომ არა ვითარი არსი არ იყოს. ხოლო უკეთუ ყოფილიყოს ერთი წამი დრო რომელში არცერთი არსი არ ყოფილიყოს, მაშინ ყოველივე არსის მყოფობაც საუკუნოდ შეუძლებელი იქმნებოდა. ახლა დავსდვათ რომ არც ერთი არსი არ ყოფილ იყოს, მაშ სიდგან (ვისგან) მიიღეს არსთა მყოფობა?

თუ სხვა არსისაგან მიიღეს. — სხვა არსიც არ არის.

თუ თავიანთ თავისაგან? — მაშ თან იქმნებოდენ იმავე დროში დ~ თან არ იქმნებოდნენ, რომელიც შეუძლებელია დ~ ჯანსჯის წინააღმდეგი. — რადგან რაც არ არის, იმას არც შეუძლია მოქმედება, დ~ არც შეუძლია მყოფობის მიცემა, რომელიც თვითან არა აქვს. — დ~ თვითანვე დამჭირნეა მყოფობის მიღებისა.

მაშა სადამე არ შეგვიძლია განვსაზროთ რომ ერთი წამი დრო ყოფილიყოს, რომელშიდაც სრულიად არსი რამე არ ყოფილიყოს.

მაშ უნდა იყოს ერთი არსი თვითმყოფი, რომელმანც მისცა მყოფობა იმათ, რომელნიც სხვისგან ქმნილან.

ჩვენც ამ საჭირო დ~ თავით თვისით მყოფს არსს ვუწოდებთ ღმერთს. — მაშ აბა ღმერთი არის.

ბუნებითნი მოწმობანი დ~ დამტკიცებანი ქვეყნის მყოფობისა დ~ მისი განწყობილებისაგან აღებულნი. ა. ქვეყანა არა ჰგიებს საჭიროებითად, რადგან არც ერთი არსი არ არის ქვეყანაზედ იმისთანა, რომლის არ ყოფნა არ შეიძლებოდეს ფიქრში წარმოდგენა. — მაშ ქვეყანას არა აქვს თავისგან საკმაო მიზეზი (რეზონ) თავისი მყოფობისა. უკეთუ ჰქონოდა ეს საკმაო მიზეზი, მაშინ საჭიროებითი იქმნებოდა მისი მყოფობა.

მაშა სადამე საკმაო მიზეზი ქვეყნის მყოფობისა უნდა მოვსძებნოთ იმის გარედ. — მაშ ქვეყნის გარედა

არის ერთი რამ არსი განრჩეული ქვეყნისაგან ნამდვილად, რომლის არ ყოფნა არ შეიძლება ფიქრში წარმოდგენა.

ამ არსს, ვუწოდებთ ჩვენ ღმერთსა. — მაშ აბა ღმერთი არის.

ბ. ქვეყანას არ შეეძლო მიეცა თავისთვის ეს რიგები, რომლებსაც ეგრედ მოწყობილად და შეფერებულად ემოქმედათ, რადგან სამი რამე აკლია იმას ამ მოწყობილობათათვის. ა. აკლია მას შემტყობელობა გინა გონება, ფიქრი, რომელიც საჭიროა განსაზღვრისათვის იმ საბოლოვო აღსასრულის რომლისაკენაც მიიმართვიან ყოველნი ნივთიერნი არსნი, როგორც ვხედამთ. ბ. აკლია მას მნებელობა გინა ნება რომელიც საჭიროა მისამართავად ამ აღსასრულისადმი. გ. აკლია მას შემძრავი ძალა, რომელსაც მიეცა მოძრაობა ყოველი სხეულისათვის. რომელნიც თავით თვისით განურჩეველნი არიან მოძრაობასა და უძრაობაზედ (დგომაზედა).

მაშ საჭირო არის რომ გარედ და უმაღლესად უმვროს ამა ყოველთა ნივთიერთა და თავით თვისით უძრავ არსთა, რომელნიც ეგრედ მრავალნი, ეგრეთ ნაირნაირნი არიან და ეგრეთ ერთი მეორის წინააღმდეგნი, გარნა თანვე ეგრეთ ურთიერთთან შეერთებულნი, საკვირველად განწყობილნი, ეგრეთ გამძლენი და მიმყოლნი იმ რიგისა რომელიც აწარმოებს იმათ მოძრაობასა, საქმესა და ნაყოფებსა; მით ვამბობ რომ უნდა იყოს მიუცილებლად და უეჭოდ ერთი იმნაირი გამგე და ყოვლად მაღალი მმართველი მათი, რომელსაც ჰქონდეს. ა. ყოვლად განთვენილი და დიდი შემტყობელობა, რომ შეეძლოს დატევნა ყოველი შესაძლისი ცვლილებაებისა, იმდენი კავშირებისა (ელემანთ), რომელნიც შეიძლება შეიცვალნონ, შედგინდნენ, და დაიშალნონ მრავალ

ნაირათ დაუბოლოებელ საუკუნოების განმავლობაში. და ბ. მექონი ყოვლად მაღალის შეძლებელობისა უმფროს ყოველი ძალისა და გამძლეობისა (რესისტანს) თუ განყოფილით და თუ შეერთებულით კავშირითა, რომლით შემდგარია ცა და ქვეყანა ერთიან.

და ვინ იქმნება ეს არსი? თუ არ მხოლოდ ღმერთი. — მაშ აბა ღმერთი არის.

ზნეობითი მოწმობა დამყარებული ფიქრობის და მოქმედების ნაირობაზედ რომელიც ბუნებითია კაცისათვის, იქმა მანდა გაცებრივ თანასხმობაზედ და ბუნებით სჯულზე. ა. შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი გინა ე რ თ პ ი რ ა დ ი თ ა ნ ხ მ ო ბ ა: არ შეიძლება რომ ყოველნი კაცნი ერთიან დათანხმდნენ რომელსამე სიცრუეზედ. ხოლო ყოველნი გაცნობილნი კაცნი ანუ მაინც ყოველნი ბრძენნი და პატიოსანნი კაცნი, ყოველს დროს, და ყოველს ადგილს შეერთდნენ და შეთანხმდნენ ც ნ ო ბ ა ზ ე დ რომ არის და იმყოფება ერთი ღმერთი. — და თუ რამე გარჩეულობა შეიტანეს, მხოლოდ ღვთაების ბუნებაზედ და სისრულებაზედ იყო, ხოლო მყოფობისათვის ყოვლად მაღალის არსისა უმაღლესისა უმფროს ქვეყნისა და ყოველთა კაცთა, ერთპირადი თანხმობა (მრწმუნებლობა) შეერთებულია ყოველთა. ამ რამის მოწამენი არიან ღვთიური სამსახური, საკურთხევლები, ტაძრები, მსხვერპლები, ლოცვები (მოწოდებანი), ვედრებები და ფერად ფერადნი წერილნი, რომლებიც მუდამ და ყოველს ადგილს ღვთაების რწმუნებას (სამღთო სარწმუნოებას) მოგვაგონებენ. ბ. ბ უ ნ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი. ყოველმა კაცმა იცის და აღიარებს ერთპირათ, რომ არიან რომელნიმე თანამდებობის და დამავალიანებელი საქმები, მაგალითად: სიყვარული მშობელთა, და რომელნიმე საქმებიც არიან დაშლილნი, მაგ. კაცისკვლა;

მჳარაობა, დ~ სხვაც. — აწ ესე ვითარნი მოვალეობანი გვარწმუნებენ რომ არის ერთი არსი ყოვლად მაღალი უმფროს ყოველთა კაცთაგან. რადგან თუ რომ თვით კაცსა თავის თავზედ დაედვა ეს მოვალეობანი, შეეძლო აგრეთვე მათგან განთავისუფლებაცა, მაგრამ სრულობით არ შეუძლია, როგორც ემოწმება სვინიდისის ის კბენა რომელიც მოსდევს სჯულის გარდამავალობასა, დ~ დაუწყებს ჩხვლეტას სჯულის გარდამავალსა.

მაშ არის სჯულის მდებელი ვინმე ყოვლად მაღალი, ყოვლად დამოუკიდებელი, მეუფე, უფალი ყოველთა კაცთა, დ~ შერისმძიებელი ბოროტმოქმედებაებისა: ამ სჯულის მდებელს ყველანი ერთპირად ჰხადიან ღმერთად.

## თ ა ვ ი ბ.

### ღვთის უმთავრესთა თვისებათა გინა სისრულეთათვის.

უ მ თ ა ვ რ ე ს ნ ი ს ი ს რ უ ლ ე ნ ი ღ ვ თ ი ს ა ნ ი. ჩვენის გონების საზღვროვანების დ~ უძლურობის მიზეზით რომ ვერ შეგვიძლია ღვთის შეტყობა გინა მიხვედნა მისდამი, დ~ სააქაოს სიცოცხლისაც რომ ვერ ვსცნობთ მას თუ არ გაჩენილების მიერ, რომელთ შინაცა გამოცხადებული არის იგი, როგორც მიზეზი თავის ნაყოფეებში, მის გამო ღვთიურს არსში მრავალს სისრულებაებს გავარჩევთ, როცა იმას შევადარებთ ერთი მეორის მიყოლვით ნაირნაირ თვისებაებთან რომელთაც შევნიშნავთ ხოლმე გაჩენილ არსთა შორის.

ესრედ დაბადებულებზედ რა საკუთრებათაც შევამჩნევთ (ვნახამთ) მაგალითად: რომელიმე ხარისხსა არსებისა, ერთობისა, მარტივობისა, სიმტკიცისა, გამძლეობისა, განფენილებისა, ცხოვრებისა, შეტყობი-

სას, ძალისა და სხ. და ვიცით რომ რაც ნაყოფებშიდ არის, უნდა რომ იგივე ყოვლად მაღალის აღსავალითა იპოებოდეს მიზეზსა შინაცა, მაშ აქედგან შევადგენთ მაშინაითვე რომ რაც სისრულენი მოიპოებიან, ყოველი და თვითეული მათგანი უნდა რომ საჭიროებითად და ყოვლად მაღალის აღსავალითა იპოებოდეს ღმერთში, თვინიერ რომელიმე საზღვრისა და ნაკლულევანებისა გინა განუსაზღვრელის და სრულის სახითა: და მით ვამბობით რომ: ღმერთი არის, არსი განუზომელი, დაუსრულებელი და ყოველს ადგილს, იგი არის ერთად ერთი გინა მხოლოდი და მარტივი, უცვალებელია თავის არსების სიმტკიცითა გინა უცვალებლობის გამო, გამძლეობით არის საუკუნო, და შეხედვით გამოუჩინლობისა დაუტევნელი, თვითვე არის ცხოვრება, შემტყობელობა და ყოვლის მპყრობელობა. —— ამ თვისებათა გინა სისრულეთაგანნი ზოგნი დამოუკიდებელნი არიან, და ზოგნი დამოკიდებითნი, ისე, რანაირადაც რომ ანუ გამოაცხადებენ და ანუ არა მიმართობას რომელიმე დასასრულისა ანუ კიდურისადმი; ანუ თუგინდ კიდევ რანაირათაც რომ ეკუთვნიან ანუ იმავე ღვთიური არსის გინა მყოფობის არსებასა და ანუ მის მოქმედებათა.

უმთავრესნი დამოუკიდებელნი თვისებანი არიან დაუსრულებელობა, ერთობა, სიმარტივე, უცვალებლობა, საუკუნოებითობა და განუზომელობა.

ხოლო დამოკიდებულობითი თვისებათა გინა ღვთიურ საქმეთა აქვსთ თავიანთი ბოლო (კიდური) ან თვითვე ღმერთში და ანუ ღვთის გარედ: პირველნი ითქმიან საშინაგანო საქმებად, და მეორენი საგარეო საქმებად.

საშინაგანო (ad intra) დამოკიდებულებითი თვისებანი არიან შემტყობელობა, და მნებელობა, რომლებით ღმერთი თავის თავს ჰსცნობს და ჰნებავს (უყვარს) თავი

თვისი, და თავისში ჰხედამს თანვე ყოველნივე რაც არიან თუ ქმნილნი და თუ შესაძლისნი. — ხოლო საგარეო (ad extra) დამოკიდებულებითი თვისებანი შეიძლება შემოვკრიბოთ და გარდავაკეთოდ მხოლოდ ერთ თვისებად, რომელიც არს ყოვლის-მპყრობელობა, რომლით ღმერთი ჰბადამს, იცვამს, და ჰმართამს ყოველ ქმნულთა არსსთა: ანუ ორ თვისებად, რომელნიც არიან დამბადებელობა და წინაგანმგებელობა.

### თ ა ვ ი გ.

დამოუკიდებელნი თვისებანი ღვთისანი, ვითამც განუზომელობა, და განუსაზღვრებლობა, ერთება, საუკუნოებრიობა, და დაუტევველობა ღვთისა.

**გ ა ნ უ ზ ო მ ე ლ ო ბ ა, და გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ლ ო ბ ა ღ ვ თ ი ს ა.** განუზომელის ანუ უსაზღვროს თქმით გვესმის ყველასაგან უდიდესი რაიმე, აწ ღვთისაგან უდიდესი რამის ფიქრში წარმოდგენა არ შეგვიძლია, რადგან ღვთისაგან გარეშ იმისთანა არსი არ არის და არცა შესაძლისი სისრულე რამე, რომელიც ღმერთში ყოვლად უწარმატებულესად არ იპოვებოდეს. და მართლიად უკეთუ იმისთანა არსი და ან რამე სისრულე ყოფილ იყო, რომლის სინამდვილე ღმერთში არ მოიპოვებულიყო, მაშინ იმ არსის და იმ სისრულის ავქსონი გინა დამბადებელი არ შეიძლებოდა რომ ღმერთი ყოფილიყო, რადგან მაშინ არ შეეძლო ღმერთს იმ რამის მიცემა, რაც არა ჰქონდა. მაშ ის არსიც თავის თავად ქმნილი უნდა ყოფილიყო, თავისში უნდა ჰქონოდა საკმაო მიზეზიც თვისი მყოფობისა, რომლის გამო საჭიროებითაც უნდა ყოფილ იყო მისი მყოფობა და თვითანაც საჭირო-არსი.

ახლა ცხადია რომ საჭირო არსი ერთი არის, რადგან მარტო ერთი კმარა; და მარტო ერთი კმარა, ამისთვის რომ როცა ის ერთი არის, შემიძლია სხვა მეორე ყოველი არსები არ ქმნილად შევრაცხო: და მართლადაც მარტო ერთი მყოფობა (არსი) საკმაო არის სხვათა მყოფობაში მოსაყვანავად. — მაშა სადამე მხოლოდ ერთი არსი მოიპოება საჭირო და თვით მყოფი: და სხვა ყოველთა არსთა მისგან მიუღიათ ყოველი რაც არიან და რაც აქვსთ საქმით (ნამდვილად).

მაშ თვით მყოფ არსს გინა საჭიროს და პირველს დასაწყისს არსს აქვს თავისში ყოველი სრულება (სისრულე) ყოველთა ქმნილთა და შესაძლის არსთა: და ის რაც არ არის ღმერთში ყოვლად აღმატებულებითად, ყოვლითურთ შეუძლებელია რომ იმის გარედ იპოებოდეს. მაშა სადამე ა რ ს ი საჭირო, თვით მყოფი, და პირველი დასაწყისი, განუსომელი და უსაზღვრო არის, აქვს ყოველი მყოფობა და ყოველი სისრულე (სრულობა) და არის ყველაზედ უდიდესი და უსაზღვრო, დიდ არს და სიმდიდრისა მისისა არა არს საზღვარი.

სხვა მოწმობა: მე ჩემში მაქვს უსაზღვროჲს იდეა ე. ი. დაუტევნელის სიდიდისა; რადგან იმაზედ ვსაუბრობ და სხვათაც ნათქვამი მესმის, როდისაც მელაპარაკებიან იმაზედ, ახლა სითგან ამიღია მე ეს იდეა? ჩემგან? არაოდეს, რადგან მე განსაზღვრილი ვარ, და დიდი მცირეში არ დაეტევა; ანუ ჩემ ნაირ განსაზღვრილ არსთაგან? სრულიად არა, ზემოდ ნათქვამითვე მიზეზის გამო. — ესეც ხომ შეუძლებელია რომ იდეა რამე იყოს თვინიერ თავისი საკმაო მიზეზისა, და იდეის მხოლოდი საკმაო მიზეზი, გარდა იმ ქვემდებარისა, რომელსაც შეუძლია ცნობა და წარმოდგენა გინა იდეაში მოტანა მისი, არის თვით საგანი იგი, რომლის იდეა სხვა

არა არის რა, თუარ მხოლოდ მისი გამომჭვირვალება და გონებრივობითი წარმომდგინებლობა. მაშ საჭიროა რომ იყოს რომელიმე საგანი და არსი დაუტევველი და უსაზღვრო.

აწ ეს უსაზღვრო არსი არის ღმერთი: რომელსაც დავამტკიცებთ ესრედ: უსაზღვრო ჰქვიებს დაჭირებითად: რადგან უკეთუ შესაძლები ყოფილ იყო მისი არ ყოფნა, არ შეეძლო ქმნულებაებში ყველასაგან დიდ ყოფნა, ამიტომ რომ მაშინ შეეძლო საზღვრისა და რამე დასასრულის მიღება, იმ ყველასაგან დიდი საზღვრისა და ყველასაგან მრთელი დასასრულისა, რაც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომელიც არის არ ყოფნა, დაცხრომა იმავე მყოფობისაგან და ანუ უმყოფელობა. მაშ აბა უსაზღვრო არსი ჰქვიებს საჭიროებითად. მაშ უსაზღვრო, არსი საჭირო არსი არის. გარნა რადგან მარტო ერთი არის საჭირო არსი (როგორც ზეით ითქვა). მაშა სადამე უსაზღვრო არსი ისევ ის საჭირო არსია, რომელსაც ვუწოდებთ ღმერთს: მაშ უსაზღვრო არის თვით იგივე ღმერთი, და მაშ აბა ღმერთი არის უსაზღვრო.

ერთება: ღმერთი ერთი არის, ამ აზრით რომ: ა. ერთად ერთი არის იგი, და ბ. მარტივი. — ერთად ერთი, ე. ი. რომ არ იქმნება და არ შეიძლება იყოს თუ არ მხოლოდ ერთი ღმერთი, და მას თავისი მსგავსი არა ჰყავს. — მარტივი, ე. ი. თვინიერ ნაწილებისა.

1. მხოლოდ ერთი არის ღმერთი: ა. ღმერთი არის არსი საჭირო: ხოლო საჭირო არსი მხოლოდ ერთი არის, რადგან მარტო ერთი საგმაო არის, და მისი ყოფნის შემდგომ, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უმყოფელობა სხვათა ყოველთა, (ვითარცა ნახე ზემოდ).

ბ. ღმერთი არის არსი უსაზღვრო: ხოლო არ შეიძლება რომ იყოს თუ არ ერთი მხოლოდი უსაზღვრო. პირველად მისთვის, რადგან უსაზღვრო არის საჭირო, და მარტო ერთი არსი არის რომ მყოფობს საჭიროებითად: მეორედ რომ ორი უსაზღვრო არსის განსაზღვრით, არც ერთი იქმნებოდა უსაზღვრო და არც მეორე, რადგან თვითეული იმათგანი შეიძლებოდა უმტვრო დიდი ყოფილიყო, ვსთქვათ მაგ. უკეთუ ა. იყოს ერთი უსაზღვროთაგნი, და ბ. მეორე უსაზღვრო, შეგვიძლია ვსთქვათ რომ: ა. უმტვრო დიდი იქმნებოდა უკეთუ სხვა ბ. უსაზღვროს მყოფობისაც მას ჰქონოდა: აგრეთვე ბ, უმტვრო დიდი იქმნებოდა უკეთუ ა, უსაზღვროს მყოფობა ჰქონდა. მაშა სადამე არც ა, და არცარა ბ. არიან უსაზღვრონი.

2. არ არიან ნაწილნი ღმერთის შინა: შეიძლება დავამტკცოთ ესეც ორის მიზეზმეტყველებით (ფაქტებით), ერთი საჭიროებისაგან ღვთიურის არსისა, და მეორე მისის უსაზღვროებისაგან. ა. საჭიროებისაგან: უკეთუ ორი ნაწილი განსაზღვრო ღვთიურს არსში, ვიტყვი; ერთი ორთაგანი არ არის საჭირო: რადგან უკეთუ ის ნაწილი არ ყოფილ იყო, იმისთვის ღვთიური არსი არ დასცხრებოდა მყოფობისაგან, რადგან მეორე ნაწილი დაშთებოდა მას. მაშ საჭირო არსი ერთ კავშირში ჰგვიებს და ნაწილები არა აქვს. აწ, ღმერთი არის საჭირო-არსი, მაშ ნაწილები არ არიან ღმერთში. — ბ. უსაზღვროობისაგან: უკეთუ განსაზღვრამ მრავლ ნაწილებს ღვთიურს არსში: ანუ ყოველი ნაწილები უსაზღვრონი უნდა იყვნენ, რომელიც წინაღმდეგი არის გონებისა, რადგან უსაზღვრო ერთი არის: და ანუ ყოველი ნაწილები საზღვროვანნი უნდა იყვნენ; და მაშინ საზღვროვანი, მ. ი. საზღვარი ნაკლებულობა შემოგაქვს უსაზღვრო-

ში, (რომელიც არის დამცირება უსაზღვროებისა) ანუ ერთი ნაწილი უსაზღვრო არის დ~ მეორეში საზღვრიანნი, ამითიც კვალად საზღვარს მისცემდი უსაზღვროსა: მაშა სადამე უსაზღვრო არსი მარტივი არის დ~ თვინიერ ნაწილებისა.

უცვალებლობა: ღმერთი შეუცვალებელია: რაზედ უნდა შეცვლილ იყო? უკეთესსზე? არ შეუძლია, რადგან რაც კი უკეთესობა შეიძლება რომ იყოს თვით ღმერთი არის. უცუდესზედ? არც ეს შეუძლიან, რადგან მაშინ დასცხრებოდა უსრულესობისა გინა უსაზღვრო ყოფნისაგან, დ~ აღარ იქმნებოდა ღმერთი. აბა თანასწორეზედ? ისიც არ შეუძლიან, რადგან არაფერი არის ღვთის თანასწორი.

საუკუნოებრიობა: საუკუნო ითქმის ის არსი რომელიც არის დაუსაბამო, დ~ დაუსრულებელი, დ~ არის ყოველი რისაც შეიძლება ყოფნა, თვინიერ შეცვლილებისა. — ღმერთს დასაწყისი არ ჰქონია, არამედ მუდამ ყოფილა, რადგან საჭირო დ~ უსაზღვრო არსი არის, დ~ ამ მიზეზის გამო არ შეუძლია მას დაცხრომა ყოფნისაგან, რადგან არა არის რა იმაში შემთხვევითი დ~ საზღვრიანნი: მაშ არ შეუძლიან მას არც წარმატება დ~ არცა რა მოკლება რამეში: მაშ აბა ყოვლითურთ დ~ მუდამ ყოფილა დ~ არის ის, რაც არის, დ~ რაც შეიძლება იყოს.

დაუტეველობა: დაუტეველი ითქმის ის, რაც რომ ყოველგან არის მრთლივ ერთიანად. ღმერთი ყოველგან არის, რადგან უსაზღვრო არის: ერთიანად არის იგი სადაც არის, რადგან მარტივი არის. უკეთუ დაუტეველობის თქმით შეიტყობებოდეს მარტივად, რაც რომ არ შეიძლება განიზომოს, საკმაოდ მოვიგონოთ რომ ღმერთი არის განუზომელი.

## თ ა ვ ი დ.

### მიმართობითი (რელათივ) თვისებანი ღვთისანი.

### ა. შინაგანნი·

მიმართობითი გინა დამოკიდებულობითი თვისებანი. ა. შინაგანნი (ad intra). ღმერთს აქვს შ ე მ ტ ყ ო ბ ე ლ ო ბ ა, და სცნობს ყოველსა ერთი და იმავე მოქმედებითა, (acte) თუ არა, მაშინ ყოვლად სრული არსი არ იქმნებოდა. — პირველად. უკეთუ თავის თავს არ სცნობდეს, მაშინ ყველასაგან ყოვლად მაღალი სისრულე მოაკლდებოდა. — მეორედ. უკეთუ ყოველი რამ არ იცოდეს, მაშინ ცოდნა მოაკლდებოდა; უკანასკნელად უკეთუ ყოვლითვერს არ სცნობდეს ერთი და იმავე მხოლოდი მოქმედებითა, მაშინ მოქმედება იგი რომელიც ყოველითვერს ერთიან ვერ შეიტყობს, რაც შეიძლება, ყოვლად სრული მოქმედება არ იქმნება, არამედ საზღვრიანი, და მაშინ მით ღმერთიც საზღვრიანი რამ იქმნებოდა, შეეძლო ცნობის მიღება და სწავლა, და მით შეცვლაცა. შეეძლო ბევრი მოქმედებაების (actes) ქონვა, და ამისათვის შეცვლილება (სუქსესსიონ) იქმნებოდა იმაში.

მ ნ ე ბ ე ლ ო ბ ა, ღმერთს აქვს ნება, და ჰნებავს, თავის თავად თავის თავს ჰსაზღვრის: პირველად, რადგან უკეთესია თავისთავად თავის თავის განსაზღვრა, ვირემც სხვისაგან განსაზღვრის მიღება. და მეორედ, სხვა ვინ შეიძლებდა ღვთის განსაზღვრას? ვინ არის ღმერთზედ უფრო ძლიერი და შემძლე? და მესამედ, უფროსიერთაად: როცა მარტო იყო ღმერთი, თავის გარდა სხვა ვის შეეძლო განესაზღვრა იგი?

ღ მ ე რ თ ს ჰ ნ ე ბ ა ვ ს თ ა ვ ი თ ვ ი ს ი ს ა ჭ ი რ ო ე-

ბითად. იგი არის უმწვერვალესი და უსაზღვრო კეთილი, და თვითანაც ეგრეთვე სცნობს თავსა თვისსა რომ არის უმწვერვალესი კეთილი. უკეთუ თვით თავი თვისი არ ჰნებევდეს, მაშინ უმწვერვალეს კეთილსაც არ ინებებდა. და შეეძლო უკეთესის მონდომება, და მაშინ ეგრეთ ყოვლად სრული არ იქმნებოდა რავდენიც შეიძლება რომ გამოისახოს კაცმა, და აღარც უსაზღვრო იქმნებოდა მაშინ.

ღმერთს ჰნებავს თავისუფლებით ყოველი იგიც, რაც მის გარედ არის: ვითამც ყოველნი არსნი შესაძლისნი რაც მის გარედ არიან, და ყოველნი დაბადებულნი არსნიცა ჰნებავს მას თავისუფლებით: რადგან პირველად შეუძლია არა მნებელობა მათი, და მეორედ შეუძლია ინებოსცა იგინი. — ა: შეუძლია არ ინებოს ისინი რამეთუ, რადგან თვითან იმშვენებს თავისში დაუსრულებელ კეთილსა და ბედნიერებასა, არა საჭირია მას სხვა კეთილი და სხვა არსი. — ბ: შეუძლია ინებოს ისინი: პირველად მისთვის რომ თავისი კეთილობითა შეუძლია მარტივი სიყვარულის გამო უწილადოს იმათ სიკეთე და მყოფობა, რომლებისაც თვითან არის დასაწყისი: მეორედ, მისთვის რათა გამოაცხადოს გარედ რომ შეუძლია იმათი ქმნა, და იგი არის რომელმანც დაჰბადა იგინი, რადგან საქმისაგან გამოცხადდება შეძლება შემქმნელისა მისისა.

ღვთიური თავისუფლობა არ უწინააღმდეგებს არავითარ ნაირად მის შეუცვალებლობასა, ღმერთმა ინებოს თუ არ ინებოს ქმნა და გაჩენა დაბადებულთა არსთა, რადგან თვითან ისევ დაშთება რაც იყო არა მხოლოდ თავის არსებაში და მყოფობაში, არამედ იმავე თავის მოქმედებაშიაც. ამას ვამტკიცებ ესრედ: ღვთიური მოქმედება (ოპერასიონ) არის ცნობა და ნებვა რამისა. — ღმერ-

თმა გინდ ინებოს დ~ გინდა არ ინებოს დაბადება, მისი მცნობელობა მომეტებული ანუ ნაკლები არ იქმნება არასოდეს: რადგან თავისი არსებითა (ესსანს) დ~ თავისზედ ქონებული სრულის მცნობელობითა, სისრულით სცნობს ყოველთა შესაძლისთ არსთა გაჩენილთა დ~ გაუჩენელთა. — გინდ ინებოს გაჩენა დ~ გინდ არა, მნებელობა არ მოაკლდება დ~ არცარა მოემატება მას: რადგან როდესაც თავი თვისი ჰნებავს, კიდევაც ჰნებავს განუზომელი კეთილი, დ~ მნებელობა ზომიერთა კეთილთა არა ფერს მოუმატებს იმ საქმეს რომლის ბოლოკიდური დ~ საგანი წინადვე განუზომელი არის.

ესე ვითარნი არიან უმთავრესნი დამოკიდებულობითი თვისებანი ღვთისა, განხილულნი თავისში დ~ თავის მოქმედებაებში ს ა შ ი ნ ა გ ა ნ ო დ.

## თ ა ვ ი ქ.

### მიმართობითი (რელატივე) თვისებანი ღვთისანი.
### ბ. ს ა გ ა რ ე ო დ.

მიმართობითი გინა დამოკიდებულობითი თვისებანი (ათთრიბუ). ბ. საგარეოდ (ad extra): — საგარეო დამოკიდებულობითთ ღვთიური თვისებათა, რომელნიც არიან დამბადებელობა დ~ გამგებელობა სოფლისა, აქვსთ საფუძვლად დ~ მიზეზად ღვთის ყოვლის-მპყრობელობა.

ღმერთი ყოვლის-მპყრობელი არის, ანუ თუ ვსთქვათ: შეუძლია ჰქმნას რაც უნდა, შეუძლიან რაც შესაძლისა. — 1. თუ არა უსაზღვრო არ იქმნებოდა, რადგან შეიძლებოდა გამოგვეხატა უმეტრო დიდი არსი, ვითამც იმისთანა არსი რომელს შესძლებოდა ექმნა რაც უნდოდა. — 2. იმ რამეს რასაც ღმერთი ვერ შეიძლებ-

და ქმნას, მითვე შეუძლებელი იქმნებოდა იგი. რადგან იმისთანა რამეს სითგან შეეძლო არსის მიღება (დაარსება)? მაშ სადამე რაც ღმერთს შეუძლია რომ ჰქმნას, მხოლოდ ის არის შესაძლები. მაშ ღმერთს შეუძლია ყოველივერის ქმნა რაც შესაძლისი არის.

ღმერთი არის დამბადებელი ქვეყნისა: დაბადება არის არა რაისაგან არსად მოყვანება რამისა და მიცემა იმ მყოფობისა, რაც არ ჰქონდა სრულიად, და დაარსება იმ რამისა რაც არ იყო სრულიად. — ქვეყანა მუდამ არ ყოფილა, რადგან ყოველნი არსნი რაც მოიპოვებიან იმაში ხომიერნი არიან, და არცერთი არსი არ არის, რომელსაც რაც არის იმაზე უმეტრო დიდი სისრულის მიღება არ შესძლებოდა. — აწ ყოველი რაც ხომიერია, შემთხვევითი არის, გინა თუ მისი არ ყოფნა შეიძლებოდა, რადგან ხომიერი რამე არსის უმყოფობა განსჯის წინაღმდეგი არ არის, და იქიდგან არ შეუდგება სხვა ყოველი არსის შეუძლისობა, რადგან ხომიერი არსი რამე არ არის ყოველთა შესაძლისი არსის შემცველი.

ახლა უკეთუ ქვეყანა შემთხვევითია, მითვე არა აქვს მას თავისში საკმაო მიზეზი თავისი მყოფობისა. რადგან იმ არსს რომელსაც აქვს თავისში საკმაო მიზეზი თავისის მყოფობისა, არ შეიძლება მ ყ ო ფ ო ბ ა არ ა ჰ ქ ო ნ დ ე ს, არამედ ჰქონდეს იგი საჭიროებითად. — უკეთუ ქვეყანას არა აქვს თავისით მიზეზი თავისი მყოფობისა, მაშ საჭიროა რომ მყოფობა სხვისგან მიეღოს მას. — ხოლო ეს სხვა ვინმეც, არავინ შეიძლება იყოს, გარნა მხოლოდ ღმერთი. — მხოლოდ ღმერთსა აქვს უსაზღვრო შეძლება. ხოლო, ერთი უსაზღვრო შეძლება საჭიროა, რომ მისცეს მყოფობა იმას რომელსაც არა აქვს. — მართლიად მყოფობის და უმყოფელობის შუა, არა რაისა და არსების შუა ეგრეთ უზომო სი-

შორე არის რომ წარმოდგენა არ შეგვიძლია. — ახლა ამ ნაჭირი უზომო სიშორის გასამკვლევად უზომო შეძლება საჭირო არის. — მაშ ღმერთი, და მხოლოდი ღმერთი არის დამბადებელი ქვეყნისა.

ყოველ-ღმერთობა (პანდეისმ). გაჩენის წინააღმდეგ მეორე უმთავრესი შეცთომილება ყოველ-ღმერთობა (პანდეისმ) არის, რომელი ღმერთს და ქვეყანასა ერთისა და იმავე არსად სთვლის და ერთსა და იმავე მყოფობად. ამ სულელური განმარტებისამებრ, ღმერთი იქმნებოდა ყველა რაც არის, და ის ყველა რაც არის იქმნებოდა ღმერთი. — ამ უღმრთოების განსაძევლად საკმაო არის რომ ღვთიურნი თვისებანი დაბადებულთ არსთა თვისებებთან შევადაროთ. — დაბადებულნი სხეულნი და სულნი ზომიერნი არიან, შემთხვევითნი (ქონთინჯენტ), გარჩეულნი ერთმანერთისაგან და მის გამო მრავალნი, ცვალადნი და საქმითაც მუდამ იცვლებიან. — ხოლო ჩვენ დავამტკიცეთ რომ ღმერთი არის უზომო, საჭირო, ერთი და მარტივი, უცვალებელი და საუკუნო.

მაშასადამე უკეთუ ღმერთი იყოს ყველა რაც არის, და უკეთუ ის ყველა რაც არის ყოფილ იყო ღმერთი, ერთსა და იმავე არსსა შინა ერთსა და იმავე მყოფობასა შინა ვნახემდით უკუთქმითა და სრულიად წინააღმდეგ თვისებათა. — ერთის მხრით ღმერთი უნდა ყოფილ-იყო ერთ და იმავე დროს უზომო და ზომიერი, საჭირო და არა საჭირო, ერთი და მრავალნაირი, მარტივი და შემდგარი, უცვალებელი და ცვალადი. — მეორე კერძოდაც თვითეული ვინმე დაბადებულ სულთა და ხორცთანი იქმნებოდა იმავე დროს ზომიერი და არა ზომიერი, შემთხვევითი და არა შემთხვევითი და სხვაც — მაშასადამე ყოველ ღმერთობა (პანთეისმ) თავის დასაწყისითგან ოცნებითი არის და განსჯისაც წინააღმდეგი.

## თ ა ვ ი  ვ·

წინაგანმგებელობა (პროვიდანს) ჲ განძიება იმ წინადადებათა, რომელნიც წინ მოაქვთ ბუნებითი ჲ ზნეობითი ბოროტებისაგან·

წინაგანმგებელობა რომელიც დამბადებელობის განიადაგებულობა არის, ის საქმე არის, რომლით ღმერთი ი ც ვ ა მ ს მყოფობასა თავის დაბადებულ არსთასა ჲ ყველა მათი ბუნების თვისებათა, ჲ რომლით მ ა რ თ ა მ ს იმათ ყოველთა საზოგადო საბოლოოსაკენ ყოველთა, ჲ საცალკეო საბოლოოსაკენ (მიზნისაკენ) თვითეულისა.
— აწ პირველად ღმერთი ი ც ვ ა მ ს მყოფობასა გაჩენილთ არსთასა ჲ საკუთრებათა რაც მისცა მათ. — დაბადებულ არსს არა აქვს მყოფობა თავისგან, ჲ როგორც პირველს წამში, ესრედვე შემდეგშიაც არა აქვს იმას თავისში საკმაო მიზეზი თავისი მყოფობისა: რადგან უგეთუ ესრედ ყოფილ იყო, თავით თვისით მყოფი იქმნებოდა ჲ შეიქმნებოდა საჭირო ჲ დამოუკიდებელი თავის დამბადებელთან. მაშ არ შეუძლია მას გაძლება ჲ განიადაგება თავის მყოფობაში, თუარ იმოდენ ხანს, რამოდენსაც უმუდმებს ღმერთი მისი მყოფობის მიცემასა.
ბ: მეორედ ღმერთი მ ა რ თ ა მ ს დაბადებულ არსთა იმ საბოლოოსაკენ რაც იმათთვის საზოგადოა ჲ კვალად იმ საბოლოოსაკენ, რაც საკუთარია თვითეულისათვის.

დამტკიცებანი (სამოწმები) აღებული წარმოებული ნაყოფებისაგან (ეფფე): რიგი ნივთიერი ქვეყნისა. თვითეული არსი, თვითეული მწყობრი არსთა მიიმართვის თავისი საკუთარის საბოლოოსაკენ (აღსასრული-

საგან): დ̃ ყოველი საკუთარი საზოღოვანი. ისრე ერთმანერთის ქვემდებარე არიან, რომ იმათგან ერთი საყოველიერო გამძლე დ̃ განონიერი რიგი სდგების. ეს საკუთარი დ̃ საყოვლიერო რიგი, შემტყობელობისა დ̃ ნების უქონველ არსებში საჭიროებითად გვაჩვენებს მრთელ ქვეყანაზედ ყოვლად მაღალი არსის სამარადისო დ̃ განუწყვეტელ გინა შედგინებით ზედმოქმედებასა, რომელს ყურადღება აქვს თავის დამყარებულ რიგის დაცვაზედ.

დამტკიცება (სამოწმებელი) გამოღებული მიზეზისაგან (ქოზ): ღმერთს ნივთიერნი დ̃ სულიერნი არსნი ერთი რამე საზოღოვოსათვის დ̃ ისიც თავისი დიდ მშვენიერების ღირსეული საზოღოვოსათვის დაუბადია: ხოლო ღვთის ღირსეული საზოღოვო (აღსასრული) თვითანვე ღმერთია: რადგან სხვა ყოველი აღსასრული გინა საზოღოვო ზომიერი იქმნებოდა დ̃ ამისთვის ვერ შეიძლებდა დამბადებელის საქმის საზოღოვოდ ყოფილიყო.

და მართლიად საქმე, რადგან საგნისგან იღებს თავის თვისებას (ნაირობას), მით დამბადებელის საქმე ზომიერი შეიქმნებოდა, უკეთუ ზომიერი ყოფილიყო მისი საგანი. მაშ ღმერთს მხოლოდ თავისთვის უნდა გაეჩინა (დაებადა) ქვეყანა: მაშ აბა უნდა რომ ყოველი არსნი მისდამი მიიმართონ თავიანთი აღსავალის დაგვარ. ხოლო რაც რომ ღმერთს ნებავს კიდევაც მოქმედებს. მაშ ღმერთი მართამს ყოველ არსთა იმ სახითა, რომ ყოველნი დ̃ თვითეული თავიანთ ბუნების დაგვარ თანაეყვიან (ერთმანერთს შეეწევიან) მისი მყოფობის, სიკეთის, შეძლების, დ̃ ერთი სიტყვით მისი დიდების გამოსაცხადებლად.

ესრედ ქვეყანა სრულია გინა უნაკლებოა შედარებით იმ საზოღოვოჲსა რომელიც უაზრია (უნებებია) ღმერთს მისი გაჩენის დროს: გარნა საზოგად-

ოდ რომ ვსთქვათ ქვეყანა არ არის უნაკლებო ანუ სრული რიერთიც შესაძლებ იყოს ყოფად: რადგან მხოლოდ უზომო არსი არის ყოვლად სრული რიერთიც შეიძლება, და უზომო არ შეიძლებოდა რომ დაბადებულიყო. ხოლო ამის წინააღმდეგად რაც რომ დაბადებულია, ამავე მიზეზისათვის (რადგან დაბადებულია), ზომიერია: ზომიერია მყოფობის კერძოდ, რადგან თავისი დასაწყისი მიუღია, რომლით საზღვრიანი არის თავის დაბადებაში: ზომიერია არსების კერძოდ, რომელის სავსეობა არა აქვს, რადგან მისგან უმფრო უწინ და მისგან გარედ და მისგან მაღალი არის ერთი არსი გინა ღმერთი, რომლისაგანაც მიუღია მას თავისი არსება.

უკეთუ შეჰკრიბო ყოველი დაბადებულნი არსნი და ფიქრით წარმოიდგინო მათი სიმრავლე და სისრულე, მე სხვა უმფრო სრული რამის გამოსახვა შემძლია გონებაში, ვითამც სხვა უმფრო მრავალ რიცხვით არსების მწყობრების და გარდამეტებული სისრულებაებისა იმ მწყობრის ყოველ თვითო არსთა (განუკვეთელთ) ზედა-ახლა ქვეყანა (მონდ), რომლითაც შეიტყობება აქ კრებულობა ყოველ დაბადებულთ თუ სულიერთა და თუ ნივთიერთა არსთა, არ არის და არც შეიძლება იყოს ყოვლად სრული გინა უზომო რაოდენათაც შესაძლისა.

პასუხი იმ წინააღმდეგობათა რომელნიც წინ მოაქვსთ ბუნებით ბოროტზე და ზნეობით ბოროტზე: ა. ბუნებითი ბოროტი გვესმის ანუ დაბადებული არსის იგივე საზღვრიანობა, გინა ზომიერობა და ანუ ის მოწყვეტილობა (ნაკლებულობა) და ის მწუხარებანი, რომელნიც შეემთხვევიან კაცს თავის სიცოცხლეში.

ა. წინააღმდეგობის პ ი რ ვ ე ლ ი ა ზ რ ი თ, ბუნებითი ბოროტი წინაგანგებულობის წინააღმდეგ ვერავერს დაამტკიცებს: რადგან ღმერთმან არ ინება და არცარა შეეძლო-

უსაზღვრო არსების გაჩენა.

ბ. წინაღმდეგობის მ ე ო რ ე ა ზ რ ი თ, ბუნებითი ბოროტი, ნაკლულევანება და წუხვილი ანუ შეჭირვება წინაგანგებულობის წინაღმდეგი (საგნები) მაშინ იქმნებოდნენ, თუ რომ კაცის საბოლოოვო აწ მყო ცხოვრების საზღვრებში შეცულ იყო; მაგრამ ასე არ არის; აწ მყო ცხოვრება ერთი გამოცდა არის, ს ა მ ა გ ი ე რ ო მამავალ ცხოვრებაში მიიღება.

ბ. ზნეობითი ბოროტი გვესმის ღვთის წინაღმდეგად მოხდენილი შეწყენანი, შეურაცხყოფანი გინა გარდამავალობანი ღვთიური სჯულისა, ერთის სიტყვით ცოდვა. ერთი შეხედვით ისრე ჩანს რომ ცოდვა არღვევს ღვთის განგებულებასა: რადგან ღმერთს უნდა რომ თვით იყოს კაცის საბოლოო (აღსასრული); გარნა კაცი ცოდვით თავის საბოლოოვოდ გაიხდის დაბადებულთა. — ღმერთი კი მაინც თავის დასახულობას გინა პლანს არ მოაკლდება, და კიდევ აღასრულებს. კაცს ცოდვით არ უნდა რომ ღ მ ე რ თ ს (უმზ რ ე რ დ ე ს) ყ ო ვ ლ ა დ მ ა ღ ა ლ ი კეთილისავით და უნდა მის მაგიერად დაბადებული კეთილი უსაზღვრო და დაუსრულებელ კეთილად დასახოს გინა იცნოს. და რადგან არ ინებს მან ღმერთი, არცადა ეყოლება. გარნა რადგან მხოლოდ ღმერთი არის ყოვლად მაღალი და უმწვერვალესი კეთილი, მაშ ღვთის დაკარგვით მოუნანებელი ცოდვილი დაჰკარგამს ყოვლად მაღალს კეთილსა. და აგერ იმით უკანასკნელ უბედურების აღსავალზედ (დარჯაზედ) მიაწევს, და ბოლოს ძალდატანებული გახდება სცნას რომ ღმერთი არის მხოლოდ ყოვლად მაღალი და უმწვერვალესი კეთილი; და ამ ნაირად არის რომ კაცი ნებით თუ უნებურად მიაგებს ღმერთს დიდებასა და პატივსა, რომლისაც ღირსი არს იგი.

## მ ე ო თ ხ ე   ნ ა წ ი ლ ი.

## ზნეობა   (morale)

### თ ა ვ ი   ა.

### ნაირნაირი მიზეზებისათვის ჩვენი საქმებისა.

ზნეობის მეტყველება (ანუ ზნეობა) არის მეცნიერება ზნეობისა. — ზნეობა არის ნაირობა ცხოვრებისა და მოქმედებისა. — მაშ ზნეობის მეტყველება არის ის ნაწილი ფილოსოფიისა, რომელიც ასწავლის კაცს კეთილად ცხოვრებასა და კეთილად მოქმედებასა თვისი საქმებისასა.

მიზეზი ითქმის ის რამე რაიც რომ გარდააწყვეტინებს კაცს საქმის მოქმედებასა. — ყოველი მიზეზი ჩვენის საქმეებისა შეიძლება ამ სამ თავად განირჩეს: ე. ი. სასიამოვნო (აგრეაბლე), სასარგებლო, და საპატიური (ონნეთ). — სასიამოვნო ის არის რაც გვესიამოვნება: სასარგებლო, რაც შესაძინია ე. ი. ის რაც ისმარების საშუალად ერთი რამის შეძენისათვის როგორც მაგ. საზრდელი ცხოვრების დაცვისათვის; და საპატიური არის ის, რაც კეთილი და შესაფერია.

კარგი კაცი სხვა არა ფერს ეძებს თუ არ იმას, რაც კეთილი და შესაფერია. სასარგებლოდ მარტო იმას სთვლის, რომლითაც შეიძლება მოიშოვნოს ის, რაიც შესაფერია. და სასიამოვნოდაც მარტო იმას სთვლის, რაცკი კეთილობისა და შესაფერობის თანასხმა არის. ხოლო აწ კეთილი საქმე არის მხოლოდ შესაფერი: და კეთილი საქმეც მარტო ის არის, რაც მიიმართვის იმ ყოვ-

ლად მაღალი კეთილისაგან და იმ დამოუკიდებელი და დაუსრულებელი კეთილისაგან, რომელიც არის ღმერთი.

საუბედუროდ მრავალნი კაცნი მარტო იმას ეძებენ, რაც საგრძნობლების სასიამოვნო არის; ანუ რაც სიმდიდრეს და ნივთიერს სიკეთებს აღუმატებენ. ზოგნიც საუბედუროდ ოცნებიან კაცებად სთვლიან იმათა, ვინც მხოლოდ შესაფერს ეძიებენ და იმას რაც წრფელი განსჯისა და გონების თანახმა არის.

მართლიად მაშასადამე სამნი მიზეზნი არიან ჩვენის საქმებისა. სიამოვნება გრძნობითი, ნივთიერი შესაძინი ანუ სასარგებლო, და აღმატებული კეთილი ანუ საპატიური გინა პატიოსანი. საპატიური, პატიოსანი, პატივ საცემელი და პატივი ერთი და იმავე რაიმის მნიშვნელნი ლექსნი არიან, რომელნი აჩვენებენ იმ რამეს, რითაც კაცი პატივცემული გახდება და აღმაღლდება. კაცი პატივიცემებს აღმაღლებითა, და რაჲც რომ კაცს თავისზე ზეით აღამაღლებს, ის პატივსცემს იმას. ხოლო რადგან კაცზედ მაღალი მარტო ღმერთი არის, მაშ აბა კაცს სხვა რიგად არ შეუძლია აღმაღლება, თუ არ მხოლოდ ღვთისადმი აღმაღლებითა: და ესრედ კაცისთვის პატივი და პატიოსნება მდგომარეობენ ღვთისადმი შეწირვაში თუ თავისი თავისა, თუ თავისი საქმების და თუ მრთელი თავისი ცხოვრებისა.

## თ ა ვ ი ბ.

### ზნეობითი გულმისნობისა ანუ სვინიდისისათვის, — კეთილისა და ბოროტის გარჩევისათვის, — თანამდებობისა და სათნოებისათვის.

გულმისნობისათვის: გულმისნობა, როგორ-

ცა ვსთქვით, შინაგან მგრძნობელობაზედ დამყარებულის დ~ საზოგადოდ რომ ავიღოთ, იმ რამის ცოდნა არის ეს, რაც ჩვენშივე მოხდება ხოლმე.

ხოლო ზნეობითი გულმისნობა გინა სვინიდისი არის ის შინაგანი გრძნობა, რომლითაც კაცი თავისთავს უმოწმებს ნაქმნარი საქმის კეთილობასა ანუ ბოროტობასა. ეს ერთი სჯა არის, რომლითაც ვსცნობთ რომ ეს ანუ ის საქმე კეთილია ანუ თუ ბოროტი, დ~ ამ შემძლებელობას ზნეობაში საკუთარის სახელით სვინდისს ვეტყვით.

მაშ სვინიდისი. ა: გვიბრძანებს, დაგვიშლის დ~ ანუ მიგვიშვებს. ბ: გვიმოწმებს. გ: დაგვაბეზღებს განგვამტყუნებს, დ~ ანუ გვაქებს. — გვიბრძანებს, დაგვიშლის ანუ მიგვიშვებს საქმეზედ, მაშინ როდესაც უწინარეს საქმის შესრულებისა განგვიცხადებს მას კეთილ საქმედ ან ბოროტად დ~ ანუ თავით თვისით განურჩეველად. — გვიმოწმებს როცა საქმის შემდგომ სცნობს მარტივად რომ ესა დ~ ეს საქმე იქმნა თვინიერ მისი კეთილობის დ~ ანუ სიბოროტის დამტკიცებისა. — დააბეზღებს დააყვედრებს დ~ ანუ აქებს, როცა საქმე შესრულდება, დ~ გარდასჭრის კეთილი იყო ანუ თუ ბოროტი ის საქმე.

ზნეობითს გულ-მისნობასთან მოიდების ზნეობითი გრძნობა, რომელიც სხვა არა ფერი არის თუ არ მხოლოდ კმაყოფილება ანუ შეწუხება რომელთაც იგრძნობს კაცი კეთილის ანუ ბოროტის მოქმედების შემდგომ. ეს გრძნობა წარმოსდგება გულ-მისნობისაგან ანუ უკეთესად რომ ვსთქვათ ზნეობითი სჯისაგან, რომელსაც წარმოსთქვამს გულ-მისნობა ერთი საქმის კეთილობაზე ანუ სიბოროტეზედ.

ხოლო სვინდისის ჩხვლეტად ითქმის ის შემაწუხებელი გრძნობა რომელსაც ვჰგრძნობთ ბოროტ მოქ-

მედების შემდგომ.

ბ. გარჩეულობა კეთილისა და ბოროტისა: კეთილი ის არის რაც შესაბამი და შესაფერია: ხოლო ბოროტი ის რაც შეუსაბამო და შეუფერებელია. — მხოლოდი უაღრესი და განუზომელი კეთილი არის, რომელიც ყოვლითურთ და ყოველთ შესაბამებისა: და არა ვითარ ნაირად არ შეიძლება რომ არ შეეფეროს. ეს კეთილი მარტივად აბსთრაქციონ გინა გონებით შესატყობი რამ არ არის, და არც შეიძლება იყოს; არამედ რეალად გინა საქმითი რამ არის და მყოფობს, ესე იგი არსებობს ეს უზომო არსი, რომელიც არის ღმერთი. როდესაც ეს ესრედ არის, მაშ ყოველი რაც რომ მიიმართვის ღმერთთან, მითვე მიიმართვის კეთილისაკენ; ეს თანვე შესაფერიც არის რა, ამისთვის კეთილიც თვით ესევე არის; ხოლო ამის წინაღმდეგად ის რაც გააშორებს ღვთისაგან, განაშორებს კეთილისაგანაც, და ამისთვის ბოროტიც ის არის.

ესე ვითარი არის, მაშასადამე, გარჩეულობა კეთილისა და ბოროტისა: რომ ყოველი იგი რაც მიიმართვის მხოლოდი და ერთად ერთი უმწვერვალესი კეთილისადმი, რომელ არს ღმერთი, ის არის კეთილი; ხოლო ყოველი იგი რაც განჰყრის ღვთისაგან რომელიც არს მხოლოდი და ერთად ერთი უმწვერვალესი კეთილი, ის არის ბოროტი. — კეთილისა და ბოროტის გარჩეულებას მტკიცდება გვალად შინაგანის და საზოგადო მგრძნობელობის გინა მცნობელობისაგან.

ა. შინაგანი მგრძნობელობისაგან: ყოველმა კაცმან იცის რომ არიან კეთილი საქმეები, და ბოროტი საქმეები; ზოგნი იმნაირი საქმეები არიან რომლების ქმნასაც განსჯა უბრძანებს და ზოგნიცა რომელთაც დაუშლის. საკმარა რომ სვინიდისის მოწმობას შევკითხოთ, რომე-

ლიც უწინარეს თუ შემდგომ რომელიმე საქმისა, არ დასცხრება არასოდეს იმ საქმის ზნეობითი კეთილობისა თუ სიბოროტის შეტყობინებისაგან. ხოლო ვინც სვინიდისის ხმას შეურაცხყოფს, იგი, მისი ჩხვლეტის დადებას ვეღარ გადურჩება.

ბ. საზოგადო მგრძნობელობისაგან: ყოველს ტომში და ყოველს დროში ზოგი საქმეები დამავალიანებლად და კეთილად შერაცხილნი ყოფილან და არიან; და ზოგნიცა ბოროტად და დამშლელად: პირველები არიან როგორც კეთილი საქმენი, მაგალითად: ღვთის-მსახურება, მშობელთ პატივისცემა, შემწეობა საწყლებისა, და სხ. და მეორები ყოფილან და არიან ბოროტი საქმები, მაგ. გმობა, კაცისკვლა, უწმიდურობა, მპარავობა, სიცრუვე, და სხ. — აწ ესე ვითარი საქვეყნო თანახმობაც კაცთა შორის მხოლოდი და საკმაო მიზეზი და განცხადება გინა სიმტკიცე არის ჭეშმარიტებისა. მაშ გარჩეულობა კეთილსა და ბოროტს შუა რეალად ცხადი რამ არის.

გ. მოვალეობისა და სათნოებისათვის. მოვალეობა ის არის რის ქმნაზედაც რომ განსჯისაგან დავალიანებულნი ვართ (აგადემია), გინა არის მოვალეობა (ვალდებულობა) რომელიმე საქმების შესრულებისა და რომელიმე საქმების დატოებისა: ვალდებულება მოქმედებისა ასე ანუ ისე, ვალდებულობა კეთილ მოქმედებისა, და სულ ბოლოს ყოველი ჩვენის საქმის მოდებისა იმ ყოვლად მაღალი კეთილისადმი რომელიც არის ღმერთი, და არა ქმნისა სრულიად იმ რამებისა რომელნიც განგვაშორებენ ჩვენ ღვთისაგან.

ხოლო სათნოება არის ჩვეულობა ვალდებულობის აღსრულებისა და ბუნებითი ანუ შეძინებული რამე გამზადებულობა, რომელიც გვამოქმედებინებს შეგონებისაებრ განსჯისა: ანუ თუ ვსთქვათ «არის სულის მტ-

«კიცე და შეურყეველი განმზადებულობა, რომელიც გვი-
«წვევს ჩვენ კეთილის ქმნაზედ და ბოროტისაგან მოშ-
«ორებაზედ» (აკადემია).

## თ ა ვ ი ბ.

მერითი გინა ღირსეულება, დე მერითი გინა უღირ-სეულება, პატიჟი და სასყიდელი, ზნეობის გამკვეთილობის დამტკიცება, კაცის ოხჭანი და საბოლოვო.

ა. ღირსეულებათა და უღირსეულობათა-თვის. ნაყოფი გინა ღირსეულება არის სიმართლე რომელიც თვითეულ კაცს აქვს კეთილის მიღებისა, იმ თავისი მოქმედებული კეთილის სამაგიეროდ.

ხოლო ამის წინაღმდეგად უნაყოფობა გინა უღირ-სეულება არის სიმართლე მეფისა, მისაგებელად ბორო-ტისა სამაგიეროდ კაცის მოქმედებული ბრალისა ე. ი. დასასჯელად. ზოგჯერ ნაყოფის გინა ღირსეულობის თქმით ორი აზრი ერთად აიღება, და მაშინ არის «როდი-საც ღირს შეიქმს ეს ვისმე სასყიდლისას ანუ პატიჟი-სას.» (აკადემია.) ბ. პატიჟთა და ჯილდოთა გინა სასყიდელთათვის. ჯილდო გინა სასყიდელი არის ის კეთილი, რომელიც ღირსად მიეცემა ვისმე თვისგან ქმნილი კეთილი საქმების სამაგიეროდ.

ხოლო პატიჟი არის ის ბოროტი გინა ის რისხვა, რომელიც ღირსად მიეცემა ვისმე თავისგან მოქმედებ-ული ბოროტი საქმების სამაგიეროდ. გ. ზნეო-ბის გამკვეთილობის დამტკიცება (ავქსონ-ობა) ის არის, რაც სჯულის გინა კანონის დამცველობას დააბეჯითებს, და ეს სხვა არა-

ფერია, თუ არ სასყიდელი ანუ პატიჟი რისაც ღირსი შეიქმნება კაცი კ ა ნ ო ნ ი ს (სჯულის) დაცვითა ანუ გარდამავალობითა.

წერილობითი სჯული ითხოულობს ერთ სამაგიეროსა (სანქციონ). რადგან ერთი სჯული რომელიც მძიმე და შემაწუხებელია; ვინ თავს იდებს მის დაცვასა? უკეთუ მტკიცედ და უშიშრად არ იყოს კეთილის მიღებისათვის რომელმან სამაგიერო გარდაუხადოს გინა უპასუხოს მაინც შეწუხებას და სარჯელსა მას, რომელსაც ითხოულობს სჯული თავისი დაცვისათვის? და ვინ შეუშინდება სჯულის გატეხასა თუ არ მოელოდეს იმ გარდამავლობის თანასწორ პატიჟსა, და მაინც იმ პატიჟსა რასაც ემუქარება და საზღვრავს სჯული.

რა არის ეს სამაგიერო დამტკიცება (სანქციონ)? ეს სხვა არა არის რა, თუ არ მხოლოდ სააქაოს ცხოვრების მერმედ საიქაოს ცხოვრებაში საუკუნო ნეტარების ანუ უბედურების მიღება და ქონვა.

კ ა ც ი ს ს ა ბ ო ლ ო ვ ო. კაცის აღსასრულის გინა საბოლოვოს თქმით გვესმის ის ოხჭანი რომელიც მოელის კაცსა, და მომავალად უნდა ჰქონდეს ის ბოლო, რისთვისაც სცხოვრობს იგი, და ის განწესება რაც ღმერთს ჰქონია მისი დაბადების დროს.

კაცს რამე საბოლოვო აქვს? დიაღ აქვს უეჭველად, ღმერთი ყოვლად მაღალი სიბრძნე რომ არის, არ შეუძლია ჰქმნას რამე თვინიერ რაიმე ოხჭანისა გინა მიზნის ქონვისა, მაშ არ შეეძლო მას რომ კაცი არაფრისთვის გაეჩინა, არამედ საბოლოვო რამე აზრი დაიდვა ფიქრში ღმერთმა, კაცისადმი მინიჭებული შეძლებების შესაფერად, რომლითაც შეამკო იგი.

რომელია ეს საბოლოვო? შეგვიძლია შევიტყოთ იმავე კაცის ბუნების და იმისი საკუთარი შეძლებელობა-

ქმის წარმოდგენით. — კაცი ამ ქვეყნის სხვა ყოველი არსისაგან გარჩეულია ჲ იმაიზედ გარდამეტებულია ორის შემძლებელობითა, რომელნიც არიან შემტყობელობა ჲ მნებელობა. — შემტყობელობას შეუძლია სცნას განუზომელი ჲ საუკუნო ჭეშმარიტი. — და მნებელობას შეუძლია ინებოს განუზომელი ჲ საუკუნო კეთილი. — მაშ გაუცნობელად ჲ დაუმშვენებლად განუზომელისა ჲ საუკუნოჲსა, არ შეუძლია კაცს იყოს სრული ჲ ბედნიერი, იგოდნად რაოდნათაც თავისი ბუნება მოითხოვს. — აწ რადგან მხოლოდ ღმერთი არის ჭეშმარიტი, განუზომელი კეთილი ჲ საუკუნო, მაშა სადამე კაცი დაბადებულია ჲ სცხოვრებს საცნობელად ჲ შესაყვარებლად ღვთისა. აჰა ეს არის აღსასრული ჲ საბოლოვო კაცისა; ამისგან იცნობება უკვდავებაცა სულისა.

თ ა ვ ი  დ.

სულის უკვდავებისათვის,

სულის უკვდავება. სული არის ის დასაწყისი რომელი სცნობს ჲ რომელსაც ჰნებავს ჩვენში. — უკვდავება ის თვისება არის რომლითა სულს არ შეუძლია მოკლება მყოფობისა ჲ ცხოვრებისაგან. მაშ სული, რომელიც ჩვენში სცნობს ჲ ნებავს, არ შეუძლია დასცხრეს მყოფობისა ჲ ცხოვრებისაგან. — ამის დამტკიცებანი არიან ა: იმავე სულის ბუნება ბ: იმისი საბოლოვო გინა ოხჭანი.

ა. იმავე სულის ბუნება: სული არის უნივთო, ესე იგი მარტივი ჲ მომქმედი; აწ რაც მარტივი არის, არ შეუძლია დასცხრეს მყოფობისაგან, ჲ რაც მომქმედია არ შეუძლია დაცხრომა ცხოვრებისაგან.

ა. რადგან მარტივი არის, არ შეიძლება რომ წარხდეს და გაფუჭდეს იგი; და როგორ შეიძლება წარხდეს? ა. თუ განხრწნითა და ნაწილების დაშლითა? არა აქვს ნაწილები იმასა. ბ. თუ გაფუჭებითა გინა არარაჲად გარდაქცევითა? მაგრამ ვინ უნდა გაარარაჲოს და გააფუჭოს ისა? დაბადებულმა თუ დამბადებელმა? — დაბადებულს არ შეუძლია, რადგან დაბადებულების ყოველი მოსაქმურობა სხვა არა არის რა, გარნა მხოლოდ ნივთიერთ არსთა მოძრაობა; ხოლო სულიერ არსთა მოძრაობის გარდა აქვსთ თანვე მცნობელობა და ნება. — მოძრაობა მხოლოდ ადგილიდგან ადგილზედ გარდააყვანინებს და არ დაარღვევს მოძრაობის მიმღე არსსა. — მცნობელობასა და ნებასა, არავითარი ნაყოფი გინა გამკვეთილობა აქვსთ მცნობელი და მნებელი პირის გარედ, რადგან ესენი მომქმედშივე დამშთენი საქმები არიან. — დაბადებული სულები მე მიცნობდნენ არ მიცნობდნენ, ჩემზედ ფიქრობდნენ თუ დავიწყებული ვყავდე, მყვარდე თუ ვძულდე, ჩემს მყოფობას არა მოემატება რა და არცარა დააკლდება.

უეჭველია რომ გამჩენს შეუძლია არა რაჲად გარდაქცევა და გაფუჭება მარტივის არსისა: მაგრამ ჩვენ ცოტა ხნის შემდგომ ვაჩვენებთ რომ ღმერთი არათდეს არ გაარარაჲავებს კაცებრივს სულსა. ვაჩვენეთ რომ დაბადებულს ძალასა არ შეუძლია განშიშვლება სულისა თავისი მყოფობისაგან. — აწლა ვნახოთ თუ სულს შეუძლია თავისი სიცოცხლის დაკარგვა.

ბ. სულის სიცოცხლე ანუ მოსაქმურობა უმთავრესად ჰგიებს ცნობასა და ნებასა შინა. აწ სულის სიცოცხლის მოსასპობლად, ან უნდა აიხვნას მისგან შეძლება იგი ცნობისა და ნებისა, და ან უნდა განშორდეს სული ყოველი შესატყობი საგნები-

საგან.

გარნა ა. შემძლებელობა მცნობელობისა და მნებე-
ლობისა ე. ი. შემტყობელობა და მნებელობა, არ არიან სულის ნაწილები, რომ შევიძლოთ მისგან განშორება მათი, არამედ მისი არსების მიუცილებრივად განუყოფელნი თვისებანი არიან. მაშ როცა არ შეგვიძლია გაფუჭება სულისა, არცაღა შეგვიძლია მისი ცნობისა და ნების ძალის მოსპობა.

ბ. მაინც შეიძლება რომ სულსა არაფერი საგანი ჰქონოდა საცნობი და სანებებელი, მაშინ თავის შემტყობელობას და მნებელობას რომ ვეღარ მოიხმარებდა, მკვდრობის მდგომარეობაში იქმნებოდა. მაგრამ, თუ გინდ რომ სული ყოველი დაბადებული საგნებისაგანაც განშორდეს, მუდამ და ყოველს ადგილს მრჩობლი საგნები კიდევ დაუშთება მას საცნობელად და სანებებელად: რომელიც არის თვისი თავი და ღმერთი. — ა. თავისი თავი: რადგან სული მარტივი არის, თავის მარტივობის ძალითა არ შეუძლია თავისი თავისაგან განყრა, არამედ მუდამ თავისი თავისადმი აწ მყოფ არის: მაშ არ მოიძევა არავითარი დაბადებული ძალა რომელს შეეძლოს დაუშალოს მას თავისი თავის მცნობელობა და მნებელობა. — ბ. ღმერთი: ღმერთი უსაზღვრო რომ არის, ყოველს ადგილს აწმყოდ არის: ბ. დამბადებელი და მფარველი რომ არის, აწმყოდ მოიპოვების ყოველ დაბადებულ არსებში; მაშ სულს მუდამ და ყოველს ადგილს შეუძლია იცნას და ინდომოს ღმერთი.

მაშ რადგან ისრე შედგენილია სული, რომ არ შეუძლია დაცხრომა მყოფობისა და ცხოვრებისაგან; სადამე თავისივე ბუნებით უკვდავია იგი.

გ. ახლა გვშთება გამოსაძიებლად, ნუ თუ ღმერთის მა-

ინც არ შეუძლია რომ გააფუჭოს და არა რაჲად ჰყოს იგი?
პ. მაგაზედ გიპასუხებ რომ ღმერთსა, არ შეუძლია კაც-ებრივი სულის გაფუჭება და არა რაჲად გარდაქცევა, მიზ-ეზისათვის იმ ოსჭანისა, რომლისათვისაც გაუჩენია იგი.

სულსა აქვს იდია და სურვილი განუზომელი და სა-უკუნო კეთილისა: აწ უკეთუ სული დამცხრალ იყო მყ-ოფობისაგან, ეს იდია და ეს სურვილი უსარგებლოდ მიცემული იქმნებოდა მისთვის; და სხვა არაიფერში გა-მოადგებოდა მას, თუ არ, რომ მოატყვილებდა მას და გასტანჯემდა. — მაშასადამე უკეთუ ღმერთი სულს არა რაჲად გარდაქცევდეს, ნაკლებულება მიეწერება გინა მოაკლდება თავის სიბრძნესა, რომელიც უშლის უსარ-გებლო რამის ქმნას: თავის ჭეშმარიტებასა, რომელიც არ მიუშვებს იმას რომ მოსტყვილდეს და ან მოატყუოს; თავის სახიერებასა, რომელიც უშლის მას რომ არ გას-ტანჯოს უცოდო დაბადებული ოცნებითის სურვილითა, და უკანასკნელ, მის სიმართლესა, რომელსაც არ შეუძლია ერთსა და იმავე არა რაჲობაში შთააგდოს ბოროტი და კეთილი, ის ვისაც ყოვლის გულითა უძებნია იგი, და ის ვისაც შეურაცხუყვია და დაუტოებია იგი.

ამ ბოლო დამტკიცებისაგან წარმოსდგება სხვა მე-ორე რამეცა, რომელიც აიღება იმ ყამიერი სიკეთებისა გინა სიხარულისაგან, და სიავების გინა შეწუხებისაგან, რომელნიც სააქაოს თანასწორედ შეემთხვევათ გინა მოვ-ლენ თუ კეთილთა და თუ ბოროტთა კაცთა ზედა; აწ რად-გან ღვთის სიბრძნე, ჭეშმარიტება, სიმართლე და კეთი-ლობა ცხადად მოითხოვენ რომ სამაგიერო მიეცესთ იმათ, და რადგანაც ეს სამაგიერო სააქაოს არ აღსრულ-დება, მაშ აბა საიქაოს უნდა აღსრულდეს.

აღსასრულად როგორც კაცნი თანახმა არიან ღვთის მყოფობაზედა, ესრედვე კვალად თანახმად აღიარებენ სუ-

ლის უკვდავებასა და მომავალს (საიქიოს) ცხოვრებასაცა.

კაცის სულის უკვდავების წინაღმდეგ უმთავრეს წინააღმდეგობად მოაქვსნან მოუნანებლი ცოდვილის სიკვდილი: რადგან თავის საბოლოოს ვერ მიეწევა, ამბობენ, მაშ არარაჲად უნდა გარდაიქცეს. — მაგრამ, ამბობს განსჯა და გონება რომ, არა: არამედ უნდა იყოს, და უნდა იცხოვროს უკუნისამდე ღვთისაგან მოწყვეტილმა, რათა ამნაირობით ძალდატანებულმან იცნას რომ ღმერთია, და მხოლოდ ღმერთია ყოვლად უაღრესი და უმწვერვალესი კეთილი.

## თავი მ.

### განყოფისათვის თანამდებობათა გინა მოვალეობათა.

კაცის მოვალეობა სამნაირია: ვითამც, მოვალეობა ღვთისა მიმართ, მოვალეობა თავის თავისა მიმართ, მოვალეობა მოყვასისა გინა თავისი მსგავსისა მიმართ და ფამილიისა მიმართ.

მოვალეობანი ღვთისა მიმართ შემოკრებით შეიცვვან მისსავე სამსახურში. — სამსახური ღვთისა არის პატივი იგი, რომელიც უნდა მიაგოს კაცმა ღმერთსა, და რომელიც შეიცავს ოთხ უმთავრეს საქმესა და უნდა იყოს იგი შინაგანი, გარეგანი და ამხანაგური.

ეს ოთხი უმთავრესი საქმეები ღვთის სამსახურისა, არიან: ა. თაყვანისცემა, რომლითა ვსცნობთ ყოვლად აღმატებულობასა და დიდ მშვენიერებასა ღვთისასა და მის უმწვერვალესს მფლობელობასა ჩვენზედა. ბ. მადლობის გარდახდა, რომლითა მადლობას შევსწირავთ ღმერთს თავის მოცემულ სიკეთებზედ. — გ. თხოვნა მოტევებისა ბრალთა და ცოდვათა, რომელნიც გვი-

მოქმედებია. — და ლოცვა, რომლით მოვითხოვთ ღვთისაგან იმ შემწეობათა რომელნიც გვეჭირებიან.

პირველი სამი საქმეების მოვალეობის დამტკიცება საჭირო არ არის, რადგან თავით თვისით ცხადნი არიან. ხოლო შესახებ ლოცვის: 1. მისი საჭიროება დამტკიცებულია იმ შეგრძნებითი გრძნობისა და გამოცდილობისაგან საჭიროებათა ჩვენთა რომელნიც გვაქვს მარადის. 2. ჯეროვნება მისი დამყარებულია სინამდვილესა ზედა ღვთის კეთილობისა და ყოვლის-მპყრობელობისა; ვითამც რადგან ღმერთი ყოვლის შემძლეა, შეუძლია მოცემა იმ ჩვენი სათხოვრისა, და რადგან კეთილია, ჰნებავს შესმენა და მოცემაცა მისი ჩვენთვის, თუ რომ სასარგებლო ჩვენის სულისათვის სათხოვარი იგი.

ამას არ უწინააღმდეგებს შეუცვლელობა ღვთის წინაგანგებულებისა ანუ ნივთიერ არსთა სჯულებისა. — რადგან ჩემი ლოცვები საუკუნოჲთგან განცნობილნი არიან ღვთისაგან და ჩემი მეორე თავისუფალი საქმებივით, ჩემი ლოცვაცა შევა ღვთიულ განწყობილებაში (პლან), მაშ ილოცე უშიშრად; რადგან ლოცვა შენი ვერ წაშლის საღმრთო განგებულობის განსაზღვრილების განწყობილებასა, ისე როგორადაც ვერ წაშლიან მას შენი თავისუფლებით ნაქმნარი საქმეები რომელნიც შეადგენენ მრთელ შენ ყოფა ქცევასა. — ხოლო ბუნების სჯულთათვისაც გიპასუხებ, რომ ღმერთს შეუძლია შეისმინოს შენი ლოცვები და ნატრანი თვინიერ ამ სჯულთა დაშლისა, ისე როგორც შენ თვინიერ საქვეყნო სჯულის დარღვევისა, და თან ერთადვე მისი მიყოლით, საშვალს მოიპოვნი რათა შემწეობა მისცე იმას, ვინც თხოულობს შენგნით მოწყალებას. აწ შენ თუ შეგიძლია ეგრეთ ქმნა, ნუ თუ ღმერთი ვერ შეიძლ-

ებს მის ქმნასა! თუმც რომ საჭიროც იყოს შეკავშნა ერთ წამს და ერთს წერტილზედ რომელიმე ნივთიერი ძალის ნაყოფისა, მაგალითად ცეცხლის ანუ წყლის და ანუ თვინიერ ნივთიერი ძალის შემწეობისა, წინ წარმოყვანა იმნაირი ნაყოფებისა რომელნიც ჩვეულებითად წინ მოდიან ხოლმე იმათგან, მაშინაც ცხადია რომ დამბადებელი უფრო ძლიერია თავისი დაბადებულისაგან, რომელსაც თვინიერ ღვთისა არა შეუძლია რა, და ღმერთს კი თვინიერ დაბადებულისა შეუძლია, იმ ნაყოფების წინ წარმოყვანა, რაც რომ თვით დაბადებულს მისი შემწეობით წინ წარმოჰყავს; კვალად ყოვლად აღმატებული საქმე ღვთის სამსახურისა შესაწირავი არის, რომლით შევსწირავთ ღმერთსა გრძნობით რამესა საცნობელად მისი უმწვერვალესი მთავრობისა გინა უფლებისა,

ბ. ვითარცა ზეით ვსთქვით ღვთის სამსახური სამნაირია: შინაგანი, გარეგანი და საქვეყნო ანუ ამხანაგური.

მით ღვთის სამსახური უნდა იყოს ა: შინაგანი, ანუ სულიერი, ვითამც სულისაგან წინ წარმოსული, თვარემ არ იქნება იგი უზაბაკო (სენსერ). მეტადრე რომ ჩვენ უნდა შევსწიროთ ხოლმე ღმერთსა პატივისცემა ჩვენი თუ სულით და თუ ყოველი მისი შეძლებებით.

გ. ღვთის სამსახეური უნდა იყოს გარეგანი და საგრძნობი: რადგან უნდა შევსწიროთ ღმერთსა პატივისცემა როგორადაც ჩვენის სულისათვის, ეგრეთვე ჩვენის ხორცისათვის და საგრძნობელთათვისაც, რომელნიც მიგვიღა მისგან, მეტადრე ჩვენს ბუნებაშივე არის ეს, რომ სულის საქმეებში თვინიერ საგრძნობლების დახმარებისა, არ შეგვიძლია დიდ ხანს გაძლება და არ შეგვიძლია დიდ ხანს შევინახოთ ჩვენში ის ზრახვანი და სურვილნი, რომელნიც აღეგზნებიან და გაღვივდებიან ჩვენში

ფიცხელად. — მაშა სადამე გარეგანი ანუ საგრძნობი ღვთის სამსახურიც ერთი საშუალია, და აგრეთვე ნიშანიც შინაგანი სამსახურისა.

დ. აღსასრულად ღვთის სამსასახური უნდა იყოს ამხანაკური გინა სათემო, ე. ი. შეწირული ღვთისადმი ამხანაკობის სახელითა ცხადად, უფროსი ერთი ეკკლესიაში. რადგან თვით ღმერთს გაუჩენივართ ჩვენ ამხანაგური (სოსიალ) მოწყობილობითა და საჭიროებითა: მაშ იგივე ღმერთი არის ავქსონი (ოთორ) ამ ერთობისა რომელიც კაცთა შორის დამყარებულია ამხანაკობის სახელით: ამ ამხანაკური ცხოვრებით უფრო მომეტებულის ქმნა შეგვიძლია, ვირემც მარტოკა ცხოვრებითა; მით ღმერთს უნდა მივაწეროთ ყოველი რაც გვართ, რაც გვაქვს და რაც შეგვიძლია, და პატივი უნდა ვსცეთ ღმერთსა ამხანაკობრივი ღვთის სამსახურითა. გარდა ამისა ეს ამხანაკური ღვთის სამსახურიცა, გარეგანი გინა საგრძნობი ღვთის სამსახურივით არის კეთილი, ერთი ნიშანი და შედეგიცა შინაგანისა და სულიერის ღვთის მსახურებისა და საშუალიც მისი შენახვისა.

## თავი ვ.

### მოვალეობანი თავისთავისა მიმართ, მოყვასისა მიმართ და სახლობისა (ფამილიისა) მიმართ.

მოვალეობა თავის თავისა მიმართ. კაცი სხვა არაფრისთვის გაჩენილია, თუ არ მხოლოდ ღვთის ქებისა, დიდებისა და მისი სამსახურისათვის; მაშ მართებს კაცს პირველად თავის თავისი დაცვა, და მეორედ სრულყოფა გინა განწრთველება მისი; კაცი შემდგარია სულითა და ხორცითა, ამისთვის ვალდებულია რომ დაი-

ცვას და სრულ ჰყოს თავისი სული მისი შეძლებებითურთ, რომელნიც არიან შემტყობელობა და მნებელობა.

შემტყობელობა დაიცვების და სისრულეში მოიყვანების სწავლითა; მხოლოდი ერთი მეცნიერება არის ყველასათვის საჭირო და ამა მიზეზისათვის დამავალიანებელიცა, ე. ი. ის სწავლა და ის მეცნიერება რომელიც ასწავლის და ავალიანებს კაცს ღვთის სამსახურსა. — ხოლო სხვა დანაშთი მეორე ნაირი სწავლანი კი არ არიან საჭირონი თუ არ კაცის საკუთარი მდგომარეობის და გარემოებაების შესაფერისად. — მნებელობა დაიცვების და სისრულეში მოვა სათნოებითა (ვერთუ), რომელიც კაცს ერთიანად ღმერთის შესწირავს.

ხორცის სიმრთელე და სისრულეცა ამაში მდგომარეობს უფროსიერთად, რომ ხორცი სულის მორჩილი და ქვეშევრდომი იყოს, და მისი მიმყოლი ხელსაწყო და მასთან ერთად იმოქმედოს, და ამასთანავე იყოს მისი სარწმუნო ამხანაგი. — აქედგან შესდგების რომ კაცს სიმართლე არა აქვს ა: თავისი თავი მოისწყვიტოს გან-საჯისა და თავის უფლობის ხმარებისაგან, რადგან ამითი თავის თავს შეუძლოდ გახდის გინა მოისწყვეტს ღვთის ქებისა, დიდებისა და მისი სამსახურისაგან ბ: ამავე მიზეზის გამო არ შეუძლია თავისი სიცოცხლის მოსპობაც. — მაშა სადამე მოვრალობა, თავისი თავის მოკვლა, და ესრედვე მარტო ბრძოლობა (დუელ), რომლითა კაცი უსამართლოდ და უჯერო მიზეზით თავის სიცოცხლეს განსაცდელში მისცემს, არიან მძიმე ცოდვანი, და ამ ნაირ დიდთა სიბოროტეთა ზნეობითი საჯულიც უშლის.

მოვალეობა კაცისა თავის მსგავსთან გინა თავისი მოყვასისა მიმართ არის უფროსი ერთი ეს ორი რამე: ე. ი. სიმართლე და სიყვარული. სიმართლის საზოგა-

ლო კანონი არის: «ნუ უზამ სხვას იმ საქმეს, რაც არ გინდა რომ სხვათა შენ გიყონ». «და მიეცი ყველას თავისი მხვედრი». — ამისთვის ოთხნი უმთავრესნი მცნებანი არან, რომლების პატივისცემას და მჭიდროდ დაცვასა გვიბრძანებს სიმართლე. ა: ესე იგი, დაცვა ცხოვრების ღვთის (მეხუთე ბრძანებაში). ბ: პატივი (შეუგინებლობა) ხორცისა, (მეექვსე და მეცხრე ბრძანებაში). გ: მონაგები გინა თვითოეულის საკუთრებანი (მეშვიდე და მეათე ბრძანებაში). და დ: კეთილი სახელი (მერვე ბრძანებაში). — ხოლო სიყვარულის მცნება არის ეს «უყავ სხვას ის, რაც გინდა რომ სხვათ შენ გიყონ». — სიყვარულის მცნებათა და მოვალეობათა ეკუთვნიან ეს შემდეგნიც: ე. ი. გულით მიტევება ნაქმნართ უსამართლოებათა, მოწყალება, და ძმური მხილება გინა მიცემა მოყვისისადმი მოწყალებისა, შეწევნისა და კეთილი წურთნისა და დარიგებისა მეტადრე მშიერ გლახაკთა ჭმევა და ცოდვილთ ცოდვისაგან მოქცევა.

მოვალეობა მოსახლობისა მიმართ: მოსახლობა (ფამილია) გინა ოჯახობა შესდგება მშობლებისაგან და შვილებისაგან. — ა. მშობლებს ვალი აქვსთ მისცენ შვილებს ბუნებითი და ზნეობითი აღზრდილობა, და ეგრეთვე საზრდო გინა სარჩო ცხოვრებისათვის ხორცისა თუ სულისა მათისა. მართლიად მშობელს ეკუთვნის თავისი შვილის სისრულეში მოყვანა. ბ. მშობელნი ვალდებულნი არიან ყველაზედ უფრო მომეტებულად აზრში ჩაიდვან, ვითარმედ იმ ნაირად გაზარდონ შვილები, რომ შეეძლოსთ იმათ ღვთის ქება დიდება, მისი მსახურება და თავიანთი სულის ცხონება. და ამ მოვალეობისაგან მხოლოდ მაშინ დასცხრებიან, როდესაც ყმაწვილი სრულს წლოვანობაში მოვა და შეეძლება თავისი თავის მარტოკად მართვა ღვთის სამსახურში.

ხოლო შვილიც მოვალე არის რომ მიაგოს და მისცეს თავის მშობლებსა პატივისცემა, სიყვარული, მორჩილობა და შემწეობა. — შვილებმა პატივისცემა უნდა მისცენ თავიანთ მშობლებსა როგორც თვისთა დასაწყისთა, და როგორც წარმომადგენელთა ღვთიური დიდმშვენიერებისა.

სიყვარული, უნდა მიაგონ იმ სიკეთისათვის რაც მიუღიათ იმათგან; ე. ი. ცხოვრებისათვის, რომელშიც არიან შეცულნი ყოველნი სიკეთენი, რადგან თვინიერ ცხოვრებისა არცკი ვიქმნებოდით ჩვენ. მორჩილობა უნდა მიაგონ მათ ვითარცა ბუნებითით ხელსაწყოებს ღვთის წინაგანგებულებისასა; გარნა ეს მორჩილობა უნდა ქვემდებარე იყოს იმ მორჩილობისა, რომელიც გვმართებს ღვთისადმი; მით უკეთუ ამ მორჩილობაებმა ერთმანერთს უწინააღმდეგონ, ამ შემთხვევაში მორჩილობა ღვთისა უმთვრო საჭირო და უმთვრო ვალია, ვირემც გაცისა. მეორედ მორჩილობას საზღვარიც უნდა ჰქონდეს: როცა კაცი წარმოიზრდება და შევა სრულს ჰასაკში, მაშინ კანონით თვითან თავისი საკუთარი რჩევის უფალია, და თავად ეკუთვნის მას თავისუფლებით თავისი თავის მართვა ღვთიური და კაცებრივი კანონების თანახმად და იმათ შესაფერად. ბოლოს მოვა შემწეობა მშობელთა: რადგან ცხოვრებასთან ერთად ყოვლისფერი მშობლებისაგან მიგვიღია, ამისთვის ყოვლად სამართლიერია რომ თავიანთი გაჭირვების დროს შევეწიოთ ხოლმე ჩვენც ჩვენს მშობლებს.

დასასრული.

სადიდებლად ღვთისა.

## ყოველდღივ სათქმელი ლოცვა.

ღმერთო გამჩენო ცისა და ქვეყნისაო, რომელმან დამბადე და მომეც მე სიტყვიერი და უკვდავი სული; მისთვის რათა გიცნა, შეგიყვარო და გემსახურო შენ ამ ქვეყანაზედ, და ამით ღირსი გავხდე საუკუნო დიდების დამკვიდრებისა სასუფეველში. თაყვანსა გცემ შენ, და ვევედრები მომანიჭე მე წმიდა მადლი და სიყვარული შენი, სიმძულვარე ცოდვისა, გამძლეობა უცოდველ სიცოცხლეში, და სხვა ყოველი სულიერი თუ ხორციელი მოწყალებანი შენნი.

ღმერთო ჩემო, მრწამს მე მტკიცედ რომ ხარ შენ ერთი მხოლოდი ღმერთი სამთა თანასწორთა და განრჩეულთა პირთა (გვამთა) შინა, რომელთა ეწოდებისთ მამა, ძე, და სული წმიდა; და რომ მეორე გვამი ყოვლად წმიდა სამებისა ვითამც ძე, რომელიც არის უფალი ჩვენი იესო ქრისტე, განკაცდა და მოკვდა ჯვარზედ დახსნისა ჩვენისათვის, აღსდგა მკვდრეთით, და ამაღლდა ზეცას. კვალად რომ მიაგებ შენ საუკუნო სასუფეველის დიდებასა იმათ, რომელნიც დაიცვენ ბრძანებათა შენთა მორწმუნებით, და განრისხამ საუკუნო ჯოჯოხეთის სატანჯველებით იმათ, რომელნიც არ დაიცვენ ბრძანებათა შენთა. კვალად მრწამს მე მტკიცედ და ვწყნარულობ ყოველსა ჭეშმარიტებასა მას, რაიც სწამს, და რასაც ასწავლის წმიდა ეკკლესია, რამეთუ შენ გამოგიცხადებია იგი ყოველი მისთვის, რომელი არ მოატყუებ და არც მოსტყუვდები, რადგან ხარ დაუსრულებელი ჭეშმარიტება. შემეწიე უფალო, და დამიფარე მე დღეს და მარადის ყოველი ცოდვისაგან, ყოველი განსაცდელისაგან სულისა და ხორცისა, და დაუმზადებელი სიკვდილისაგან.

ღმერთო ჩემო, დიდი იმედი მაქვს მე შენგან რომ

ღირსებისათვის ქრისტეს ვნებათა მომანიჭე მე სასქ-აროს მადლისა შენისა, და უკეთუ დაგიცვამ მცნებათა შენთა, საიქიოისაც სასუფეველის დიდებასა, ვითარცა აღგითქ-ვამს, რადგან ხარ შენ ყოვლის-მპყრობელი, სარწმუ-ნო და ყოვლად მოწყალე.

ღმერთო ჩემო, რადგან ხარ შენ განუზომელად კე-თილი და საყვარელი, ამისთვის მიყვარხარ შენ ყოვლი-თა გულითა ჩემითა უფროს ყოვლისა რაიმისაგან, და რადგან მიყვარ ხარ, ამისთვის ვნანულობ და ვსწუხვარ ფრიად ყოველს ჩემს ცოდვებზედ შეწყენისა შენის-თვის, მძულს იგინი, და ვსდებ მტკიცე პირობასაც ამი-ერით არღარა ოდეს შეცოდებისასა მადლითა შენითა, მიყვარს მოყვასიცა ჩემი მეგობარი თუ მტერი ვითარცა თავი ჩემი სიყვარულისა შენისათვის. შემიწყალე და მო-მიტევე მე; უფალო, ყოველნი ცოდვანი ჩემნი.

ყოვლად წმიდაო ღვთის-მშობელო ქალწულო მარ-იამ, და ყოველნო წმიდანო, ევედრენით მარადის ღმერ-თსა ცხოვნებისათვის სულისა ჩემისა, და შემეწიეთ რათა შევიყვარო ღმერთი გულითა, დავიცვა ეგრეთი სიფრთ-ხილით ყოველნი მცნებანი მისნი, ვიდრეღა მნებავდეს ამიერიდგან უმეტეს დაკარგვა ყოველი ჟამიერი კეთი-ლისა, ვირემცდა კიდევ შეწყენა მისი ცოდვითა, და ვემსა-ხურო მას ქრისტიანური და კეთილი სიცოცხლის გატა-რებითა, რათა ამ გზით მეღირსოს სიკვდილის შემდგომ მოსვლა ზეცას სასუფეველში თქვენთან ერთად საქებ-ლად და სადიდებლად ღვთისა უკუნითი უკუნისმდე, ამინ.

## იგივე ლოცვა მოკლედ

მაცხოვარო ჩემო იესო, მრწამს მე მტკიცედ და ვწ-ყნარულობ ყოველსა მას, რაიცა ასწავლის წმიდა ეკ-

კლესია შენი, რადგან შენ გამოგიცხადებია იგი ყოველი მისთვის. გესავ, და მიყვარ ხარ შენ გულით უფროს ყოვლისა რაიმისაგან, ვ:ი განუზომელო კეთილო, და რადგან მიყვარ ხარ, ამისთვის ვნანულობ და ვსწუხვარ ფრიად ყოველ ჩემს ცოდვებზედ შეწყენისა შენისათვის, მძულს იგინი, და ვსდებ მტკიცე პირობასაც ამიერით არღარა ოდეს შეცოდებისასა და განწორებისას ყოვლითურთ სიცოცხლისა ჩემისა მადლითა შენითა. შემიწყალე უფალო, და მომანიჭე მოტევება ყოველთა ცოდვათა ჩემთა, წმიდა მადლი და სიყვარული შენი, სიმძულვარე ცოდვისა, გამძლეობა კეთილს ცხოვრებაში, და სხვა ყოველი სულიერი თუ ხორციელი წყალობანი შენნი.

ყოვლად წმიდაო ღვთის-მშობელო, და ყოველნო წმიდანო, ევედრენით ჩემთვის ღმერთსა და შემეწიეთ, რათა დავიცვა მარადის ყოველნი მცნებანი ღვთისანი, ვემსახურო მას კეთილი სიცოცხლის გატრებითა, და ამითი ღირსი გავხდე საიქაოს საუკუნო დიდების დამკვიდრებისა სასუფეველში საქებლად ღვთისა უკუნითი უკუნისამდე. სასოებად ჩემდა მამა, შესავედრებელად ჩემდა ძე, მფარველ ჩემდა სული წმიდა, სამებაო წმიდაო დიდება შენდა.

ფიქრში შესანახი და სახმარი დასაწყისები (პრინციპები).

1. ვინც თავის ვნებაებს (ჟინს) არ დაიმონავებს, ვნებაები იმას დაიმონავებენ.

2. პირველი მტერი კაცისა თვისივე თავია.

3. შვილი სიფიცხით გაზარდე რომ მოყვრულებ გამოგადგეს.

4. თუ შვილს თავის ნაქმნარს ნაკლებულობაებზედ (ურიგობაზედ) გაუცინამ და არ ატირებ, შემდგომში ის შენ გატირებს.

5. პირველი სკოლა ყმაწვილისა თავისივე სახლია, და პირველნი მასწავლებელნიც მისნი კეთილისა თუ ბოროტისა, მისივე დედ მამანი და მათი ცხოვრების მაგალითნი არიან.

6. ყმაწვილობიდამ მიჩვეული ზნე, კაცს საფლავამდი მიჰყვება.

7. კეთილი თუ ბოროტი ჩვეულება, ბოლოს ბუნებად გარდაიქცევა.

8. ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს, გარდა ღვთის შეყვარებისა და სამსახურისა მისისა.

9. განვლის სოფელი და გულის-თქმა მისი; ხოლო რომელიც ჰყოფს ნებასა ღვთისასა, ჰგიებს უკუნისამდე.

10. ყველაზე მდიდარი ის არის, ვინც ცოტათი დაკმაყოფილდება.

11. უსამართლობით მონაგებს მუდამ ზიანი მოსდევს.

12. ამისთვის გვაქვს ერთი პირი და ორი ყური, რათა ბევრი მოვისმინოთ და ცოტა ვილაპარაკოთ.

13. კეთილის თქმასა და ქმნას შუა, დაპირებასა და მის შესრულებას შუა, დიდი სიშორეა; ამისთვის არა კმარა კეთილის თქმა, არამედ მისი საქმით შესრულებაც საჭიროა რადგან იგია, რომელიც დააგვირგვინებს კაცს.

14. რას არგებს კაცს უკეთუ მთელი სოფელი შეიძინოს და სული თვისი წარწყმიდოს.

15. ფრიად საჭირო და პირველი საქმე კაცისა არის შეყვარება ღვთისა, და ცხონება თავისი სულისა.

16. მხოლოდ ერთი რამისაგან უნდა გვეშინოდეს, ვითამც, ცოდვისაგან, რომლით შეიწყინება ღმერთი, და წარწყმდება სული ჩვენი საუკუნოდ.

17. დავჰკარგამთ რა ცოდვით ღმერთისა, დავჰკარგამთ მით ყოველსავე კეთილსაცა.

18. ამ ქვეყნის სიხარულიცა და ჭირიც მალე დასრულდებიან, საუკუნოებას კი არათუ არა აქვს დასასრული.

19. უღმერთოდ არ შეიძლება ჭეშმარიტი მშვიდობის და ბედნიერების მოშოვნა.

20. დაღუპულია ის კაცი, რომელსაც მომაკვდინებელი ცოდვით დაკარგული ჰყავს ღმერთი, და უღმერთოდ ატარებს თავის ცხოვრებასა.

21. კაცის ცხოვრება ბრძოლაა და მისი გამარჯვების გვირგვინი სასუფეველი.

22. ზარმაცობა დედაა ყოველი შეცდომილებისა.

23. რომელნიც პატივს-სცემენ მშობელთა, პატივ-იცემებიან შვილთა თვისთაგანცა.

24. ვისაც ნასწავლი აქვს მორჩილობა, იგი შეიძლებს ბრძანებასაც.

25. შრომა დედა არის ბედნიერებისა.

26. ფულით ქაღალდის თამაშობა გზა არის საპყრობილეში შესვლისა.

27. რა საქმის ჯეროვნება ზედაც რომ ეჭვნეულობ, განშორდი მას.

28. სისუფთავე დაგვიცვამს მრავალ-ნაირი ავათმყოფობისგან და ამასთანავე გაგვხდის მიხნეულსა და პატივცემულსა სხვათაგან.

39. შრომა, კეთილ-შეზავებულობა, და კანონების შენახვა, არიან დამცველნი კაცის პატიოსნებისა.

30. სესხი (ვალი) მსგავსია იმ თოვლის გუნდისა, რომელი რაერთიც აგორდება, იმდენად უფრო თოვლს აიკრავს და გადიდდება.

31. საპატიობა ნიშანია კაცის პატიოსნებისა.

32. ყოველ რამეში ნელა გაიარე.

33. ვინც არ უყვარს ღმერთი, არც ეყვარება მოყვასი, და არცა სხვანი შეიყვარებენ იმას.

34. განძლიერებით დაითმენა ამ ქვეყნის ყოველი სიმარცხისა და უბედურობისა, უფრო დიდი მხნეობაა, ვინემც გადარჩენა თავისა თვისისა სიმხნით ავაზაკთაგან.

35. შრომა და მუშაობა ღვთისგან დადებული ვალია ყოველი კაცისათვის, და მისგამო არავის შეუძლია თავიდგან აცილება მისი.

36. კაცის კეთილ დღეობა და ბედნიერება თავისი წოდების თანამდებობების შესრულებაში მდგომარეობს.

37. კაცის წარჩინებულობას, და პატიოსნებას გამოაცხადებს მისივე გული.

38. კაცი თავისი პატიოსნებით და კეთილობით სხვებსაც კეთილ დღეობაში შეიყვანს და თავის თავსაცა.

39. ვინც თავისი წოდების თანამდებობას არაოდეს არ მოაკლდება, ის არის უბედნიერესი ყოველთა კაცთაგან.

40. არიან იმისთანა ლაქა კაცნი, რომელნიც ყურადღებას აქცევენ ხოლმე, კრიტიკის მიცემას, და გაცინებას უღმრთოთა და რეგვენთ კაცთა, და ეგოდნადაც ეშინისთ მათგან, ვიდრე ვერ გაუბედიათ ცხადათ შესრულება ქრისტიანებრივი სარწმუნოების თანამდებობებისა, და ვერცადა ცხოვრების გატარება ეგრედ, როგორც თხოვს კეთილი ზნეობის კანონი.

41. როგორც ზარმაცობას (ზანტობას) ფეხდა ფეხ მოსდევს გლახაკობა, ეგრეთვე ჭამა-სმაში უზომიერობასაცა სნეულება.

42. ხშირად სტყუვდებიან ისინი, რომელთაც თავიანთ ჭკუაზედ მინდობით, სამართლიერად ჰგონიათ თავიანთგან ნაქმნარი საქმეები.

43. უმადურობა და სიკეთის დაუსწავლელობა არის საძულველი ღვთისა და კაცისაცა.

# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

წინა სიტყვა.

## შ ს ა ვ ა ლ ი

ფილოსოფიის საგანი — მისი სხვა მეცნიერებათა თანა ქონვილი დამოკიდებულობა და — განყოფა მისი. . . . . 1.

## ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### ფსიხოლოგია გინა სულის მეტყველება.

თავი. გვერდი.

ა. ფსიხოლოგიის საქმეჲსა და გულმისნობისა გინა ცოდნისათვის (ქონსიანს). . . . 5.

ბ. სულის შემძლებელობისათვის ანუ მგრძნობელობისა, შემტყობელობითი შემძლებელობისა (ფაკულთე ენტელექტუელ), და საქმითობისათვის (აკტივიტე). . . . . .

გ. მგრძნობელობისათვის, და საგრძნობელთა (სან), გაგებისა (სანსასიონ), და გრძნობისათვის (სანტიმან). . . . . . . 8.

დ. შემტყობელობითი შეძლებისათვის, დაჭვრეტისა გინა წარმომდგენელობისა (პერსეპსიონ), გულმისნობისა, მხსოვნელობისა, გამოხატულობისა, განმსჯელობისა, და განსჯისა გინა ჭკუვისათვის. . . . . . 12.

ე. იდეათათვის საზოგადოდ — მათი დასაწყისი გინა დაბადება, და ბეჭედი გინა სახე (ქა-

თავი. გვერდი.

რაქთერ), მათი თავ ჲ პირველნი ცნობანი ჲ ჭეშმარიტებანი. . . . . . . . . 14.

ვ. მოქმედობითობისათვის, ჲ ნაირ ნაირი მისი ბეჭდებისა — მოქმედებითობა ნებიერი ჲ თავის უფალი — დამტკიცება თავის უფლებისა. . . . . . . . . . . . 25.

ზ. პიროვნობისა გინა გვამობრივობისათვის, სულის უსხეულობისათვის, სულისა ჲ ხორცის განრჩეულობისა ჲ იმათი ურთიერთთან მიმართობისა ჲ დამოკიდებულობისათვის. 30.

## ნაწილი მეორე

### ლოღიკა.

ა. ჭეშმარიტებისა, შეცდომილებისა, განცხადებულობისა, (ევიდანს) სინამდვილისა, (სერთითუდ) ჲ დასაჯერებელისათვის (პრობაბლ). 37.

ბ. აგქსიონობა (ოთორითე) კაცობრივის მოწმობისა. . . . . . . . . . . 48.

გ. ნიშნისა ჲ საუბრისათვის, ჲ დამოკიდებულობაზედ მათი ზრახვასთანა. . . . . 54.

დ. პერიოდისათვის. . . . . . . . . . 56.

ე. მეტოდისა გინა განკარგულებისათვის, გამოწვრილვისა გინა გარჩევისა, ჲ შეერთებისათვის. . . . . . . . 59.

ვ. საზღვრისათვის, განყოფისა ჲ განწყობილობისათვის. . . . . . . . 61.

ზ. მეტოდი გინა განკარგულება მეცნიერების სხვა ჲ სხვა რიგთათვის. . . 64.

თავი. გვერდი.

ჱ. ერთსახეობისათვის (მსგავსობა), გონებით დასკვნისა და გამომდევლობისა გინა შედრგინებისათვის. . . . . . . . 66.

თ. გონებით ბრძნობელობის წინა-დადებასა ზედა. . . . . . . . 67.

ი. სილოგიზმისათვის. . . . . . . 72.

ია. კვლავ სილოგიზმოსა ზედა. . . . 75.

იბ. სილოგიზმოს ხმარება. . . . . 82.

იგ. ბრძენსკობისათვის. . . . 84.

იდ. ცთომილებათათვის. . . . . . . 87.

## მ ე ს ა მ ე ნ ა წ ი ლ ი

### ბუნებითი ღვთის მეტყველება (თეოდისი)

ა. დამტკიცებანი ღვთის-მყოფობისა. . . 93.

ბ. ღვთის უმთავრესთა თვისებათა გინა სისრულეთათვის. . . . . . . . . . 97.

გ. დამოუკიდებელნი თვისებანი ღვთისანი, ვითამც განუზომელობა, და განუსაზღვრებელობა, ერთება, საუკუნოებრიობა, და დაუტევნელობა ღვთისა. . . . . . . . . 99.

დ. მიმართობითი (რელათივ) თვისებანი ღვთისანი ა. შინაგანნი. . . . . 104.

ე. მიმართობითი თვისებანი ღვთისანი. ბ. საგარეოდ (გარეუნი). . . . . . . 106.

ვ. წინაგანმგებელობისათვის. (პროვიდანს). [illegible]

მ846



## მეოთხე ნაწილი

### ზნეობა.


თავი. გვერდი.

ა. ნაირ ნაირი მიზეზებისათვის ჩვენი საქმეებისა. . . . . . . . . 113.

ბ. ზნეობითი გულმისნობისა ანუ სვინიდისისათვის, — კეთილისა და ბოროტის გარჩევისათვის. — თანამდებობისა და სათნოებისათვის. . . . . . . . . 114.

გ. მერიტო ვინა ღირსეულობა, დე მერიტო ვინა უღირსეულება, ბრალი და სასყიდელი, ზნეობის გამკვეთილობის დამტკიცება, ვაცის ოხჭანი და მისი საზოლოვო. . . . . 118.

დ. სულის უკვდავებისათვის. . . . 120.

ე. განყოფისათვის თანამდებობათა ვინა მოვალეობათა. . . . . . . . . 124.

ვ. მოვალეობანი ღვთისა მიმართ; თავის თავისა მიმართ, მოყვასისა მიმართ, და მოსახლეობისა მიმართ. . . . . . . . . 127.

დამატება. ყოველდღივ სათქმელი ლოცვა. 129.

იგივე ლოცვა მოკლედ. . . . . . 130.

ფიქრში შესანახი და სახმარი პრინციპები. 131.